ჯორჯ ორუელი

ცხოველების ფერმა

ჯორჯ ორუელი

ცხოველების ფერმა

მთარგმნელი დავით აკრიანი

წინათქმა

საბჭოთა კავშირში ეს რომანი აკრძალული იყო - ბოლშევიკებმა მასში საკუთარი თავი ამოიცნეს. თუმცა, იგივე შეიძლებოდა ეფიქრათ სხვებსაც, რადგან ყველა ტოტალიტარული რეჟიმი, სადაც მასობრივი დანაშაულები სამთავრობო სისტემამდე აღწევს, საბოლოო ჯამში ტყუპი ძმებივით ემსგავსება ერთმანეთს.

არადა, ამ წიგნში ასაკრძალი არაფერია. „ცხოველების ფერმა“, ერთი შეხედვით, უწყინარი რომანი-იგავია, რომლის მსგავსიც ბევრი დაწერილა ეზოპეს დროიდან. განსხვავება ისაა, რომ ავტორს ისტორიულ მოვლენებზე ერთი კაცის გავლენა, ბოროტების ბუნება და საზოგადოების თავისუფალი ნების კვლევა აინტერესებს. ესაა იგავი, რომელიც გვასწავლის, რომ რეალობას გაცილებით უფრო ფრთხილად უნდა მოვექცეთ.

ცხოველები საკუთარ პატრონს, მისტერ ჯოუნზს აუჯანყდებიან, მას და მის თანაშემწეებს ფერმიდან განდევნიან და„ანიმალიზმის პრინციპებზე“ დამყარებული, უტოპიური სახელმწიფოს მშენებლობას იწყებენ.

ამბოხებას ცხოველთა შორის ყველაზე „გონიერნი“, ღორები, ხელმძღვანელობენ. მას შემდეგ კი, რაც ფერმის ყველაზე ცბიერი ღორი, ნაპოლეონი, ერთგული ძაღლების დახმარებით თავის პოლიტიკურ კონკურენტს, სნოუბოლს, ფერმიდან გააძევებს, ღორების პირობები საგრძნობლად შეიცვლება. ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობას იკავებენ: განდევნილი ფერმერის სახლში ცხოვრობენ, სამზარეულოში გამორჩეულ საკვებს

მიირთმევენ, საწოლებში სძინავთ. სხვები კი დღენიადაგ ქარსა თუ წვიმაში „ნათელი მომავლის“, ანუ წისქვილის, მშენებლობაზე მუშაობენ და განახევრებული საკვებით სულს ძლივს ითქვამენ. ადვილი ამოსაცნობია, რომ რომანში აღწერილი სხვადასხვა ცხოველი სხვადასხვა ადამიანის ხასიათსა თუ საზოგადოებაში მის მდგომარეობას გამოხატავს. მაგალითად: დაუნდობელი ძაღლები ხელისუფლების ერთგულ დასაყრდენს, პოლიციელებს განასახიერებენ, ცხვრები - მუდამ მორჩილ და თვინიერ ამომრჩევლებს, ცხენები კი - დღენიადაგ შრომით გატანჯულ, დამონებულ საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა რევოლუციას რომანტიზმის ნაპერწკალი ანთებს, იგი მაინც ძალადობაა და არც ერთი რევოლუცია საზოგადოებისათვის სიკეთით არ დასრულებულა. გეგმური საზოგადოების შექმნას, კერძო საკუთრების ხელყოფასა და კაპიტალის გადან აწილებას ყველგან და ყოველთვის ადამიანების ინდივიდუალური, რელიგიური თუ პოლიტიკური თავისუფლების დათრგუნვა მოჰყვა და რომანშიც ეს პროცესებია აღწერილი.

მას შემდეგ, რაც ნაპოლეონის აბსურდულმა იდეებმა პირველი მარცხი განიცადა, მან ცნობილ ხერხს მიმართა: მტრებისა და მავნებლების ძიება და „გამოვლენა“ დაიწყო. ეს პროცესი იმით დასრულდა, რომ სამმა ქათამმა ყველას წინაშე აღიარა, თითქოს სნოუბოლი მათ სიზმარში გამოეცხადა და ნაპოლეონის წინააღმდეგ წააქეზა. ბატმა აღიარა, რომ ღამით, ყველასაგან დაფარულად, ექვსი თავთავი შეჭამა. ცხვარი კი გამოტყდა, რომ სნოუბოლის წაქეზებით სასმელი წყლის ტბორში მოშარდა. ბელადის ერთგულმა ძაღლებმა ისინი ადგილზე დაგლიჯეს, რითიც ცხოველებში შიშმა დაისადგურა.

ამ წიგნში არაფერია ისეთი, ჩვენი ქვეყნის ისტორია რომ არ გაგვახსენოს - მომხმარებელთა საზოგადოება, სახელმწიფოს

მხრიდან გაკონტროლებული და დათრგუნვილი ინდივიდი, თუ-გინდ პოლიტიკური ლოზუნგები: „ნაპოლეონი ყოველთვის მარ-თალია“, „ცხოველთა ძმა“, „ცხვართა მფარველი“, „იხვის ჭუ-ჭულთა მეგობარი“. ქათმები ერთმანეთს ასე ესაუბრებიან: „ჩვე-ნი ნაპოლეონის ხელმძღვანელობით ექვს დღეში ხუთი კვერცხი დავდე“, ან კიდევ: „რა საუცხოო წყალია ამხანაგ ნაპოლეონის მადლით“.

ძალაუფლების კონცენტრაცია ყოველთვის იზიდავს და„ა-ჯილდოებს“ მორალური თვალსაზრისით ყველაზე უარეს წარმო-მადგენლებს. ასეთების გადარჩევა ან გამორჩევა შემთხვევით არ ხდება და ეს ტენდენცია ძირითადად ტოტალიტარული სისტე-მებისთვისაა დამახასიათებელი. ამგვარი ადამიანები კოლექტი-ურ საზოგადოებებში ყოველთვის წარმატებულნი არიან და პო-ლიტიკურ მწვერვალამდეც ადვილად აღწევენ. ძლიერებსა და აგრესიულებს მეთოდების განურჩევლობა ახასიათებთ, გარშე-მო იკრებენ ადვილად დამყოლ და, ამავე დროს, სასტიკ თანა-მებრძოლებს. დემაგოგიური გამოსვლებით ყოველთვის წინ მი-უძღვებიან ყველაზე გულუბრყვილო, პასიურ და ადვილად სა-მართავ ადამიანებს. სამაგიეროდ, ვერ იმორჩილებენ განათლე-ბულ, ნიჭიერ პიროვნებებს. ამიტომაც ტოტალიტარიზმს სძულს ინტელექტუალები.

თუკი თომას მორმა ცნობილ რომანში „უტოპია“ იდეალური საზოგადოება დაგვიხატა, სადაც ერთი შეხედვით ყველაფერი ბრწყინვალედაა მოწყობილი, ორუელმა იგივე გვიჩვენა, მხო-ლოდ ამ საზოგადოებაში მყოფი წევრების თვალით. მან დახატა სისტემა, სადაც მთლიანად იშლება პიროვნების ბუნება და იგი ერთგვაროვანი მასის ნაწილი ხდება. ამიტომაც საზოგადოებრი-ვი სისტემები უნდა განისაჯოს არა მათი თეორიებისა და აბ-სტრაქტული იდეალების, არამედ ისტორიაში რეალურად ჩადე-ნილი საქციელის მიხედვით.

ვთვლი, რომ ეს წიგნი ჩვენთან მანამდე არაერთხელ უნდა გამოცემულიყო, სანამ ჩვენი ახალგაზრდები ჩე გევარას პორტრეტებით დაიწყებდნენ სიარულს და ყველანაირ რევოლუციას ისევ რომანტიკოსების თვალით შეხედავდნენ; სანამ საზოგადოება მიხვდებოდა, რომ რევოლუციები მხოლოდ რევოლუციონერებისთვისაა სასარგებლო და რომ ზოგიერთისთვის ნამდვილი თავისუფლება მხოლოდ ძალაუფლებაა.

ეს რომანი ჩვენი საზოგადოებისთვის გაფრთხილებად უნდა იქცეს. იგი ყველამ უნდა წაიკითხოს: ძველმა თაობამ იმიტომ, რომ არასოდეს დაივიწყოს, საიდან მოვდივართ. ახალგაზრდებმა კი იმიტომ, რომ უკან, ცხოველების ფერმაში დაბრუნების სურვილი არ გაუჩნდეთ.

გიორგი კაკაბაძე

თავი I

იმ საღამოს მანორის ფერმის პატრონმა, მისტერ ჯოუნზმა, საქათმეები კი ჩარაზა, მაგრამ გვარიანად შემთვრალი გახლდათ საიმისოდ, რომ სხვა შესასვლელ-გამოსასვლელების დახურვაც გახსენებოდა. ჭრაქიდან დაფენილი, აქეთ-იქით მოქანავე სინათლის რგოლით მან ბარბაცით გადაჭრა ეზო, ჰკრა ჩექმის ჭვინტი უკანა კარს, ჭურჭლის სარეცხ შენობაში მდგარი კასრიდან უკანასკნელი ჭიქა ლუდიც ამოხაპა და საწოლისკენ წაბანცალდა, სადაც მისის ჯოუნზი უკვე მადიანად ხვრინავდა.

როგორც კი საწოლ ოთახში სინათლე ჩაქრა, ფერმის ყველა შენობა წრიალმა და ალიაქოთმა მოიცვა. ჯერ კიდევ დღისით ხმა დარხეულიყო, რომ მოხუც მეიჯორს - პრემიამინიჭებულ თეთრ ღორს - წინა ღამით უცნაური სიზმარი ენახა და ახლა უნდოდა სხვა ცხოველებისთვისაც გაენდო. მოილაპარაკეს, რომ, როგორც კი მისტერ ჯოუნზს გაისტუმრებდნენ, ყველანი დიდ ფარდულში შეიკრიბებოდნენ. მოხუც მეიჯორს (მუდამ ასე იხსენიებდნენ, თუმცა მისი საგამოფენო სახელი „უილინგდონის მშვენება“ იყო) იმდენად დიდი რეპუტაცია ჰქონდა, რომ ყველა დათმობდა ერთი საათის ძილს მის მოსასმენად.

მეიჯორი უკვე მყუდროდ მოკალათებულიყო ნამჯაზე, დიდი ფარდულის ერთ ბოლოში, პლატფორმის მსგავს შემაღლებაზე, სახურავის კოჭზე ჩამოკიდებული ჭრაქის ქვეშ. იგი თორმეტი წლის გახლდათ და ამ ბოლო ხანებში საკმაოდ ჩასუქებულ-- ჩაკურატებულიყო, მაგრამ ბრძნული და კეთილმოსურნე იერის პატრონს მაინც დიდებული შესახედაობა ჰქონდა, მიუხედავად დრუნჩიდან გან-გან ამოყრილი ეშვებისა, თავის სიცოცხლეში რომ არასოდეს მოეჭრა. სხვა ცხოველები უკვე კარგა ხანია რიგ-რიგობით შემოდიოდნენ და თავ-თავისი წესით ეწყობოდნენ.

ჯერ სამი ძაღლი შემოსუნსულდა: ბლუბელი, ჯესი და პინჩერი. მათ მოჰყვნენ ღორები და უშუალოდ პლატფორმის წინ გაშლილ ჩალაზე მოთავსდნენ. ქათმები ფანჯრის რაფებზე შემოსხდნენ, მტრედები ნივნივებზე ჩამწკრივდნენ, ცხვრები და ძროხები ღორების უკან მიწვნენ და ბალახის ცოხნას შეუდგნენ. ორი საფორნე ცხენი, ბოქსერი და ქლოვერი, ერთად შემონარნარდნენ მეტისმეტად ნელი ნაბიჯით, რათა თავიანთი ვეება, ბალნიანი ჩლიქებით ჩალაში შემძვრალი რომელიმე პაწია ცხოველი არ გაესრისათ. ქლოვერი საშუალო ასაკს მიახლოებული ძვალმსხვილი ფაშატი გახლდათ, ვეღარაფრით რომ ვერ აღედგინა თავისი უწინდელი ფორმა მეოთხე კვიცის გაჩენის შემდეგ. რაც შეეხება ბოქსერს, ეს იყო თითქმის თვრამეტი წყრთის სიმაღლის ბუმბერაზი, ორი გაერთიანებული ცხენის ძალის მქონე პირუტყვი. თვალებშუა ჩამოყოლებული თეთრი ხაზი მას, ცოტა არ იყოს, ბრიყვულ გამომეტყველებას აძლევდა და, მართლაც, იგი პირველხარისხოვანი ჭკუით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მაინც ყველასგან პატივდებული იყო თავისი მიზანმიმართული ხასიათისა და განსაცვიფრებელი სამუშაო ძალის გამო. ცხენების შემდეგ შემობაკუნდნენ თხა მურიელი და ვირი ბენჯამინი. ეს უკანასკნელი ფერმის უხუცესი და ყველაზე გაუწონასწორებელი ბინადარი იყო. იშვიათად თუ იტყოდა რამეს და, თუ მაინც ამოიღებდა ხმას, ისიც, ჩვეულებრივ, - მორიგი ცინიზმის წამოსასროლად. მაგალითად, ამბობდა, რომ ღმერთმა მას კუდი ბუზების მოსაგერიებლად მისცა, მაგრამ ერჩივნა, არც კუდი ჰქონოდა და არც ბუზებს ეარსებათ. ფერმის ცხოველთა შორის მას, ერთადერთს, არ გაუცინია არასდროს. თუ ჰკითხავდით, რატომ, ის გიპასუხებდათ, რომ ვერაფერს ხედავდა სასაცილოს. ამ ყველაფრის მიუხედავად, იგი ბოქსერთან მეგობრობდა, ამ ამბის საჯაროდ გამოცხადების გარეშე. კვირადღეებს ეს წყვილი ერთად ატარებ-

და ხეხილის ბაღის გადაღმა მდებარე პატარა საძოვარზე - გვერდიგვერდ ძოვით და უსიტყვოდ.

ის იყო ორივე ცხენი ჩალაზე მიწვა, რომ ფარდულში მწკრივად შემობატბატდა დედადაკარგული იხვის ჭუჭულების ერთი გუნდი. მათ ჩუმი ყიტყიტით მოიარეს იქაურობა ისეთი ადგილის მოსაძებნად, სადაც ვერავინ გათელავდა. ქლოვერმა თავისი ვეება ფეხი მესერივით შემორკალა მათ წინ. ისინიც სასწრაფოდ მოკალათდნენ და მაშინვე ღრმა ძილს მიეცნენ. ბოლოს დახვეწილი პრანჭვითა და შაქრის ნატეხით პირში შემობაკუნდა მისტერ ჯოუნზის ეტლისთვის განკუთვნილი ტუტუცი და ლამაზი თეთრი ფაშატი მოლი. იგი ყველაზე წინ დაესვენა და უმალვე თავისი თეთრი ფაფრის ქნევას მოჰყვა, რათა დამსწრეთა ყურადღება მასში ჩაწნული წითელი რგოლებისკენ მიეპყრო. ყველაზე ბოლოს შემოისეირნა კატამ, უთბილესი ადგილის ძებნაში მზერა, ჩვეულებისამებრ, ირგვლივ მოავლო და, საბოლოოდ, ბოქსერსა და ქლოვერს შორის ჩათბუნდა. იქ იგი კმაყოფილებით კრუტუნებდა მეიჯორის მთელი საუბრის განმავლობაში ისე, რომ ერთი სიტყვაც არ გაუგია იქიდან.

უკვე ყველა ცხოველი ფარდულში იყო, მოშინაურებული ყვავი მოსეს გარდა, რომელსაც უკანა კარის მიღმა დაკიდულ ქანდარაზე ეძინა. როცა მეიჯორმა დაინახა, რომ ყველა რიგიანად მოთავსდა და ყურთასმენა მისკენ მიაპყრო, ყელი ჩახველებით ჩაიწმინდა და დაიწყო:- ამხანაგებო, თქვენ უკვე იცით, რომ წუხელ უცნაური სიზმარი ვნახე. მაგრამ სიზმარზე - შემდეგ. ჯერ სხვა რამ უნდა გითხრათ. ამხანაგებო, ვფიქრობ, დიდხანს აღარ მიწერია თქვენ გვერდით ყოფნა და, ვიდრე მოვკვდებოდე, ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, გადმოგცეთ აქამდე მოხვეჭილი სიბრძნე. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ბაგაში განმარტოებით წოლისას, საკმაო დრო მქონდა და, მე მგონი, შემიძლია

ვთქვა, რომ დღეს მე უკვე მესმის ამ დედამიწაზე არსებული სიცოცხლისა და ყველა ცხოველის ბუნების.

მაშ, ამხანაგებო, რას წარმოადგენს, თავისი არსით, ჩვენი ცხოვრება? პირდაპირ შევხედოთ მას: ჩვენი ცხოვრება საბრალო, მძიმე შრომით გადატვირთული, მოკლე წუთია. დაბადების შემდეგ ჩვენ გვეძლევა მხოლოდ იმდენი საკვები, რომ სული არ გავაფრთხოთ, ხოლო ჩვენ შორის შრომისუნარიანთ ქანცის გაწყვეტამდე ამუშავებენ. დაბოლოს, როცა აღარ ვჭირდებით, ყველას ამაზრზენი შეუბრალებლობით გვხოცავენ. დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ ინგლისის არც ერთმა ცხოველმა აღარ იცის, რა არის დასვენება და ბედნიერება. არც ერთი ცხოველი ინგლისში თავისუფალი არ არის: მისი ცხოვრება აქ საცოდაობა და მონობაა. აი, თუ გნებავთ, სრული ჭეშმარიტება.

მაგრამ ნუთუ იმიტომ, რომ უბრალოდ, ასეთია ბუნების წესრიგი, ნუთუ ეს იმ მიზეზით ხდება, რომ ინგლისს არ ემეტება წესიერი ცხოვრება მათთვის, ვინც მის წიაღში ცხოვრობს? არა, ამხანაგებო, ათასგზის არა! ინგლისის ნიადაგი მდიდარია, კლიმატი - კარგი. მას ძალუძს ნოყიერად გამოკვებოს გაცილებით უფრო მეტი ცხოველი, ვიდრე ამჟამად ჰყავს. მარტო ეს ჩვენი ფერმა გამოკვებავდა თორმეტ ცხენს, ოც ძროხას, ასობით ცხვარს და თანაც ისეთი კომფორტითა და ღირსებით, როგორსაც დღეს ვერც კი წარმოვიდგენთ. მაშ, რატომ ვრჩებით ამ შესაბრალის მდგომარეობაში? იმიტომ, რომ ჩვენი გარჯის თითქმის მთელ ნაყოფს ადამიანები გვპარავენ. სწორედ აქაა, მეგობრებო, ჩვენი სატკივარის თავიდათავი. იგი ჯამდება ერთადერთ სიტყვაში: ადამიანი. ადამიანია ჩვენი ერთადერთი რეალური მტერი. გააქრეთ ადამიანი და ამით სამუდამოდ გააუქმებთ შიმშილსა და მონური შრომის უმთავრეს მიზეზს.

ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც მხოლოდ ნთქავს და არაფერს არ ქმნის. ის არც რძეს იძლევა, არც კვერცხს დებს,

მეტისმეტად სუსტია საიმისოდ, რომ გუთანი გასწიოს, და ისე სწრაფადაც ვერ დარბის, რომ კურდღლები დაიჭიროს. ამ დროს კი იგი ყველა ცხოველის ბატონია, ის ამუშავებს ცხოველებს და მხოლოდ იმდენს უბრუნებს მათივე ნამუშევრიდან, რომ შიმშილით არ დაიხოცონ, დანარჩენს კი თავისთვის იტოვებს. ჩვენ ვამუშავებთ და ვანოყიერებთ ნიადაგს და ამ დროს არც ერთ ჩვენგანს არ გააჩნია რაიმე, საკუთარი ტყავის თვინიერ. თქვენ, ჩემ წინ მსხდომო ძროხებო, რამდენი ლიტრი რძე მოიწველეთ შარშან? და სად წავიდა ეს რძე, იმის ნაცვლად, რომ ღონიერი ხბოები დაგეზარდათ? ის მთლიანად ჩვენი მტრების ყელში ჩარაკრაკდა. თქვენ, ქათმებო, რამდენი კვერცხი დადეთ შარშან და აქედან რამდენიდან გამოიჩეკა წიწილა? ყველა დანარჩენი ბაზარში წაიღეს, რათა ჯოუნზსა და მის ხალხს ფული ეშოვათ. ქლოვერ, სად არის შენი ოთხი კვიცი, შენივე სიჭარმაგის საყრდენად და სიამედ რომ უნდა გყოლოდა გვერდით? ყველა გაყიდეს, როგორც კი თითო წელი შეუსრულდათ, და თქვენ ვეღარასოდეს ნახავთ ერთმანეთს. რამე თუ მიგიღია ოდესმე შენი ოთხი მშობიარობისა და მინდვრად ოფლის ღვრის სანაცვლოდ, თავლაში დაყრილი თივის გარდა?

და ჩვენ არა გვაქვს ამ უბადრუკი არსებობის ბოლომდე გასრულების უფლება! საკუთარ თავზე არ ვჩივი - მე იღბლიანი გამონაკლისი ვარ. უკვე თორმეტ წელს მივაღწიე და ოთხასზე მეტი შვილი მყავს. ასეთია ღორის ბუნებრივი ყოფა. მაგრამ, საბოლოოდ, ყველა ცხოველს ბასრი დანა მოელის. თქვენ, ჩემ პირდაპირ დაყუნცულო ნორჩო ღორებო: ერთი წლის განმავლობაში თითოეული თქვენგანი სულს ჯალათის კუნძზე ამოაჭყვიტინებს. ყველას მოგველის ეს საშინელება: ძროხებს, ღორებს, ცხვრებს... - ყველას. თვით ცხენებისა და ძაღლების ხვედრიც არაფრით არის უფრო შესაშური. აი, შენ, ბოქსერ! იმ დღეს, როდესაც ძალუმ კუნთებში ძალა გამოგელევა, ჯოუნზი შენს თავს

გამტყავებელს მიჰყიდის. ის კი ყელს გამოგჭრის და ლაზათიანად ჩაგხარშავს მელიებზე მონადირე ძაღლების გასაძღობად. რაც შეგეხებათ ძაღლებს: როგორც კი დაბერდებით და კბილები დაგიცვდებათ, ჯოუნზი ყელზე აგურს დაგკიდებთ და უახლოეს ტბაში ჩაგახრჩობთ.

მაშ, განა დღესავით ნათელი არ არის, ამხანაგებო, რომ ჩვენი ცხოვრების ყველა ბოროტება ადამიანის ტირანიიდან მოდის? ერთხელაც თავი დავაღწიოთ ადამიანს და ჩვენი გარჯის შედეგი მთლიანად ჩვენი იქნება. თითქმის ერთ ღამეში შეგვეძლო გავმხდარიყავით მდიდრები და ბედნიერები. რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის? რა და ის, რომ ვიმუშაოთ დღე და ღამე, არ დავზოგოთ სული და სხეული, რათა ადამიანის მოდგმა დაემხოს! აჯანყება! - აი, ჩემი სიტყვა, ამხანაგებო. არ ვიცი, როდის დაჰკრავს მისი საათი, ერთ კვირაში თუ ასი წლის შემდეგ, მაგრამ ჩემს ფეხქვეშ გაშლილ ამ ნამჯასავით ვხედავ, რომ ადრე თუ გვიან სამართალი პურს შეჭამს. ამას მიაპყარით მზერა, ამხანაგებო, თქვენი დარჩენილი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე! უპირველეს ყოვლისა კი, გადაეცით ეს სიტყვა თქვენს შემდეგ მომსვლელთ, რათა მომავალმა თაობებმა განაგრძონ ბრძოლა, ვიდრე ეს ბრძოლა გამარჯვებით არ დაგვირგვინდება.

და გახსოვდეთ, ამხანაგებო: თქვენი გადაწყვეტილება ურყევი უნდა იყოს. არც ერთმა მოსაზრებამ გზიდან არ უნდა გადაგახვევინოთ. ყური არ ათხოვოთ, თუკი გეტყვიან, რომ ადამიანს და ცხოველს საერთო ინტერესები ამოძრავებთ, რომ პირველის კეთილდღეობა მეორის კეთილდღეობასაც ნიშნავს. ტყუილია ეს ყველაფერი. ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იღვწის. ჩვენში კი, ცხოველებში, დაე, სრული ერთიანობა, ძმობა და მეგობრობა სუფევდეს ჩვენი საერთო მიზნისათვის ბრძოლაში. ყველა ადამიანი მტერია, ყველა ცხოველი - მეგობარი.

ამ მომენტში საშინელი ღრიანცელი ატყდა. ვიდრე მეიჯორი ლაპარაკობდა, თავიანთი სოროებიდან ოთხი ნაპატივები ვირთხა გამომძვრალიყო და, კუდ-კუდუსუნზე წამომსხდარნი, ოთხივენი ორატორს უსმენდნენ. უცებ ვირთხებს ძაღლებმა მოჰკრეს თვალი და მათი ტყავი მხოლოდ სოროებში სასწრაფოდ მოკურცხვლამ გადაარჩინა. მეიჯორმა შეკრებილთა დასაშოშმინებლად ჩლიქიანი ფეხი ასწია:- ამხანაგებო, - თქვა მან, - ჩვენ წინაშე დგას ერთი საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს. გარეული მხეცები, ვთქვათ, ვირთხები ან კურდღლები, მეგობრებად გვერგებიან თუ მტრებად? მოდით, კენჭი ვყაროთ. დამსწრეთ ვთავაზობ შეკითხვას: არიან თუ არა ვირთხები ჩვენი ამხანაგები?

კენჭი თვალის დახამხამებაში უყარეს და დიდი უმრავლესობის გადაწყვეტილებით ვირთხები მეგობრებად იქნენ შერაცხილნი. მხოლოდ ოთხი ცხოველი აღმოჩნდა განსხვავებული აზრის: სამი ძაღლი და კატა. ამ უკანასკნელს, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებისთვის ერთად მიეცა ხმა. მეიჯორმა განაგრძო:- ცოტა რამ კიდევ მაქვს სათქმელი. უბრალოდ ვიმეორებ: მუდამ გახსოვდეთ თქვენი შეურიგებლობა ადამიანისა და ყოველივე მისეულის მიმართ! ყოველი არსება, რომელიც ორ ფეხზე დადის, მტერია, ყოველი ოთხფეხა ან ფრთოსანი არსება - მეგობარი. გახსოვდეთ ისიც, რომ, თუმცა კი უნდა ვებრძოლოთ ადამიანს, მაგრამ ამ ბრძოლაში არაფრით არ უნდა დავემსგავსოთ მას. და როდესაც მას დაამარცხებთ, მაშინაც კი არ უნდა შეითვისოთ მისი მანკიერებანი. არც ერთმა ცხოველმა არ უნდა იცხოვროს სახლში, არ უნდა იძინოს საწოლში, არ უნდა მიიღოს ალკოჰოლი, არ უნდა მოსწიოს თამბაქო, არ უნდა შეეხოს ფულს და არ უნდა გაერიოს ვაჭრობაში. ადამიანის ყველა ჩვეულება ბოროტებაა. უწინარეს ყოვლისა კი, არც ერთმა ცხოველმა არასოდეს არ უნდა დაჩაგ-

როს და არ უნდა მოკლას თავისივე მსგავსი. ყველა ცხოველი თანასწორია.

ახლა კი, ამხანაგებო, გიამბობთ ჩემს სიზმარს. მე არც კი ძალმიძს მისი გადმოცემა. ეს იყო ხილვა იმ დედამიწისა, რომლის პირიდან გამქრალია ადამიანი. მაგრამ, ამავე დროს, მან მე გამახსენა დიდი ხნის დავიწყებული რამ. მრავალი წლის წინ, როცა ჯერ კიდევ პატარა გოჭი ვიყავი, დედაჩემს და რამდენიმე სხვა ღორს ჩვეულებად ჰქონდათ წაემღერათ ერთი ძველი სიმღერა, რომლიდანაც მათ მხოლოდ მელოდია და პირველი სამი სიტყვა ახსოვდათ. ბავშვობაში მეც ვიცოდი ეს მელოდია, მაგრამ უკვე დიდი ხანია, რაც გონებიდან ამომეშალა. და აი, წუხელ ის სიმღერა სიზმრად მეწვია. მეტიც, მეწვია არა მხოლოდ მელოდია, არამედ ტექსტიც, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, დიდი ხნის წინათ წარმოთქვამდნენ ჩვენი წინაპრები და რომელიც შემდგომ თაობებში დავიწყებას მიეცა. დღეს, ამხანაგებო, მე თქვენ ამ სიმღერას გიმღერებთ. მოხუცი ვარ და ხმაც ხრინწიანი მაქვს, მაგრამ, რაკი ერთხელ შეგასწავლით, თქვენ ჩემზე უკეთ იმღერებთ. მისი სახელია „მხეცნო ინგლისის“.

მოხუცმა მეიჯორმა ყელი ჩაიწმინდა და ამღერდა. ხმა, როგორც თვითონვე აღნიშნა, ჩახრინწული ჰქონდა, მაგრამ მაინც მშვენივრად მღეროდა და მელოდიაც გულის ამაჩუყებელი გახლდათ, რაღაც „კლემენტინსა“ და „კუკარაჩას“ შუა მონავარდე. აი, მისი სიტყვები:

მხეცნო ინგლისის და ირლანდიის, ცხოველნო ყველა მიწის და ჰავის, სასიხარულოს გაუწყებთ ამბავს: ჩვენი მყობადი ოქროსფრად ყვავის!

ადრე თუ გვიან დადგება ის დღე, ტირანი კაცი როს დაემხობადა დიდ ინგლისის უხვ ველ-მინდვრებზე იმეფებს ოდენ ცხოველთა ძმობა.

ჩამოვიშორებთ ცხვირიდან რგოლებს, ხოლო ზურგიდან - ტლანქ მოსართავებს, ლაგამს და დეზებს გამოხრავს ჟანგი, სასტიკი შოლტიც ვერ აგვატყავებს.

და ჩვენს საუნჯეს ვეღარვინ დათვლის, ქერ-ხორბალ-შვრია დადგება მთებად, ცერცვსა, სამყურას და ქორფა ჭარხალს მოვისთვლით მხოლოდ ჩვენს საკუთრებად.

მზე გააბრწყინებს ინგლისის ველებს, წყლებო, თქვენც უფრო ალიკლიკდებით, ნიავნიც უფრო ამოდ დაჰბერენ, თავისუფალნი ოდეს ვიქნებით.

იმ დღისთვის უნდა ვიშრომოთ ყველამ, თუნდ ვერ მოვესწროთ მის გათენებას, ყველამ - ცხენ-ძროხამ, იხვ-ინდაურმა - თავისუფლების იწყოს შენება!

მხეცნო ინგლისის და ირლანდიის, ცხოველნო ყველა მიწის და ჰავის, ისმინეთ თქვენც და აუწყეთ სხვებსაც: ჩვენი მყობადი ოქროსფრად ყვავის!

სიმღერამ უკიდურესად აღაგზნო ცხოველები. მეიჯორს სიმღერა არ დაესრულებინა, რომ ყველა დამსწრე ერთად ამღერდა. მათ შორის უჩლუნგესსაც კი უკვე მოესწრო მელოდიის და რამდენიმე სიტყვის დაჭერა, ხოლო ისეთ მაღალნიჭიერთ, როგორიც ძაღლები და ღორები არიან, მთელი სიმღერა პირველ წუთებშივე დაეზეპირებინათ. რამდენიმე წავარჯიშების შემდეგ სიმღერამ განსაცვიფრებელი ხმაშეწყობით იფეთქა მთელ ფარდულში. ძროხები ზმუილით მღეროდნენ, ძაღლები - ყმუილით, ცხენები - მხიარული ჭიხვინით, იხვები - ყიყინით. იმდენად გაერთნენ მღერით, რომ სიმღერა ზედიზედ ხუთჯერ იმღერეს და, ალბათ, მთელ ღამეს იმღერებდნენ, მოულოდნელად რომ არ შეეწყვეტინებინათ.

საუბედუროდ, ამ გნიასმა მისტერ ჯოუნზი გამოაღვიძა და ისიც საწოლიდან წამოვარდა, დარწმუნებული, რომ ეზოში მელა შემოპარულიყო, ხელი დასტაცა მუდამ მისი საწოლი ოთახის

კუთხეში მიყუდებულ თოფს და პირდაპირ ღამის წყვდიადში დააქუხა საფანტი. ტყვიის ბურთულაკები ფარდულის კედელს შეასკდნენ და იქ შეკრებილნიც მსწრაფლ მიფანტმოფანტეს. თი-თოეულმა თავის საძინებელ ალაგს მიაშურა. ფრინველები ქან-დარებს შეასკუპდნენ, ცხოველები ნამჯაზე გაილურსნენ და ორი-ოდ წუთში მთელი ფერმა ძილმა მოიცვა.

თავი II

სამი დღის შემდეგ მეიჯორი მშვიდობით მიიცვალა ძილში. მისი ცხედარი ხეხილის ბაღის განაპირას დაკრძალეს. ეს მოხდა მარტის დასაწყისში. მომდევნო სამი თვე აღსავსე იყო ყოვლად საიდუმლო საქმიანობით. მეიჯორის სიტყვამ ცხოველთა შორის ყველაზე გონიერთ ცხოვრების ახალი ხედვა გაუხსნა. მათ არ იცოდნენ, როდის იქცეოდა სინამდვილედ მეიჯორის მიერ ნაწინასწარმეტყველები აჯანყება, არც რაიმე ხელჩასაჭიდი მიზეზი ჩანდა საიმისოდ, რომ თავისივე სიცოცხლეში ჰქონოდათ ამის მოლოდინი, მაგრამ ერთს კი ნათლად ხედავდნენ: ამ დღისთვის მომზადება მართებდათ. სხვების დამოძღვრისა და ორგანიზების საქმე სრულებით ბუნებრივად დაევალათ ღორებს, რომლებიც, როგორც წესი, ცხოველთა შორის უჭკვიანესებად ითვლებოდნენ. მათ შორის ყველაზე დიდი სახელი ჰქონდა ორ დაკოდილ ღორს, სნოუბოლსა და ნაპოლეონს, რომელთაც მისტერ ჯოუნზი გასაყიდად ზრდიდა. ნაპოლეონი - მრისხანე შესახედაობის, სიტყვაძუნწი და საკუთარ ყაიდაზე მცხოვრები ზორბა ღორი - ერთადერთი ბერკშაირელი იყო მთელ ფერმაში. სნოუბოლი უფრო ცქვიტი, ენაწყლიანი და საზრიანი გახლდათ, თუმცა, საერთო აზრით, არა იმდენად ღრმა, როგორც ნაპოლეონი. ფერმის ყველა სხვა ღორი სასუფრე წვრილფეხობას წარმოადგენდა. მათ შორის საუკეთესოდ აღიარებული იყო სქვილერად წოდებული პატარა, ჩასუქებული ღორი ბურთივით მრგვალი ლოყები თ, მოჭუტული თვალები თ, მკვირცხლი მოძრაობებითა და მჭახე ხმით. იგი დიდებული მოლაპარაკე გახლდათ და, როცა რაიმე ძნელად დასამტკიცებელს ასაბუთებდა, ჩვეულებად ჰქონდა აქეთ-იქით ეხტუნა და კუდი ექნია, რაც მის მსჯელობას ერთობ

დამაჯერებელს ხდიდა. მავანთ სქვილერზე უთქვამთ, იმის ძალაც კი შესწევს, შავი თეთრად წარმოაჩინოსო.

სწორედ ამ სამეულმა აქცია მეიჯორის სწავლება დასრულებულ სისტემად, რ ომელსაც მათ „ანიმალიზმი“ უწოდეს. კვირაში რამდენჯერმე, მისტერ ჯოუნზის დაძინების შემდეგ, საიდუმლო შეხვედრებს აწყობდნენ ფარდულში და ცხოველებს ანიმალიზმის პრინციპებს აზიარებდნენ. თავდაპირველად გულის შემაღონებელ სიჩლუნგესა და უგულისყურ ობას წა აწყდნენ. ზოგიერთი ცხ ოველი ლოიალურობაზეც კი ლაპარაკობდა მისტერ ჯოუნზის მიმართ, და მას „პატრონად“ იხსენიებდა; ან კიდევ, სრულებით პრიმიტიულად შენიშნავდა, მისტერ ჯოუნზი ჩვენ გვკვებავს, ის რომ არა, ყველანი შიმშილით დავიხოცებოდითო. სხვები იძლეოდნენ ამგვარ შეკითხვებს: „რაში გვანაღვლებს, რა მოხდება მაშინ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით?“ ან: „თუ აჯანყება ყველა შემთხვევაში გარდაუვალია, რაღა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ მოვაწყობთ მას თუ სხვები?“ ღორებს დიდი სიძნელეების გადალახვა დასჭირდათ იმის განსამარტავად, რომ მსგავსი მიდგომა ეწინააღმდეგებოდა ანიმალიზმის სულს. ყველაზე ბრიყვული კითხვა დასვა თეთრმა ფაშატმა მოლიმ. სნოუბოლისადმი დასმული მისი პირველი შეკითხვა ასე ჟღერდა:- შაქარი აჯანყების მერეც იქნება?

- არა, - მიუგო სნოუბოლმა მტკიცედ, - ამ ფერმაში ჩვენ შაქრის გაკეთების არანაირი საშუალება არა გვაქვს. გარდა ამისა, შენ აღარ დაგჭირდება შაქარი. შენ გექნება იმდენი შვრია და თივა, რამდენსაც მოისურვებ.

- ისევ მექნება ფაფარში ბაფთის ტარების უფლება?

- იკითხა მოლიმ.

- ამხანაგო, - უთხრა მას სნოუბოლმა, - ეგ შენი განუყრელი ბაფთები მონობის ნიშანია. ნუთუ არ გესმის, რომ თავისუფლება ბაფთებზე უფრო ძვირფასია?

მოლი დაეთანხმა, თუმცა არცთუ მთლად დარწმუნებული ტონით.

კიდევ უფრო მეტი ბრძოლა დასჭირდათ ღორებს იმისთვის, რომ გაექარწყლებინათ შინაური ყორნის, მოსეს მიერ გავრცელებული ტყუილები. მოსე, მისტერ ჯოუნზის საგანგებო ფრინველი, ჯაშუში და ენატანია იყო და, იმავე დროს, საზრიანი მოლაპარაკეც. იგი ამტკიცებდა, რომ არსებობს „შაქარყინულის მთად“ წოდებული ქვეყანა, სადაც ცხოველები სიკვდილის შემდეგ ხვდებიან. ეს ქვეყანა, ამბობდა მოსე, მდებარეობს სადღაც ცაში, ღრუბლებზე ოდნავ მაღლა. შაქარყინულის მთაზე კვირაში შვიდივე დღე კვირა იყო, სამყურა მთელი წლის განმავლობაში ყვაოდა, ხოლო ნატეხი შაქარი და სელის თესლის ორცხობილა პირდაპირ გალავნებზე ხარობდა. ცხოველებს სძულდათ მოსე, რადგან ის ამბებს ჰყვებოდა და არ მუშაობდა, მაგრამ ზოგიერთს მაინც სჯეროდა შაქარყინულის მთის არსებობა და ღორებმა მხოლოდ დიდი ძალისხმევის ფასად დაარწმუნეს საპირისპიროში.

ღორების უერთგულესი მოწაფეები იყვნენ საფორნე ცხენები, ბოქსერი და ქლოვერი. მათ ერთობ უჭირდათ რაიმეს თავად მოფიქრება და, რაკი ღორები იმთავითვე მასწავლებლებად მიიღეს, ყველაფერს, რასაც ეს უკანასკნელნი ეტყოდნენ, ხარბად ნთქავდნენ და სხვა ცხოველებსაც მარტივი არგუმენტებით გადასცემდნენ. ისინი არასოდეს აცდენდნენ საიდუმლო შეკრებებს და უძღვებოდნენ სიმღერას, რომლითაც ცხოველები ამ შეხვედრებს ტრადიციულად ამთავრებდნენ.

აჯანყება უფრო ადრე და უფრო იოლად განსახორციელებელი აღმოჩნდა, ვიდრე რომელიმე მათგანს წარმოედგინა. წარსულში მისტერ ჯოუნზი მკაცრი და უნარიანი ფერმერი იყო, მაგრამ შემდეგ ცუდ დღეში ჩავარდა. იგი ერთ სასამართლო პროცესში გვარიანი თანხის დაკარგვას დაედარდიანებინა და ჭარ-

ბად ეტანებოდა სასმელს. მთელ დღეებს სამზარეულოში მდგარ თავის უინძორულ სკამზე გაშხლართული ატარებდა, არაფერს აკეთებდა, გაზეთების ფურცვლის, სმისა და დრ ოდადრ ო ყორან მოსესთვის ლუდში ჩამბალი პურის ფინჩხების დაყრის გარდა. მისი ხელქვეითნი ზარმაცობდნენ და იტყუებოდნენ, მიწები სარეველას დაეფარა, ცხოველებს კი საკვები აკლდათ.

მოვიდა ივნისი და თიბვის დროც დადგა. შაბათს, ივანობის დღესასწაულზე, მისტერ ჯოუნზი უილინგდონში წავიდა და „წითელ ლომში“ ისე გამოთვრა, რომ შინ კვირას, შუადღესღა დაბრუნდა. ფერმის მუშებს დილაადრიან ძროხები მოეწველათ და პირდაპირ კურდღლებზე სანადიროდ გაცვივნულიყვნენ, ცხოველთა გამოსაკვებად თავი აღარ შეეწუხებინათ. უკან დაბრუნებულმა ჯოუნზმა მაშინვე სასტუმრო ოთახში მდგარ სოფას მიაშურა, სახეზე„მსოფლიოს ამბები“ გადაიფარა და ისე ჩაიძინა, რომ საღამომდე ცხოველები ისევ უჭმელნი დარჩნენ. ბოლოს მათ უკვე ვეღარ მოითმინეს, ერთ-ერთმა ძრ ოხამ რქებით შეამტვრია საკუჭნაოს კარი და ყველა ცხოველმა პირდაპირ საკუჭნაოდან დაიწყო თქვლეფა. სწორედ ამ დროს გაეღვიძა მისტერ ჯოუნზსაც. იმავე წუთს, ოთხ კაცთან ერთად, იგი საკუჭნაოში გაჩნდა და ხუთივენი შოლტების ქნევას მოჰყვნენ. ეს იმაზე მეტი აღმოჩნდა, რისი ატანაც მშიერ პირუტყვებს შეეძლოთ და, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ არაფერი დაუგეგმავთ, ისინი მწყობრი იერიშით დაესხნენ თავს თავიანთ მტანჯველებს. ჯოუნზმა და დანარჩენებმა უეცრად იგრძნეს, რომ მათ ყოველი მხრიდან უტევენ და სიტუაცია სრულებით აღარ ექვემდებარება კონტროლს. უწინ ცხოველთა ასეთი ქცევა არც კი დასიზმრებიათ და ამჯერად მოულოდნელმა ამბოხმა ამ არსებებისა, რომელთაც ისინი ყოველთვის ისე ეპყრობოდნენ, როგორც მოეპრიანებოდათ, შიშისგან მთლად აუბნიათ თავგზა. ორიოდე მცდელობის შემდეგ, ცხოველთა დაურვება შეწყვიტეს და უკანმოუხედავად მოქუს-

ლეს. ერთი წუთიც და - ხუთივე თავქუდმოგლეჯით მიქროდა მთავარი გზისკენ მიმავალ საფორნე თემშარაზე, უკან ტრიუმ-ფითდადევნებული ცხოველების გუნდით.

მისის ჯოუნზმა საწოლი ოთახის ფანჯრიდან დაინახა, რა ამბავი დატრიალებულიყო მათ თავს, ნაქსოვ ჩანთაში ფაცხაფუცხით ჩატენა რამდენიმე აუცილებელი ნივთი და უკანა გასასვლელიდან გასხლტა. მოსემაც თავისი ქანდარიდან ისკუპა და დიასახლისს ფრთების ტყლაშუნითა და ხმამაღალი ჩხავილით დაედევნა. ამასობაში ცხოველებმა ჯოუნზი და მისი კაცები მთავარ გზამდე გაყარეს და ზურგს უკან ზათქით მიუჯახუნეს ხუთძელიანი ჭიშკარი. ვიდრე ისინი თვითონვე გაერკვეოდნენ, რა ხდებოდა, ამბოხი დიდი წარმატებით დასრულდა: ჯოუნზი აღარ არსებობდა, მანორის ფერმა კი მათ საკუთრებად ქცეულიყო.

პირველ წუთებში ცხოველებს ვერც კი დაეჯერებინათ თავიანთი ბედნიერება. პირველ ყოვლისა, მათ კუნტრუშით შემოუარეს ფერმის მთელ ტერიტორიას, რათა ბოლომდე დარწმუნებულიყვნენ, რომ იქ კაცის მოდგმისა აღარავინ დარჩენილიყო. შემდეგ კვლავ ფერმის ნაგებობებს მიაშურეს, რათა მიწის პირისაგან აღეგავათ ჯოუნზის მეუფების უკანასკნელი ნიშანი. თავლის ერთ ბოლოში მდებარე მოსართავების ოთახი სულ მიანგრ--მოანგრიეს; ლაგამაღვირებს, საცხვირე რგოლებს, ძაღლის ჯაჭვებს, უმოწყალო დანებს, რომელთაც მისტერ ჯოუნზი ღორებისა და ბატკნების კასტრირებისთვის იყენებდა - ყველაფერს ჭაში ჩაუძახეს. ცეცხლის ალში გახვეული შოლტ-მათრახების შემხედვარე ცხ ოველები სიხარულით ხტუნ ავდნენ. სნოუბოლმა ცეცხლში ისროლა ის ბაფთებიც, რომლებითაც ბაზრის დღეებში ცხენების კუდებსა და ფაფრებს ამშვენებდნენ.

- ბაფთებიც ერთგვარი სამოსელია, - დასძინა მან, - ეს კი ადამიანის ნიშანია. ყველა ცხოველი შიშველი უნდა იყოს.

როგორც კი ამას ყური მოჰკრა ბოქსერმა, მაშინვე ჩალის პატარა ქუდი მოარბენინა, რომელსაც ზაფხულობით ბუზების საწინააღმდეგოდ ხმარობდა, და სხვა ნივთებთან ერთად ცეცხლში ჩააგდო.

სულ მცირე დროში ცხოველებმა მიწასთან გაასწორეს ყველაფერი, რაც კი მისტერ ჯოუნზს გაახსენებდათ. შემდეგ ნაპოლეონი მათ კვლავ საკუჭნაოში წაუძღვა და თითოეულს ხორბლის ორი ულუფა, ძაღლებს კი - ორ-ორი ორცხობილა მიართვა. ბოლოს მათ შვიდჯერ თავიდან ბოლომდე იმღერეს „მხეცნო ინგლისის“, მერე კი მიწვნენ და ისეთი ძილით დაიძინეს, როგორითაც უწინ არასოდეს დაუძინიათ.

დილით ჩვეულებრივად გაიღვიძეს... და უცებ რომ გაახსენდათ წინადღეს მომხდარი საუცხოო ამბავი, ყველანი საძოვარზე გაცვივდნენ. იქვე, მინდვრის ქვედა ნაწილში, იყო ერთი პატარა ბორცვი, საიდანაც ფერმის თითქმის მთელი ტერიტორია მოჩანდა. ცხოველები ბორცვს თავზე მოექცნენ და დილის კაშკაშა სინათლეში ირგვლივ ყველაფერი მოათვალიერეს. დიახ, ყველაფერი, რასაც კი ხედავდნენ, მათი და მხოლოდ მათი იყო! ამ აზრისაგან მოგვრილ ექსტაზში ტრიალებდნენ, ჰაერში ხტუნავდნენ, დილის ნამიან ბალახში გორაობდნენ, პირს ზაფხულის ტკბილი ბალახით იტენიდნენ, შავი მიწის ბელტებს თხრიდნენ და მის ბარაქიან სურნელს ისუნთქავდნენ. შემდეგ მთელი ფერმა დაკვირვებით დაათვალიერეს. უსიტყვო აღფრთოვანებით შეაცქერდნენ სახნავ მიწას, სათიბს, ხეხილის ბაღს, ტბორსა და ბუჩქნარს, თითქოს პირველად ხედავდნენ ამ სანახებს, და ჯერ კიდევ უჭირდათ დაჯერება, რომ ეს ყველაფერი მათ ეკუთვნოდათ. ამის შემდეგ ისინი მწკრივად დაბრუნდნენ უკან და უხმოდ შეჩერდნენ მისტერ ჯოუნზის საბინადროს კართან. ეს სახლიც მათი იყო, მაგრამ რატომღაც ეშინოდათ შიგ შესვლის. მცირე დაყოვნების შემდეგ სნოუბოლმა და ნაპოლეონმა კარს მხარი

ჰკრეს და ცხოველები ერთიმეორის მიყოლებით შევიდნენ შენობაში, შევიდნენ ისეთი სიფრთხილით, თითქოს ვინმეს შეწუხებას ერიდებიანო. ფეხის წვერებზე დაიარებოდნენ ოთახიდან ოთახში, მხოლოდ ჩურჩულით თუ ბედავდნენ ხმის ამოღებას და რაღაც შიშის მსგავსი გრძნობით შეჰყურებდნენ დაუჯერებელ ფუფუნებას: ბუმბულისლეიბიან საწოლებს, სარკეებს, ცხენის ძუისგან დაწნულ სოფას, ბრიუსელურ ნოხს, სადარბაზო ოთახში ბუხრის თავზე დაკიდებულ დედოფალ ვიქტორიას ლითოგრაფიას... როცა კიბეზე ეშვებოდნენ, აღმოაჩინეს, რომ მოლი აკლდათ. რამდენიმე ცხოველი უკან დაბრუნდა და მოლი საუკეთესო საწოლ ოთახში იპოვეს. მისის ჯოუნზის მაგიდიდან მას ცისფერი ბაფთა აეღო, მხართან მიედო და სარკის წინ ყოვლად ტუტუცურად იპრანჭებოდა. ცხოველებმა მოლის მკაცრად უსაყვედურეს და ოთახიდან გავიდნენ. სამზარეულოში დაკიდებული რამდენიმე ბარკალი დასაკრძალავად გაიტანეს, ჭურჭლის სარეცხ ოთახში კი ბოქსერმა ჩლიქით ლუდის კასრი შეამტვრია. სხვა მხრივ, ადამიანთა ყოფილ საბინადროში ყველაფერი ხელუხლებლად დატოვეს. მიღებულ იქნა ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომ შენობა მუზეუმად შენახულიყო. ყველა შეთანხმდა, რომ არც ერთ ცხოველს არასოდეს ეცხოვრა ამ სახლში.

ცხოველებმა ისაუზმეს, რის შემდეგაც სნოუბოლმა და ნაპოლეონმა კვლავ ყველანი შეკრიბეს.

- ამხანაგებო, - თქვა სნოუბოლმა, - ჯერ შვიდის ნახევარია და წინ ხანგრძლივი დღე გველის. დღეს თიბვას ვიწყებთ. მაგრამ მანამდე სხვა რამ უნდა მოგვარდეს.

ამჯერად ღორებმა დანარჩენ ცხოველებს გაუმხილეს, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში მათ შეისწავლეს წერაკითხვა მართლწერის ერთი სახელმძღვანელოს მეშვეობით, რომელიც უწინ მისტერ ჯოუნზის ბავშვებს ეკუთვნოდა და უკვე დიდი ხანია ნაგვის გროვაზე ეგდო. ნაპოლეონმა შავი და თეთრი საღებავები

მოატანინა და მთავარ გზაზე გამსვლელი ხუთძელიანი ჭიშკრისკენ გაეშურა. შემდეგ სნოუბოლმა (სწორედ მას ეხერხებოდა წერა სხვებზე უკეთ) თავისი ორად გაყოფილი ჩლიქით ფუნჯი მოიმარჯვა, ჭიშკრის თავხეზე წარწერილი „მანორის ფერმა“ წაშალა და მის ნაცვლად „ცხოველების ფერმა“ დააწერა. ამიერიდან ასე ერქმეოდა ფერმას. ამის შემდეგ სნოუბოლი და ნაპოლეონი ფერმაში დაბრუნდნენ და ცხოველებს კიბე მოატანინეს, რომელიც დიდი ფარდულის უკანა კედელს მიადგეს. მათ ყველას განუმარტეს, რომ, ბოლო სამი თვის განმავლობაში ჩატარებული მეცადინეობების წყალობით, მათ შვიდ მცნებად ჩამოაყალიბეს ანიმალიზმის პრინციპები. ამჯერად ეს შვიდი მცნება კედელზე უნდა დაწერილიყო, რითაც დაფიქსირდებოდა ფერმაში მყოფი ცხოველების შეუცვლელი კანონი და ცხოვრების სამარადისო წესი. გარკვეულ სიძნელეთა გადალახვის შემდეგ (ღორისთვის ხომ არც ისე იოლია წონასწორობის შენარჩუნება ორ ფეხზე), სნოუბოლი კიბეზე ავიდა და მუშაობას შეუდგა. იქვე, რამდენიმე საფეხურით ქვემოთ, სქვილერს საღებავიანი ქილა ეჭირა. მცნებები შავად გაფისულ კედელზე დაიწერა დიდი თეთრი ასოებით, რათა თვალს ოცდაათი იარდის მანძილიდანაც წაეკითხა. აი, ისინიც:

შვიდი მცნება

1. ორ ფეხზე მოსიარულე ყველა არსება მტერია.
2. ყველა ოთხ ფეხზე მოსიარულე ან ფრთოსანი არსება მეგობარია.
3. არც ერთი ცხოველი არ ჩაიცვამს ტანსაცმელს.
4. არც ერთი ცხოველი არ დაიძინებს საწოლში.
5. არც ერთი ცხოველი არ დალევს ალკოჰოლს.
6. არც ერთი ცხოველი არ მოკლავს სხვა ცხოველს.
7. ყველა ცხოველი თანასწორია.

წარწერა საოცრად კოხტა გამოვიდა. თუ არად ჩავაგდებთიმას, რომ „მეგობრის“ ნაცვლად „მეგბოარი“ ეწერა, ერთი„ს“ კი - უკუღმა, მთლიანობაში მართლწერა უნაკლო იყო. სნოუბოლმა დანარჩენების გასაგონად მცნებები ხმამაღლა წაიკითხა. ყველა ცხოველმა სრული თანხმობის ნიშნად თავი დააკანტურა, მათ შორის ყველაზე საზრიანებმა კი მაშინვე დაიწყეს მცნებების დაზეპირება.

- ახლა კი სათიბისკენ, ამხანაგებო! - თქვა სნოუბოლმა და ფუნჯი ძირს დააგდო. - ვიმარჯვოთ და ჯოუნზსა და მის ხალხზე უფრო სწრაფად გავიტანოთ ლელო!

მაგრამ ამ მომენტში ხმამაღლა აზმუვლდა სამი ძროხა, რომლებიც დილიდანვე შეუძლოდ გამოიყურებოდნენ. მთელი ოცდაოთხი საათი ისინი არავის მოეწველა და სადაცაა ჯიქნები დაუსკდებოდათ. წამით დაფიქრების შემდეგ, ღორებმა ვედროები მოატანინეს და ძროხები დიდი წარმატებით მოწველეს. მათი ჩლიქები მშვენივრად მიესადაგა ამ საქმეს. სულ მალე ხუთ ვედროში ქაფქაფებდა ახალმოწველილი რძე, რომელსაც არაერთი ცხოველი შეჰყურებდა ღრმა ინტერესით.

- რა უნდა ვუქნათ ამდენ რძეს? - იკითხა ვიღაცამ.

- ზოგჯერ ჯოუნზი ცოტაოდენ რძეს ქატოში გვირევდა ხოლმე, - თქვა ერთმა ქათამმა.

- რძეს არაფერი უჭირს, ამხანაგებო! - შესძახა ნაპოლეონმა და ვედროების წინ დადგა. - რძე დაიცდის. სათიბი უფრო მნიშვნელოვანია. ამხანაგი სნოუბოლი წაგიძღვებათ. რამდენიმე წუთში მეც დაგეწევით. წინ, ამხანაგებო! სათიბი გველოდება.

ცხოველები მწყობრად გაეშურნენ მინდვრისაკენ, სადაც თიბვა უნდა დაეწყოთ. საღამოს, როდესაც უკან დაბრუნდნენ, ზოგიერთმა შენიშნა, რომ რძე სადღაც გამქრალიყო.

თავი III

ო, როგორ დაშვრნენ და გაიოფლნენ ბალახის თიბვაში! მაგრამ მათი ძალისხმევა დაფასდა, რადგან საბოლოო წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ზოგჯერ სამუშაო მეტისმეტად მძიმე იყო: იარაღები ხომ ადამიანთათვის იყო შექმნილი და არა ცხოველებისთვის! დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ის ამბავი, რომ არც ერთ ცხოველს არ შეეძლო ისეთი სამუშაო იარაღის ხმარება, რომლის დროსაც საჭირო იყო უკანა ფეხებზე დგომა. მაგრამ ღორები იმდენად მოხერხებულები გამოდგნენ, რომ ყოველგვარ სირთულეს უძებნიდნენ გასაღებს. რაც შეეხება ცხენებს, ისინი ზედმიწევნით იცნობდნენ მინდვრის ყოველ გოჯს და გაცილებით უკეთ ესმოდათ თიბვა--ხვეტის საქმე, ვიდრე ჯოუნზსა და მის ხალხს. მართალია, ღორები თვითონ არ მუშაობდნენ, მაგრამ ისინი სხვებს ხელმძღვანელობდნენ და მეთვალყურეობდნენ. მათი ცოდნა-განათლებიდან გამომდინარე, სრულებით ბუნებრივი იყო, რომ სწორედ მათ უნდა ეკისრათ მმართველობა. ბოქსერი და ქლოვერი ბალახის საჭრელ მანქანას ან საცხენე ფოცხს მოიმარჯვებდნენ (ცხადია, იმ დღეებში მათ არანაირი ლაგამ-აღვირი არ დასჭირვებიათ) და გულმოდგინედ უვლიდნენ მინდორს უკან ადევნებული ღორის მარადგამამხნევებელი შეძახილებით: „აჩუ, ამხანაგო!“ ან „სდექ, ამხანაგო!“ (ვითარებისდა მიხედვით). უკლებლივ ყველა ცხოველი - თვით ყველაზე მოკრძალებული ზომა-წონის პატრონიც - ერთნაირად ჩაბმულიყო ბალახის გადაბრუნება--შეგროვების საქმეში. თვით იხვებსა და ქათმებსაც მთელ დღეს თაკარა მზის ქვეშ წინ და უკან დაჰქონდათ ნისკარტში გაჩრილი მოთიბული ბალახის ღერები. საბოლოოდ, თიბვა იმ დროზე ორი დღით ადრე დასრულდა, რომელსაც იმავე საქმეს ჯოუნზი და მი-

სი მუშები ანდომებდნენ. მეტიც: ამდენი თივა ფერმას არასოდეს უნახავს. მიუხედავად ამისა, მაინც არავინ არაფერს ფლანგავდა. გამჭრიახი მზერის წყალობით, ქათმებმა და იხვებმა ერთი ღერი ბალახიც კი არსად დატოვეს. თიბვის დროს ფერმის არც ერთ ცხოველს ერთი ლუკმაც არ მოუპარავს.

მთელი ზაფხული ფერმამ საათივით აწყობილმა იშრომა. ცხოველები ბედნიერები იყვნენ, რადგან უწინ ვერც კი წარმოედგინათ, რომ შესაძლებელი იქნებოდა ასე ცხოვრება. ყოველი ლუკმა ორგზის უფრო საამო იყო: ამჯერად ეს ნამდვილად მათ მიერ თავისთვისვე მომზადებული საკვები გახლდათ და არა პატრონის ხელით, დამადლებით მოყრილმოგდებული! უღირს და პარაზიტ ადამიანთა წასვლის შემდეგ თითოეულს უფრო მეტი საკვები ხვდებოდა, მეტი ჰქონდათ მოცალეობაც, თუმცა ამ სფეროში გამოუცდელები იყვნენ. გზადაგზა ბევრი სიძნელე შეხვდათ. მაგალითად, შემოდგომაზე, როდესაც ხორბალს აბინავებდნენ, იძულებულნი გახდნენ, ძველი მეთოდით გაელეწათ და ბერვით განეცალკევებინათ ბზისგან, რაკიღა ფერმას გასალეწი მანქანა არ ჰქონდა. მაგრამ ჭკუისკოლოფა ღორებმა და მძლავრკუნთიანმა ბოქსერმა აქაც იმარჯვეს. ეს უკანასკნელი საყოველთაო აღფრთოვანების საგნად ქცეულიყო. ჯოუნზის დროსაც დიდი მშრომელი გახლდათ, მაგრამ ახლა უკვე სამი ცხენის საქმეს აკეთებდა. იყო დღეები, როდესაც თითქოს მთელი ფერმის საზრუნავი მის ძალუმ მხრებზე გადადიოდა. დილიდან საღამომდე ეწეოდა და აწვებოდა, თანაც - მუდამ ფერმის იმ წერტილში, სადაც უმძიმესი საქმე კეთდებოდა. მოლაპარაკებული იყო ერთ ყვინჩილასთან, რომელიც მას ყველა სხვა ცხოველზე ნახევარი საათით ადრე აღვიძებდა, და ბოქსერიც ხალისით ეკვეთებოდა ხოლმე რომელიმე ყველაზე საშურ საქმეს. მერე კი დღის ჩვეულებრივი სამუშაოებიც იწყებოდა. ყოველ პრობლემაზე თუ

შეფერხებაზე იგი ერთნაირად რეაგირებდა: „უკეთესად ვიმუშავებ!“ ეს თითქოს მისი პირადი ლოზუნგი იყო.

თუმცა, რასაკვირველია, ყველა თავისი შესაძლებლობების მიხედვით შრომობდა. მაგალითად, ქათმებმა და იხვებმა დაფანტული მარცვლების შეგროვებით დაკარგვას გადაარჩინეს ხუთი ბუშელი1 ხორბალი. არავინ იპარავდა, არავინ ბუზღუნებდა ულუფის სიმცირის გამო. ჩხუბი, კბენა და ეჭვიანობა - მათი წარსული ცხოვრების განუყრელად თანამდევი თვისებები - თითქმის მთლიანად გაქრა. არავინ გაურბოდა სამუშაოს. ან - თითქმის არავინ. ისე, რაც მართალია, მართალია, მოლი დილაობით დიდი ხალისით არ დგებოდა და სამუშაოსაც ნაადრევად ტოვებდა, ჩლიქში ქვა ჩამეჭედაო. კატის ქცევასაც ვერ დაარქმევდით ნორმალურს. მალე შეამჩნიეს, რომ, როდესაც საქმე იყო გასაკეთებელი, კატას ვერავინ პოულობდა. იგი საათობით იკარგებოდა და მხოლოდ ჭამის ან დასვენების დროს გამოჩნდებოდა, თითქოს აქ არაფერიაო, თუმცა ისე მოხდენილად იბოდიშებდა და ისეთი ხმამინაზებით კნაოდა, რომ შეუძლებელი იყო ეჭვის შეტანა მის კეთილ ზრახვებში. რაც შეეხება მოხუც ბენჯამინს, იგი აჯანყებას სრულებით არ შეეცვალა. თავის სამუშაოს უწინდებური სიდინჯით ასრულებდა: არც ზარმაცობდა და არც დამატებითი სამუშაოსთვის იკლავდა თავს, ამბოხსა და მის შედეგებზე არანაირ მოსაზრებას არ გამოთქვამდა. კითხვაზე - „რატომ?“ - ასე პასუხობდა: „ვირები დიდხანს ცოცხლობენ. არც ერთ თქვენგანს არ უნახავს მკვდარი ვირი“. სხვა რა გზა იყო, კითხვის დამსმელნი ამ იდუმალი პასუხით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

კვირაობით არავინ მუშაობდა. საუზმეს ჩვეულებრივზე ერთი საათით გვიან მიირთმევდნენ, რომლის შემდეგაც, კვირის გამოუტოვებლად, იმართებოდა ცხოველთა ცერემონია. თავდაპირველად აღმართავდნენ დროშას. სნოუბოლმა მოსართავების

ოთახში იპოვა მისის ჯოუნზის ძველი, მწვანე მაგიდის გადასაფარებელი, რომელზეც მან თეთრი ჩლიქი და რქა დახატა. კვირაობით ეს დროშა ფერმის ბაღში დარჭობილ სადროშე ჭოკზე ასრიალდებოდა ხოლმე. დროშის მწვანე ფერი, სნოუბოლის განმარტებით, გამოხატავდა ინგლისის ველთა სიმწვანეს, ხოლო ჩლიქი და რქა - ცხოველთა მომავალ რესპუბლიკას, როდესაც ადამიანთა მოდგმა საბოლოოდ დაემხობოდა. დროშის აღმართვის შემდეგ ყველა ცხოველი მწყობრად შედიოდა დიდ ფარდულში, სადაც„მიტინგად“ წოდებული საერთო თავყრილობა იმართებოდა. აქ იგეგმებოდა შემდეგი კვირის სამუშაო, კამათობდნენ და თანხმდებოდნენ. საბოლოო რეზოლუციებს მუდამ ღორები იღებდნენ. სხვა ცხოველებმა ის კი გაიგეს, თუ როგორ უნდა მიეცათ ხმა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება თვითონ არასოდეს შეეძლოთ. ყველაზე აქტიურ მოკამათეებს სნოუბოლი და ნაპოლეონი წარმოადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი ვერასოდეს რიგდებოდნენ ერთმანეთში: რაც უნდა ეთქვა ერთს, მეორე ყოველთვის საწინააღმდეგო პოზიციას იჭერდა. მაშინაც კი, როცა გადაწყდა ყველასთვის მისაღები ამბავი - ხეხილის ბაღის გადაღმა გამოეყოთ პატარა საძოვარი, ხანდაზმულ ცხოველთა დასასვენებელი ადგილი, - მძაფრი კამათი გაიმართა იმის თაობაზე, თუ რომელი ასაკით უნდა განსაზღვრულიყო ეს „ხანდაზმულობა“ თითოეული კლასის ცხოველისთვის. მიტინგი მუდამ მთავრდებოდა „მხეცნო ინგლისის“ შესრულებით, დღის მეორე ნახევარი კი გართობა-თამაშს ეთმობოდა.

მოსართავების ოთახი ღორებმა თავიანთ შტაბად აქციეს. აქ, საღამოობით, ისინი ეუფლებოდნენ მჭედლობას, დურგლობას და სხვა აუცილებელ ხელობებს ჯოუნზის სახლში ნაპოვნ სახელმძღვანელოთა მიხედვით. გარდა ამისა, სნოუბოლმა იკისრა ცხოველთა კომიტეტების ორგანიზება. დაუღალავად იღვწოდა ამ მიმართულებით. ქათმებისთვის მან ჩამოაყალიბა „კვერცხის

წარმოების კომიტეტი“, ძროხებისთვის - „სუფთა კუდების კომიტეტი“, „ველურ ამხანაგთა ხელახალი აღზრდის კომიტეტი“ (ამ უკანასკნელის დანიშნულება იყო ვირთხებისა და კურდღლების წვრთნა-მოშინაურება), ცხვრებისთვის - „ქათქათა მატყლის მოძრაობა“ და სხვა მრავალი, გარდა, რა თქმა უნდა, წერაკითხვის გამავრცელებელი კლასებისა. მთლიანობაში, ეს პროექტები არ განხორციელდა. მაგალითად, ველურ არსებათა მოშინაურების მცდელობამ იმთავითვე მარცხი იწვნია. ისინი ისევ უწინდებურად იქცეოდნენ და, როცა სხვები დიდსულოვნად ეპყრობოდნენ, უბრალოდ, იტყუებოდნენ. კატა ხალისით შეუერთდა „ხელახალი აღზრდის კომიტეტს“ და ერთხანს დიდად აქტიურობდა. ერთხელ დაინახეს, როგორ იჯდა იგი სახურავზე და ესაუბრებოდა შორიახლოს ჩამომსხდარ ბეღურებს. უხსნიდა, რომ ყველა ცხოველი ახლა ერთმანეთის ამხანაგია და ნებისმიერ ბეღურას შეუძლია, მოვიდეს და მის თათზე ჩამოჯდეს... მაგრამ გაუნათლებელ ბეღურებს არაფრის გაგონება არ სურდათ.

აი, წერა-კითხვის შესწავლა კი დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. შემოდგომაზე თითქმის ყველა ცხოველი უკვე, ასე თუ ისე, წიგნიერი იყო.

რაც შეეხება ღორებს, ისინი სრულყოფილად დაუფლებოდნენ კითხვასაც და წერასაც. ძაღლებმაც მშვენივრად ისწავლეს კითხვა, ოღონდ ეგაა - არაფრის კითხვა არ სურდათ, შვიდი მცნების გარდა. თხა მურიელმა კითხვა ძაღლებზე უკეთესადაც კი ისწავლა და საღამოობით სხვებსაც უკითხავდა ხოლმე ნაგვის გროვაზე ნაპოვნ გაზეთის ნაფლეთებს. ბენჯამინს ნებისმიერი ღორივით შეეძლო კითხვა, მაგრამ არასოდეს იყენებდა ამ უნარს. მისი თქმით, არაფრის წაკითხვა არ ღირდა, რაც კი აქამდე ენახა დაწერილი. ქლოვერმა ყველა ასო ისწავლა, მაგრამ სიტყვებს ვერა და ვერ აწყობდა. ბოქსერი ასო „დ“-ს ვერ გასცდა. თავისი ვეება ჩლიქით მას მტვერში გამოჰყავდა ა, ბ, გ, დ. შემ-

დეგ ასოებს ყურაცქვეტით მიაჩერდებოდა, ზოგჯერ ქოჩორსაც გაიქნევგამოიქნევდა და მთელი მონდომებით ცდილობდა გაეხსენებინა შემდეგი ასო, რაც არაფრით გამოსდიოდა. რამდენჯერმე მართლაც ისწავლა ე, ვ, ზ, თ, მაგრამ შემდეგ აღმოაჩინა, რომ, როცა ეს ასოები ახსოვდა, წინა ოთხს ვეღარ იხსენებდა. საბოლოოდ, გადაწყვიტა ისევ პირველი ოთხი ასოთი დაკმაყოფილებულიყო და ყოველდღე ერთი-ორჯერ გამოჰყავდა მეხსიერების საწვრთნელად. მოლიმ საერთოდ უარი თქვა ასოების სწავლაზე და მხოლოდ თავისი სახელის დასაწერად საჭირო ოთხ ასოს დაეუფლა. ამ ასოებს იგი ძალზე კოხტად აწყობდა პატარა ტოტებისგან, შემდეგ ერთი-ორი ყვავილითაც მორთავდა ხოლმე და აღფრთოვანებით უვლიდა გარშემო.

ფერმაში მყოფი ვერც ერთი სხვა ცხოველი ვერ გასცდა ასო „ა“-ს. გაირკვა, რომ ისეთმა გონებაჩლუნგმა ცხოველებმა, როგორიც იყვნენ ცხვრები, ქათმები და იხვები, თვით შვიდი მცნებაც კი ვერ დაიზეპირეს. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, სნოუბოლმა განაცხადა, რომ შვიდივე მცნება, არსებითად, შეიძლება დაყვანილ იქნეს ერთადერთ პრინციპზე:„ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი“. მისი თქმით, ეს ფორმულა წარმოადგენდა ანიმალიზმის საფუძველთა საფუძველს. ვინც მის არსს ჩასწვდებოდა, სრულებით დაზღვეული იქნებოდა ადამიანური ზეგავლენისაგან. თავიდან ფრინველებმა გააპროტესტეს - მათაც ხომ ორი ფეხი ჰქონდათ! მაგრამ სნოუბოლმა მათ განუმარტა, რომ საქმე სხვაგვარად იყო.

- ფრინველის ფრთა, ამხანაგებო, წინ სწრაფვის ორგანოა და არა მანიპულირების, - თქვა მან, - ამიტომ ის ფეხად უნდა ჩაითვალოს. ადამიანის განსხვავებული ნიშანი არის ხელი - იარაღი, რომლითაც ის მავნებლობს.

ფრინველებმა ვერ გაიგეს სნოუბოლის გრძელი სიტყვები, მაგრამ ეს განმარტება მიიღეს და ყველა მოკრძალებული შესაძ-

ლებლობების ცხოველმა გამალებით დაიწყო ახალი ფორმულის დაზეპირება. ფარდულის უკანა კედელზე, შვიდი მცნების ზემოთ, გაჩნდა ახალი, უფრო დიდასოებიანი წარწერა: „ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი“. როცა, ბოლოს და ბოლოს, ცხვრებმა ფორმულა დაიხსომეს, იმდენად გულში ჩაუვარდათ, რომ მინდორში წოლისას ხშირად აბღავლდებოდნენ ხოლმე: „ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი! ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი!“ და საათობით მოწყენილად ბღაოდნენ.

ნაპოლეონს სრულებით არ აინტერესებდა სნოუბოლის კომიტეტები. მისი აზრით, ნორჩ ცხოველთა აღზრდა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ზრდასრულთა. მოხდა ისე, რომ თიბვის დამთავრებიდან მცირე ხნის შემდეგ ჯესიმ და ბლუბელმა ცხრა ღონიერი ლეკვი დაყარეს. როგორც კი ლეკვები ძუძუს მოსცილდნენ, ნაპოლეონმა ისინი დედებს მოაშორა და განაცხადა, რომ თავად კისრულობდა მათ აღზრდას. მოსართავების ოთახიდან გამოტანილი კიბით ლეკვები სხვენის ყველაზე უფრო მიუვალ კუნჭულში აიყვანა და, საბოლოოდ, ისეთ იზოლაციაში მოაქცია, რომ სულ მალე ცხოველებს მათი არსებობაც კი გადაავიწყდათ.

რძის გაქრობის საიდუმლოსაც მალე აეხადა ფარდა. რძეს ყოველდღე ღორის სალაფავში ურევდნენ. ადრეულა ვაშლი უკვე მწიფდა და ხეხილის ბაღი ძირნაყარი ხილით ივსებოდა. ცხოველებმა, ბუნებრივია, დაასკვნეს, რომ ამ ხილს თანაბრად გაიყოფდნენ. მაგრამ ერთ დღეს გაიცა ბრძანება, რომ მთელი ძირნაყარი ხილი მოსართავების ოთახში შეგროვდებოდა ღორებისთვის. ამან ზოგიერთი ცხოველი ააჩურჩულა, მაგრამ სულ ამაოდ. ამ საკითხში ყველა ღორი ერთსულოვანი აღმოჩნდა, თვით სნოუბოლი და ნაპოლეონიც კი. სქვილერი სხვა ცხოველებისთვის აუცილებელი ახსნა-განმარტების მისაცემად გაგზავნეს.

- ამხანაგებო! - დაიჭყვიტინა მან. - იმედი მაქვს, თქვენ არ ფიქრობთ, რომ ღორები ამას ეგოიზმითა და პრივილეგირებულობის განცდით ვაკეთებთ. ბევრ ჩვენგანს, სინამდვილეში, სძულს რძეც და ვაშლიც. მეც მეზიზღება ორივე. ერთადერთი, რის გამოც ამას ვაკეთებთ, არის ზრუნვა ჩვენს ჯანმრთელობაზე. რძე და ვაშლი (ეს მეცნიერებამ დაამტკიცა, ამხანაგებო!) შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ღორის ორგანიზმისთვის აუცილებელია. ჩვენ, ღორები, გონებრივად ვშრომობთ, ამ ფერმის მთელი მართვა-ორგანიზება ჩვენზე კიდია. დღე და ღამე თვალმოუხუჭავად ვდარაჯობთ თქვენს კეთილდღეობას, სწორედ თქვენ გამო ვსვამთ რძეს და თქვენი გულისთვის ვჭამთ ვაშლს. იცით, რა მოხდება, თუკი ჩვენ ვეღარ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას? ჯოუნზი დაბრუნდება! დიახ, ჯოუნზი! ამხანაგებო, - სქვილერის ჭყვიტინში, რომელსაც აქეთ-იქით ხტუნვა და კუდის ტრიალი ერთვოდა, თითქმის თხოვნა გაისმა, - ამხანაგებო, მართლა არავინაა თქვენში ისეთი, ჯოუნზის მოსვლა რომ უნდოდეს?

თუ რამე ღრმად სჯეროდათ ცხოველებს, იყო ის, რომ არც ერთს არ სურდა ჯოუნზის დაბრუნება. როცა საკითხი ამგვარად დაისვა, მათ აღარაფერი ჰქონდათ სათქმელი, მეტისმეტად აშკარა იყო, რომ ღორები ჯანმრთელად უნდა ყოფილიყვნენ. ასე რომ, ყოველგვარი შემდგომი განსჯის გარეშე შეთანხმდნენ, რომ რძე და ძირნაყარი ვაშლი (და დამწიფებული ვაშლის ძირითადი მოსავალიც) უნდა დაეთმოს მხოლოდ და მხოლოდ ღორებს.

თავი IV

ზაფხულის ბოლოს უკვე ნახევარმა ქვეყანამ იცოდა, რა მოხდა „ცხოველების ფერმაში“. სნოუბოლი და ნაპოლეონი ყოველდღე გზავნიდნენ მტრედებს, რომლებიც მეზობელ ფერმებს უნდა სწვეოდნენ, ეამბნათ მათთვის აჯანყების ამბავი და „მხეცნო ინგლისის“ მელოდია ესწავლებინათ.

თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში მისტერ ჯოუნზი უილინგდონის „წითელი ლომის“ სამიკიტნოში იჯდა და ყოველ ყურისდამგდებს იმ საზარელ უსამართლობაზე შესჩიოდა, რომელიც თავს დაატყდა, როდესაც არაფრისმაქნისი ცხოველების ერთმა ჯგრომ მთელი საკუთრება წაართვა. სხვა ფერმერები, ასე თუ ისე, თანაუგრძნობდნენ, მაგრამ პირველ ხანებში დიდად არ დახმარებიან. გულის სიღრმეში თითოეული ფიქრობდა, რომ ჯოუნზის უბედურება რაიმე გზით საკუთარ უპირატესობად ექცია. რაღაც იღბლით, „ცხოველების ფერმის“ ორი უშუალოდ მოსაზღვრე ფერმის პატრონები მუდმივად არასახარბიელო პირობებში იმყოფებოდნენ. ამ ფერმათაგან ერთ-ერთი, სახელად „ფოქსვუდი“, დიდი, უპატრონოდ მიგდებული, მოძველებული, უკვე ატყევებული, საძოვრებგამოფიტული და მესერმორღვეული იყო. მისი მფლობელი, ერთი უდარდელი ჯენტლმენი, მისტერ პილკინგტონი, დროის უდიდეს ნაწილს - სეზონის მიხედვით - ნადირობა-თევზაობაში ატარებდა. მეორე ფერმა, პინჩფილდი, უფრო პატარა და უკეთესად მოვლილი ჩანდა. მისი პატრონი, ჯიუტი და ქვეშქვეშა კაცი, მუდმივად სასამართლო პროცესებში გახლართული მისტერ ფრედერიკი ცნობილი იყო თავისი არახელსაყრელი გარიგებებით.

ამ ორ ფერმერს იმდენად სძულდა ერთმანეთი, რომ საკუთარი ინტერესების დაცვის საკითხშიც კი ვერ თანხმდებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ორივე გვარიანად დაეფრთხო „ცხოველების ფერმაში“ მომხდარ აჯანყებას და ერთიცა და მეორეც ყველანაირად ცდილობდა, მათი ფერმის ცხოველებს ამის შესახებ ბევრი არაფერი გაეგოთ. ჯერ თავი მოიკატუნეს, თითქოს დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ თვით იდეასაც კი, საკუთარი თავი ცხოველებს თავად ემართათ. ამბობდნენ, ორიოდე კვირაში ყველაფერი დამთავრდებაო, და ისეთ სურათს ხატავდნენ, თითქოს „მანორის ფერმის“ ცხოველები (ისინი ჯიუტად იხსენიებდნენ ფერმას ძველი სახელით, რადგან „ცხოველების ფერმის“ გაგონებაც არ სურდათ) მუდმივად ჩხუბობდნენ ერთმანეთში და სწრაფად დაიხოცებოდნენ შიმშილით. როდესაც დრო გავიდა და აშკარა გახდა, რომ ცხოველები შიმშილით არ იხოცებიან, ფრედერიკმა და პილკინგტონმა ფირფიტა გადააბრუნეს და ლაპარაკი დაიწყეს „ცხოველების ფერმაში“ დატრიალებულ განუკითხავ უზნეობაზე. აცხადებდნენ, რომ ეს ცხოველები ეწეოდნენ კანიბალიზმს, გავარვარებული ნალებით აწამებდნენ ერთმანეთს და ყველა მდედრი ყველა მამრს თანაეყოფოდა. აი, რა ნაყოფი გამოიღო, ფრედერიკისა და პილკინგტონის თქმით, ამბოხმა ბუნების კანონთა წინააღმდეგ.

თუმცა ეს ფანტაზიები ბოლომდე არავის დაუჯერებია. ხმები დადიოდა საოცარი ფერმის შესახებ, საიდანაც ადამიანები გაყარეს და სადაც ცხოველები თვითონვე მართავდნენ თავიანთ საქმეებს. ეს ხმები განაგრძობდა ბრუნვას ბუნდოვანი და დამახინჯებული ფორმებით. იმ წელს ამბოხების ტალღამ მთელ პერიფერიას გადაუარა. მუდამ მორჩილი ხარები მთლად გაველურდნენ, ცხვრებმა მესრები გაარღვიეს და მთელი სამყურა გაწიწკნეს, ძრ ოხები ვედრ ოებს აყირავებდნენ, სანადირო ცხენები ლაგამს არ ემორჩილებოდნენ და მონადირეები სულ სხვა მხარეს მიჰყავდათ. პირველ ყოვლისა კი, ყველგან ცნობილი გახდა „მხეცნო ინგლისის“ მელოდიაცა და ტექსტიც. სიმღერა განსაც-

ვიფრებელი სისწრაფით გავრცელდა. მის გაგონებაზე ადამიანები ბრაზს ვერ იკავებდნენ, მაგრამ ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. ამბობდნენ, არც კი გვესმის, როგორ შეუძლიათ ცხოველებს ასეთი საზიზღრობა იმღერონო. ადგილზევე როზგავდნენ ყველა ცხოველს, რომელსაც სიმღერაზე წაასწრებდნენ. ის მაინც ვერაფერმა ჩაკლა. შაშვები მას ღობეებზე უსტვენდნენ, მტრედები თელადუმებში ღუღუნებდნენ. სიმღერა სამჭედლოების ხმაურსა და საეკლესიო ზარების რეკვაშიც კი აღწევდა. მისი მსმენელი ადამიანები უჩუმრად ცახცახებდნენ: სიმღერა ხომ მათ მომავალ ხვედრს მოასწავებდა!

ოქტომბრის დასაწყისში, როცა ხორბალი აიღეს, დააზვინეს და ნაწილობრივ გაანიავეს კიდეც, „ცხოველების ფერმის“ ეზოში ტრიალ-ტრიალით დაეშვა მტრედების ძალზე აღელვებული გუნდი. ჯოუნზმა, მისმა ხალხმა და თორმეტამდე ფოქსვუდელ--პინჩფილდელმა ხუთძელიანი ჭიშკარი შემოაღო და ახლა ფერმისკენ მოემართებოდა. ყველას - ჯოხები, ხოლო წინ მიმავალ ჯოუნზს კი თოფი მოემარჯვებინა. აშკარა იყო, ფერმის დაბრუნება სურდათ.

ამას ცხოველები დიდი ხანია ელოდნენ და ყველა მოსამზადებელი სამუშაო უკვე ჩაეტარებინათ. სნოუბოლს, რომელსაც ფერმაში ნაპოვნი იულიუს კეისრის ბრძოლების ამსახველი წიგნი შეესწავლა, თავდაცვითი ოპერაციების გაძღოლა ევალებოდა. მან სასწრაფოდ გასცა ბრძანება და ორიოდ წუთში ყველა ცხოველმა თავისი პოსტი დაიკავა.

რ ოგორც კი ადამიანები მესერს მოუახლოვდნენ, სნოუბოლმა თავისი პირველი შეტევა განახორციელა. ოცდათხუთმეტივე მტრედმა მომხდურის თავზე დაიწყო წინ და უკან ფრენა და ხმების ჩახშობა ჰაერიდან. როგორც კი მტერი მტრედების მოგერიებას შეუდგა, მესრის უკან დამალული ბატები გამოცვივდნენ და კანჭებში დაუწყეს კბენა. თუმცა ეს მხოლოდ მსუბუქი საბ-

რძოლო მანევრი გახლდათ, რომელსაც მცირედი არეულობა უნდა შეექმნა, და ადამიანებმაც ადვილად მოიშორეს ბატები ჯოხ-კეტების ქნევით. ამჯერად სნოუბოლმა შეტევის მეორე ხაზი გახსნა. მურიელი, ბენჯამინი და ფერმის ყველა ცხვარი, თვით სნოუბოლის წინამძღოლობით, ერთად გამოცვივდნენ და ყოველი მხრიდან ეტაკნენ ადამიანებს. უცებ ბენჯამინი შებრუნდა და ტყუპი წიხლი აამუშავა. მაგრამ ადამიანებმა ერთხელ კიდევ მოიგერიეს ცხოველები ჯოხებითა და ლურსმნიანი ჩექმებით. სნოუბოლის ჭყივილზე - უკან დახევის სიგნალზე - ყველა ცხოველი შებრუნდა და ჭიშკრიდან ეზოში შევარდა. ადამიანებს გამარჯვების ყიჟინა აღმოხდათ. მათი ფიქრით, ეს მტრის გაქცევას ნიშნავდა და ამიტომ ყველა უწესრიგოდ გამოეკიდა ცხოველებს. ზუსტად ეს ჰქონდა დაგეგმილი სნოუბოლს. როგორც კი ადამიანები ეზოს სიღრმეში შევიდნენ, მოულოდნელად მათ გზა გადაუჭრა ბოსელში ჩაწოლილმა სამმა ძროხამ და ფერმის ყველა დანარჩენმა ღორმა. სნოუბოლის საიერიშო სიგნალმაც არ დააყოვნა, თვითონ კი პირდაპირ ჯოუნზისკენ გაქანდა. ამ უკანასკნელმა თვალი შეასწრო მისკენ მომქროლავ ღორს, თოფი ასწია და გაისროლა. ტყვიის ბურთულებმა სისხლიანი ზოლები გაავლო სნოუბოლის ზურგზე და მის უკან მდგომი ცხვარი განგმირა. ამას სნოუბოლი ერთი წამითაც არ შეუჩერებია და იგი მთელი თავისი ასი კილოგრამით შეუვარდა ფეხებში ჯოუნზს, რომელიც ნეხვის გროვაში გადავარდა დათოფი ხელიდან გაუსხლტა.

მაგრამ ყველაზე თავზარდამცემი იყო ბოქსერი, რომელმაც საშინელი ძალით დაიწყო ვეებერთელა, რკინისნალიანი უკანა ფეხების ქნევა. პირველივე წიხლი ფოქსვუდელ მეჯინიბე ბიჭს მოხვდა თავში და უსიცოცხლოდ გაშხლართა ტალახში. ამის დანახვაზე რამდენიმე კაცმა ჯოხები მოისროლა და გაქცევას შეეცადა. ყველა პანიკამ მოიცვა და ერთი წუთის შემდეგ გასის-

ხლიანებული, ნაცემ-ნაბეგვი და გათელილი ადამიანები მესრის გაყოლებაზე თავგზააბნეულნი გარბოდნენ. უკან ცხოველები მისდევდნენ. ერთი ცხოველიც აღარ დარჩა ფერმაში, თავისებურად რომ არ ეძია შური. კატაც კი დაახტა სახურავიდან ერთ მენახირეს თავზე და ისეთი ძალით ჩაასო კლანჭები კისერში, რომ იმ უბედურმა საზარელი ხმით დაიღრიალა. რომელიღაც მომენტში, როცა გასასვლელი თავისუფალი აღმოჩნდა, ადამიანები თავქუდმოგლეჯით გაცვივდნენ გარეთ და მთავარი გზისკენ გაიქცნენ. თავდასხმიდან ხუთიოდე წუთის შემდეგ ისინი სამარცხვინოდ გარბოდნენ უკან იმავე გზით, რომლითაც მოვიდნენ. კუდში მიჰყვებოდნენ ბატები, რომლებიც სისინებდნენ და ოტებულთ კანჭებში უნისკარტებდნენ.

ყველა ადამიანი გაიქცა, გარდა ერთისა. ეზოში დაბრუნებული ბოქსერი ჩლიქით ცდილობდა ტალახში პირქვე ჩავარდნილი მეჯინიბის გადმობრუნებას. ბიჭი არ ინძრეოდა.

- მკვდარია, - თქვა ბოქსერმა მწუხარე ხმით, - მოკვლა არც მიფიქრია. დამავიწყდა, რომ რკინის ნალები მქონდა. ვინ დაიჯერებს, რომ ეს განზრახ არ ჩამიდენია?

- აბა, აბა, სენტიმენტალობა არ გამაგონო, ამხანაგო!

- შესძახა სნოუბოლმა, რომლის ჭრილობიდან ჯერ კიდევ წვეთავდა სისხლი, - ომი ომია. კარგი ადამიანი მხოლოდ მკვდარი ადამიანია.

- არავითარი სურვილი არ მაქვს, ვინმეს სიცოცხლე წავართვა, ადამიანსაც კი, - გაიმეორა თვალცრემლიანმა ბოქსერმა.

- მოლი სად არის? - წამოიძახა ვიღაცამ.

მოლი მართლაც არ ჩანდა. ერთი წუთით ყველა განგაშმა მოიცვა. ადამიანებმა ხომ არაფერი ავნეს? იქნებ, გაიტაცეს კიდევაც? ბოლოს მოლი თავისივე თავლაში იპოვეს თივაში თავჩარგული. თოფის გასროლისთანავე გაქცეულიყო და თავლაში დამალულიყო. გარეთ გამოსულმა ცხოველებმა აღმოაჩინეს, რომ

მეჯინიბე - სინამდვილეში, არა მკვდარი, არამედ მხოლოდ დარეტიანებული - გონს მოსულიყო და თავისთვის ეშველა.

ერთად შეყრილი ცხოველები შმაგმა აღტყინებამ მოიცვა. თითოეული მათგანი მთელი ხმით გაჰყვიროდა ბრძოლაში შეტანილი საკუთარი ღვაწლის შესახებ. მაშინვე სახელდახელოდ გაიმართა გამარჯვების დღესასწაული. დროშა კვლავ ცისკენ ასრიალდა და რამდენიმეჯერ ზედიზედ დაიქუხა ჰიმნმაც. შემდეგ მოეწყო დაღუპული ცხვრის საზეიმო დაკრძალვა. მის საფლავზე დარგეს კუნელის ბუჩქი. საფლავის პირას სნოუბოლმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა და ხაზი გაუსვა, რომ ყველა ცხოველი მუდამ მზად უნდა იყოს „ფერმისთვის“ თავის გასაწირად.

ყველამ ერთსულოვნად გადაწყვიტა, შეექმნათ სამხედრო სანიშნე „ცხოველთა გმირი, პირველი ხარისხი“, რომელიც იქვე მიენიჭა სნოუბოლს და ბოქსერს. სანიშნე წარმოადგენდა თითბრის მედალს (ასეთები მოსართავების ოთახში იპოვეს). გმირს შეეძლო, ის კვირაობით და დღესასწაულებზე ეტარებინა. დაწესდა, აგრეთვე, „ცხოველთა გმირი, მეორე ხარისხი“, რომელიც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა დაღუპულ ცხვარს.

ბევრი ისაუბრეს იმაზე, თუ რა ეწოდებინათ გადახდილი ბრძოლისთვის და ბოლოს „გომურის ბრძოლა“ დაარქვეს, რადგან სწორედ იქიდან ისკუპეს ჩასაფრებულმა ცხოველებმა. მისტერ ჯოუნზის თოფი ტალახში იპოვეს. ფერმაში ვაზნებიც ეგულებოდათ. გადაწყდა, რომ თოფი, როგორც საარტილერიო იარაღი, სადროშე ჭოკის ძირში დაემაგრებინათ და წელიწადში ორჯერ ესროლათ: ერთხელ - ოქტომბრის მეთორმეტე დღეს, „გომურის ბრძოლის“ წლისთავზე, მეორედ კი ივანობის დღეს, ანუ აჯანყების წლისთავზე.

თავი V

ზამთრის მოახლოებასთან ერთად მოლი თანდათან უფრო აუტანელი გახდა. ყოველ დილას აგვიანებდა სამუშაოდ გამოსვლას და თავს იმით იმართლებდა, რომ დროულად ვერ გაიღვიძა. რაღაც იდუმალ ტკივილებსაც იმიზეზებდა, თუმცა მადა შესანიშნავი ჰქონდა. საქმეს ათასგვარი მიზეზით გაურბოდა და სასმელი წყლის ტბასთან მიდიოდა, სადაც სულელურად აშტერდებოდა საკუთარ გამოსახულებას. მაგრამ მოლიზე უფრო სერიოზული ეჭვებიც დადიოდა. ერთხელ, როდესაც კუდის ქნევითა და თივის ღეჭვით მხიარულად კუნტრუშებდა ეზოში, ქლოვერმა გვერდზე გაიხმო.

- მოლი, - უთხრა მან, - ძალიან სერიოზული რამ უნდა გითხრა. ამ დილით დაგინახე, რომ იმ მესრის იქით იყურებოდი, რომელიც ჩვენს ფერმას ფოქსვუდისგან ჰყოფს. მესრის მეორე მხარეს მისტერ პილკინგტონის ერთ-ერთი კაცი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ იმ ადგილიდან შორს ვიყავი, თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ის კაცი გელაპარაკებოდა და ცხვირზე ხელს გითათუნებდა. რას ნიშნავს ეს, მოლი?

- არა, არა, რას ამბობ! არაფერსაც არ მითათუნებდა! ეს სიცრუეა! - შესძახა მოლიმ, თან ხტუნვას და მიწის ტორვას მოჰყვა.

- თვალებში შემხედე, მოლი, გულწრფელად მეუბნები, რომ ეს არ მომხდარა?

- ეს სიცრუეა! - გაიმეორა მოლიმ, თუმცა ქლოვერისთვის თვალებში არ შეუხედავს და იმწამსვე მინდვრისკენ გაქუსლა.

ქლოვერს რაღაც აზრმა გაუელვა. ისე, რომ სხვებისთვის არაფერი უთქვამს, მოლის თავლას მიაშურა და ჩლიქით დაფენილი ნამჯა გადააბრუნა. ნამჯის ქვეშიდან შაქრის პატარა გროვამ და სხვადასხვა ფერის ბაფთებმა გამოანათა.

სამი დღის შემდეგ მოლი გაუჩინარდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი. შემდეგ მტრედებმა ამბავი მოიტანეს, რომ მოლი უილინგდონის მეორე მხარეს, შავ-წითლად შეღებილ და რომელიღაც საზოგადოებრივ სახლთან მდგარ კოხტა საძაღლე ოთხთვალაში შებმული ნახეს. კუბოკრულ ბრიჯებსა და გეტრებში ჩაცმული მსუქანი, წითელსახიანი, მიკიტნის შესახედაობის კაცი მას ცხვირზე ეფერებოდა და ნატეხ შაქარს აჭმევდა. მოლის ბეწვი ახალი შეკრეჭილი ჰქონდა, წინა კულულში წითელი ბაფთა ჩაეწნა და, მტრედების თქმით, საკმაოდ მხიარულად გამოიყურებოდა.

ამის შემდეგ ის არც ერთ ცხოველს აღარ უხსენებია. იანვარში ამინდი მნიშვნელოვნად გაუარესდა. მიწა რკი-

ნასავით გამაგრდა და შეუძლებელი გახდა მინდორში მუშაობა. დიდ ფარდულში არაერთი მიტინგი გაიმართა. ღორები მოახლოებული გაზაფხულის სამუშაოებს გეგმავდნენ. აუცილებელი შეიქნა, რომ სხვა ცხოველებზე აშკარად უფრო საზრიან ღორებს გადაეწყვიტათ ფერმის ყველა პოლიტიკური საკითხი, თუმცა ამ გადაწყვეტილებათა რატიფიცირება ხმათა უმრავლესობას უნდა მოეხდინა. საგნების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ფრიად პერსპექტიული ჩანდა, რომ არა გამუდმებული დისპუტები სნოუბოლსა და ნაპოლეონს შორის. ისინი ხომ ყველაფერში უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რაშიც კი შეიძლებოდა დაპირისპირება. თუ ერთი ამბობდა, რომ უნდა გაეზარდათ ქერის დასა თესი ფართობი, მეორე არაორაზროვნად მოითხოვდა შვრიის დათესვას. თუ ერთის აზრით, ესა და ეს მინდორი ზედგამოჭრილი იყო კომბოსტოსთვის, მეორისთვის იგივე ადგილი მხოლოდ და მხოლოდ ფესვების ამოსაჩიჩქნად თუ ივარგებდა. თითოეულს თავისი მიმდევრები ჰყავდა და ამიტომ დიდი დებატები იმართებოდა. მიტინგებზე ხშირად იმარჯვებდა სნოუბოლი თავისი დიდებული ორატორული უნარის წყალო-

ბით, მაგრამ მიტინგებს შორის დროის მონაკვეთებში შეგროვებული ხმებით ნაპოლეონი აჭარბებდა. მოგვიანებით, ცხვრებმა წელიწადის ყველა დროში დაიწყეს „ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდის“ ბღავილი, რის გამოც მიტინგი ხშირად იშლებოდა. შემჩნეული იყო, რომ ეს ბღავილი სწორედ სნოუბოლის სიტყვის გადამწყვეტ მომენტებში იფეთქებდა ხოლმე. მას საფუძვლიანად შეესწავლა ჯოუნის სახლში ნაპოვნი „ფერმერის და მესაქონლის“ უკანასკნელი ნომრები და შედგენილი ჰქონდა განახლება-განვითარების არაერთი გეგმა. იგი კომპეტენტურად მსჯელობდა მინდვრის სარწყავის, სილოსისა და ძირითადი წიდის შესახებ და ყველა ცხოველისთვის შემუშავებული ჰქონდა საკმაოდ რთული სქემა, რომლის მიხედვითაც თითოეულს პირდაპირ მინდორში უნდა დაეყარა თავისი პატივი, ყოველ ჯერზე-სხვადასხვა წერტილში, რაც თავისთავად აუქმებდა ნეხვის ოთხთვალათი ზიდვის აუცილებლობას. ნაპოლეონი თვითონ არავითარ სქემას არ იგონებდა და მშვიდად ამბობდა, სნოუბოლის ზრახვები არავითარ შედეგს არ გამოიღებს და მხოლოდ დროის ამაო ფლანგვა არისო. მაგრამ ამ დაპირისპირების კულმინაცია ქარის წისქვილის საკითხი აღმოჩნდა.

დიდ საძოვარზე, ფერმის შენობების მახლობლად, წამომართულიყო პატარა ბორცვი - ფერმის უმაღლესი წერტილი. გრუნტის დათვალიერების შემდეგ სნოუბოლმა განაცხადა, რომ ეს იყო საუკეთესო ადგილი ქარის წისქვილისთვის, რ ომელიც აამუშავებდა დინამოს და ფერმას ელექტრობით უზრუნველყოფდა. ეს წისქვილი გაანათებდა ცხოველთა სადგომებს და გაათბობდა მათ ზამთრობით, აამუშავებდა მრგვალ ხერხს, ბალახის სათიბ, ჭარხლის საჭრელ და რძის საწველ მანქანებს. ცხოველებს მსგავსი არაფერი გაეგონათ (ფერმა ხომ საკმაოდ მოძველებული გახლდათ და მხოლოდ უმარტივესი მექანიზმები გააჩნდა) და განცვიფრებულები უსმენდნენ სნოუბოლს, რომელიც

ჯადოსნურად უხატავდა მათ ფანტასტიკურ მანქანებს, მათივე ნაცვლად რომ იმუშავებდნენ და ბევრს აღარაფერს დატოვებდნენ გასაკეთებელს, საბალახოზე ნებიერად ყოფნისა და კითხვა-ბაასის მეშვეობით გონების განვითარების გარდა.

რამდენიმე კვირაში ქარის წისქვილის გეგმა მთლიანად დამუშავდა. მექანიკური დეტალები ძირითადად დაზუსტდა მისტერ ჯოუნზის უწინკუთვნილი სამი წიგნის მიხედვით:„ათასი სასარგებლო რამ სახლისთვის“, „ყოველი ადამიანი - საკუთარი თავის აღმშენებელი“ და „ელექტრობა დამწყებთათვის“. მოსამზადებელ ადგილად სნოუბოლმა გამოიყენა ადრე ინკუბატორისთვის განკუთვნილი ფიცრული, რომელსაც ხაზვისთვის ფრიად გამოსადეგი ხის სწორი იატაკი ჰქონდა. სნოუბოლი ხანდახან საათობით იკეტებოდა იქ, გადაშლილი, ქვაჩადებული წიგნებით და ორადგაყოფილ ჩლიქში მომარჯვებული ცარცით სწრაფად მოძრაობდა წინ და უკან, ხაზებს ავლებდა და დრუნჩიდან შთაგონებული ფშლუტუნი გამოსდიოდა. თანდათანობით სქემები მუხლიანი ბერკეტებისა და კბილანა თვლების გროვებად იქცა, რომლებმაც ნახევარი იატაკი დაფარეს და რომლებიც სხვა ცხოველებმა გაუგებარ, თუმცა შთამბეჭდავ სანახაობად მიიჩნიეს. ყველანი დღეში ერთხელ მაინც მოდიოდნენ სნოუბოლის ნახაზთა სანახავად. ქათმები და იხვებიც კი მოვიდნენ და დიდი სიფრთხილით შეეცადნენ არ დაებიჯებინათ ცარცით გავლებული ხაზებისათვის. მხოლოდ ნაპოლეონი იჭერდა თავს შორს. მან თავიდანვე უარყო ქარის წისქვილი, თუმცა ერთხელ მაინც მოაკითხა ფიცრულს, მძიმე ნაბიჯით შემოუარა, ახლოდან დაათვალიერა გეგმის ყველა დეტალი, რაღაც ზიზღით გამოცრა კბილებში, ერთხანს შეჩერდა და ირიბად მიაჩერდა ნახაზებს. ბოლოს უკანა ფეხი ასწია, დახაზულ სქემებს მიაშარდა და იქაურობას უსიტყვოდ გაეცალა.

ქარის წისქვილის საკითხში მთელი ფერმა ორად გაიყო. სნოუბოლი არ უარყოფდა, რომ მისი აშენება ადვილი არ იყო. ქვა უნდა მოეზიდათ და კედლები აეყვანათ, შემდეგ ფრთებიც უნდა გაკეთებულიყო, უფრო მოგვიანებით კი დინამოები და კაბელები დასჭირდებოდათ. თუ როგორ გააკეთებდნენ ამას, ეს სნოუბოლს არ უთქვამს, მაგრამ იმას კი ამბობდა, რომ საქმის ბოლომდე მიყვანას ერთ წელიწადს მოანდომებდნენ. შემდეგ კი, მისი რწმენით, იმდენი შრომა დაიზოგებოდა, რომ კვირაში მხოლოდ სამ დღეს იმუშავებდნენ. ნაპოლეონი, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ ამ მომენტში ფრიად საშური იყო მეტი საკვების დამზადება და თუ ისინი დროს ქარის წისქვილისთვის დაკარგავდნენ, ყველას შიმშილით ამოხდებოდა სული. ცხოველები ორ ფრაქციად დაიყვნენ. ორივეს თავისი ლოზუნგი ჰქონდა: „ხმა მიეცით სნოუბოლს და კვირაში სამ სამუშაო დღეს!“ და„ხმა მიეცით ნაპოლეონს და სავსე საკვებურს!“ ბენჯამინი აღმოჩნდა ერთადერთი ცხოველი, არც ერთ ფრაქციაში რომ არ გაწევრდა, ვერც საკვების მომატების შესაძლებლობა დაეჯერებინა და ვერც წისქვილის მეოხებით შემცირებული შრომა.

- წისქვილით თუ უწისქვილოდ, - ამბობდა ბენჯამინი, - ცხოვრება კვლავ ისე იდინებს, როგორც ოდითგანვე დიოდა, ანუ - ცუდად.

წისქვილთან დაკავშირებული დებატების გარდა, მწვავედ იდგა ფერმის თავდაცვის საკითხიც. სრულებით ნათელი იყო, რომ, „ბოსლის ომში“ დამარცხების მიუხედავად, ადამიანებს შეეძლოთ კიდევ ერთხელ და უფრო მომზადებულად ეცადათ ფერმის დაბრუნება და მისტერ ჯოუნზის მეუფების აღდგენა. ცხოველებს ფერმის გამაგრებაზე ზრუნვის მეტი მიზეზი ჰქონდათ, რადგან ადამიანთა დამარცხების ამბავი მთელ პერიფერიას მოედო, რის შედეგადაც მეზობელი ფერმების ცხოველები არნახულად გათამამებულიყვნენ. როგორც ყოველთვის, სნოუბოლი და ნაპო-

ლეონი ამ საკითხშიც ვერ თანხმდებოდნენ. ნაპოლეონის აზრით, ცხოველებს, უწინარეს ყოვლისა, ცეცხლსასროლი იარაღი უნდა ეშოვათ და მისი გამოყენება ესწავლათ, სნოუბოლის აზრით კი, უფრო და უფრო მეტი მტრედი უნდა გაეგზავნათ მაცნეებად, რათა ამბოხი სხვა ფერმებშიც მომხდარიყო. პირველი ამტკიცებდა, რომ, თუ თავს არ დაიცავდნენ, მომხდურს ვერ გაუმკლავდებოდნენ, მეორე კი გაიძახოდა, რომ, თუკი აჯანყება ყველგან მოხდებოდა, თავის დაცვა აღარ დასჭირდებოდათ. ცხოველებმა ჯერ ნაპოლეონს უსმინეს, შემდეგ სნოუბოლს, და ვერაფრით დაასკვნეს, რომელი იყო მართალი. სინამდვილეში, ყოველთვის იმას ეთანხმდებოდნენ, ვისაც იმ მომენტში უსმენდნენ.

ბოლოს და ბოლოს, დადგა დღე, როდესაც სნოუბოლის დაგეგმარება დასრულდა. პირველივე კვირის მიტინგზე უნდა გადაწყვეტილიყო, იწყებდნენ თუ არა წისქვილის მშენებლობას. როგორც კი ცხოველები ფარდულში შეიკრიბნენ, სნოუბოლი წამოდგა და, ცხვრების ხელის შემშლელი ბღავილის მიუხედავად, დამსწრეთ გააცნო ყველა ის არგუმენტი, რომელიც ამტკიცებდა წისქვილის მშენებლობის აუცილებლობას. შემდეგ პასუხის გასაცემად წამოდგა ნაპოლეონი, რომელმაც წისქვილს სრული სიმშვიდით უწოდა სრული უაზრობა, აუდიტორიას ურჩია, ხმა არ მიეცათ ამნაირი სისულელისთვის, და სწრაფადვე დაჯდა. სულ ნახევარი წუთი თუ ისაუბრა, თან სრულებით ინდიფერენტული ჩანდა იმ რეაქციის მიმართ, რასაც მისი სიტყვა გამოიწვევდა. ამის შემდეგ სნოუბოლი წამოხტა, კვლავ აბღავლებულ ცხვრებს ხმა ჩააწყვეტინა და მგზნებარედ მოუწოდა ყველას წისქვილის იდეის მიღებისკენ. ამ წუთამდე ცხოველები თანაბრად იწონებდნენ ორივე პოზიციას, მაგრამ ახლა ისინი სნოუბოლის მჭევრმეტყველებამ მოხიბლა. სნოუბოლი მხურვალე ფრაზებით ხატავდა ისეთი „ცხოველების ფერმის“ სურათს, როგორადაც ეს

უკანასკნელი შეიძლებოდა ქცეულიყო, როცა ტალახიანი სამუშაო მხრებიდან ჩამოეხსნებოდა. მისმა წარმოსახვამ ამჯერად უკვე შორს ჩამოიტოვა ბალახისა თუ თალგამის საჭრელები.

ელექტრობას, მისი თქმით, შეეძლო აემუშავებინა გასანიავებელი მანქანები, გარდა იმისა, რომ ყველა სადგომს სინათლით, ცხელი და ცივი წყლით და ელექტროქურით მოამარაგებდა. როცა მან სიტყვა დაამთავრა, არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა, თუ ვის სასარგებლოდ გადაწყდებოდა კენჭისყრა... მაგრამ სწორედ ამ მომენტში წამოდგა ფეხზე ნაპოლეონი, სნოუბოლს უცნაური და ირიბი მზერა ესროლა და ისე ხმამაღლა დაიჭყივლა, როგორც მანამდე არასოდეს დაუჭყივლია. ამას მოჰყვა ფარდულის გარეთ საშინელი ყეფის ხმა. თითბრის ლურსმნების საყელოიანი ცხრა ვეებერთელა ძაღლი ხტუნვით შემოვარდა შიგნით და პირდაპირ გაენთო სნოუბოლისკენ, რომელიც მხოლოდ ტრიბუნიდან დროულად გადახტომამ გადაარჩინა ბასრკბილებიან ყბებს. ერთ წამში სნოუბოლი უკვე გარეთ იყო და ძაღლებიც უკან მისდევდნენ. გაოგნებული და შიშისგან ხმაჩავარდნილი ცხოველები კარში ეტენებოდნენ, რათა ამ დევნას მზერით მიჰყოლოდნენ. სნოუბოლმა მინდორი გადაჭრა და მთავარი გზისკენ გაუტია. მაგრამ ეს მხოლოდ ღორის სირბილი იყო და ძაღლებიც კუდში მიჰყვებოდნენ. უცებ სნოუბოლი გასრიალდა დ თითქოს ძაღლებიც უკვე დააცხრნენ... მაგრამ იმწამსვე წამოხტა და უწინდელზე სწრაფად გაქუსლა. ძაღლები უკან მიჰყვნენ. ერთ-ერთი თითქოს კუდშიც კი მისწვდა, მაგრამ ღორმა აიქნია და დროზე გამოაცალა პირიდან. შემდეგ მოულოდნელად ისკუპა წინ, ცხვირწინ შეასწრო მდევარს მესრის ხვრელში და თვალს მიეფარა.

ენაჩავარდნილი და თავზარდაცემული ცხოველები ფარდულში შეტრიალდნენ. მეორე წუთში ძაღლები ყეფა-ყეფით დაბრუნდნენ. თავდაპირველად ვერავინ მიხვდა, საიდან გაჩნდნენ ეს არსებები, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა: ეს ხომ სწორედ ის

ლეკვები იყვნენ, ნაპოლეონმა რომ წაიყვანა და თვითონ აღზარდა. ჯერ ბოლომდე არ გაზრდილიყვნენ, მაგრამ, უკვე ვეებერთელანი, მრისხანე შესახედაობით მგლებს წააგავდნენ. ძაღლები ნაპოლეონს მიუახლოვდნენ და ისევე გაუქიცინეს კუდი, როგორც სხვა ძაღლები აკეთებდნენ ამას მისტერ ჯოუნზის მიმართ.

ნაპოლეონი, უკან ადევნებული ძაღლებითურთ, სწორედ იმ შემაღლებაზე ავიდა, საიდანაც მიმართავდა ხოლმე ცხოველებს მეიჯორი. მან შეკრებილთ აუწყა, ამიერიდან მიტინგები აღარ ჩატარდება, რადგან ეს მხოლოდ დროის ფლანგვა არისო. მომავალში ფერმის სამუშაოებთან ყველა საკითხი განიხილებოდა ღორების საგანგებო საბჭოზე, რომელსაც თვითონ უხელმძღვანელებდა. საბჭოს სხდომა გაიმართებოდა დახურულ ვითარებაში, შემდეგ კი მიღებულ გადაწყვეტილებებს ცხოველებს გააცნობდნენ. კვირაობით ისინი კვლავ შეიკრიბებოდნენ დროშის აღსამართავად, ჰიმნის შესასრულებლად და მომდევნო კვირის სამუშაოების მისაღებად, დებატები კი აღარ გაიმართებოდა.

სნოუბოლის განდევნით გამოწვეული შოკის მიუხედავად, ცხოველებს თავზარი დასცა ამ გადაწყვეტილებამ. რამდენიმე მათგანი, ალბათ, გააპროტესტებდა, სწორი არგუმენტების პოვნა რომ შესძლებოდა. ბოქსერიც კი გაურკვევლად შეწუხებული ჩანდა. ყურების უკან გადაცქვეტისა და წინა კულულის რამდენჯერმე გაქნევის შემდეგ შეეცადა, დაელაგებინა თავისი აზრები, მაგრამ, საბოლოოდ, ვერ მოისაზრა, რისი თქმა სურდა. რამდენიმე ღორმა უფრო გარკვევით სცადა აზრის გამოთქმა. წინა რიგში მჯდომ ოთხ ახალგაზრდა ღორს უკმაყოფილო ჭყვიტინი აღმოხდა, ფეხზე წამოხტნენ და ერთად მოჰყვნენ ლაპარაკს. მაგრამ უეცრად ნაპოლეონის ფერხთით მიწოლილი ძაღლები ისე დამბურძგლავად აღრინდნენ, რომ ღორები ჩაჩუმდნენ და თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ. შემდეგ ცხვრებმა მორთეს ყურისწამღები ბღავილი „ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი“,

რაც მთელ თხუთმეტ წუთს გაგრძელდა და დისკუსიის ყოველ-გვარი შესაძლებლობა მოსპო.

მოგვიანებით სქვილერმა ფერმას ჩამოუარა და ცხოველებს ახალი წესრიგი აუწყა: - ამხანაგებო! - ამბობდა იგი. - მჯერა, რომ ყოველი თქვენგანი დააფასებს დიდ მსხვერპლს, რომელიც ამხანაგმა ნაპოლეონმა გაიღო ამხელა ტვირთის თავის თავზე აღებით. არ გეგონოთ, ამხანაგებო, რომ მმართველობა სიამოვ-ნებაა! პირიქით, ეს არის უმძიმესი პასუხისმგებლობა. არავის სჯერა ამხანაგ ნაპოლეონზე მეტად, რომ ყველა ცხოველი თა-ნასწორია. ის ძალზე ბედნიერი იქნებოდა იმით, რომ მოეცა თქვენთვის საშუალება - თავადვე მიგეღოთ თქვენთვის საჭირო გადაწყვეტილებები. მაგრამ ზოგჯერ თქვენ შეიძლება შეცდეთ და სად მიგვიყვანს ეს? წარმოიდგინეთ, რომ სნოუბოლს და მის მონაჩმახ წისქვილს გაჰყოლოდით, სნოუბოლს, რომელიც, რო-გორც გაირკვა, რიგით კრიმინალზე უკეთესი არაფრით ყოფი-ლა?

- მან მამაცურად იბრძოლა „გომურის ომში“, - წამოიძახა ვი-ღაცამ.

- მამაცობა საკმარისი არ არის, - თქვა სქვილერმა,- ლოიალობა და მორჩილება უფრო მნიშვნელოვანია. რაც შეეხე-ბა „გომურის ომს“, მჯერა, ერთხელაც აღმოვაჩენთ, რომ სნოუბოლის წილი ამ გამარჯვებაში მეტისმეტად გავაზვიადეთ. დისციპლინა, ამხანაგებო, რკინის დისციპლინა! აი, სადღეისო ლოზუნგი. ერთი არასწორი ნაბიჯი და - მტერი დაგვამარცხებს. ამხანაგებო, მართლა არ გსურთ ჯოუნზის დაბრუნება?

ამ არგუმენტზე პასუხის გაცემა კვლავ შეუძლებელი აღმოჩ-ნდა. რასაკვირველია, ცხოველებს ჯოუნზის დაბრუნება არ სურ-დათ და, თუ კვირის დებატები ამას გამოიწვევდა, მაშინ, ცხადია, ყოველგვარი კამათი უნდა შემწყდარიყო. ამასობაში ბოქსერმა

აზრი მოიკრიბა და თავისი საერთო განწყობა ასე ჩამოაყალიბა:- თუ ამას ამხანაგი ნაპოლეონი ამბობს, ესე იგი, სიმართლეა.

შემდეგ დაუმატა:- ნაპოლეონი ყოველთვის მართალია, - და ბოლოს პირადი ლოზუნგიც მიაბა: „უკეთესად ვიმუშავებ“.

ამასობაში ზამთარიც მოტყდა და საგაზაფხულო ხვნა დაიწყო. ფიცრული, სადაც სნოუბოლმა წისქვილის სქემა დახაზა, გამოკეტეს. სავარაუდოა, რომ ნახაზებიც წაშალეს. ყოველ კვირას, დილის ათ საათზე, ცხოველები იკრიბებოდნენ, რათა მიეღოთ მითითებები შემდეგი კვირის სამუშაოების თაობაზე. ხეხილის ბაღიდან ამოთხარეს მეიჯორის სუფთა, უკვე ხორცშემოცლილი თავის ქალა და ჯირკზე, სადროშე ჭოკთან მიყუდებული თოფის გვერდით დაასვენეს. დროშის აღმართვის შემდეგ, ვიდრე ფარდულში შევიდოდნენ, ცხოველებს მოწონებით უნდა ევლოთ ამ თავის ქალის წინ. ახლა ისინი გვერდიგვერდ აღარ ისხდნენ. ნაპოლეონი, სქვილერთან და მინიმუსად წოდებულ სხვა ღორთან ერთად, რომელიც სიმღერებისა და ლექსების შექმნის საოცარი ნიჭით გამოირჩეოდა, ფარდულის შემაღლებული ადგილის წინა მხარეს იჯდა. გარშემო ნახევარწრედ ცხრა ახალგაზრდა ძაღლი შემორტყმოდა, უკან კი დანარჩენი ღორები ჩალაგებულიყვნენ. სხვა ცხოველები მათ პირდაპირ, ფარდულის მეორე ნახევარში ისხდნენ. ნაპოლეონმა მკაცრი ჯარისკაცური ტონით წაიკითხა განკარგულებები მომდევნო კვირისთვის და ცხოველთა ჰიმნის ერთხელ შესრულების შემდეგ ყველანი დაიშალნენ.

სნოუბოლის განდევნის მესამე კვირას ცხოველები ერთობ განაცვიფრა ნაპოლეონის განცხადებამ, რომ წისქვილი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც უნდა აგებულიყო. თავისი ახალი გადაწყვეტილება მან არანაირად არ ახსნა. უბრალოდ, ცხოველებს უთხრა, რომ ეს განსაკუთრებული საქმე უმძიმეს შრომას მოითხოვდა, რომელსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა თვით საკვები ულუფის შემცირება. წისქვილის გეგმა ბოლო დეტალებამ-

დე დაზუსტდა და მომზადდა. მათზე ბოლო სამი კვირის განმავლობაში იმუშავა ღორების საგანგებო კომიტეტმა. წისქვილისა და რამდენიმე სხვა დამატებითი ნაგებობის აშენებას, ალბათ, ორი წელი დასჭირდებოდა. იმ საღამოს სქვილერმა ცხოველებს განუმარტა, რომ, არსებითად, ნაპოლეონი არასოდეს ყოფილა წისქვილის წინააღმდეგი. პირიქით, სწორედ მან დაიცვა პირველად წისქვილის იდეა. ინკუბატორის იატაკზე დახაზული გეგმაც, სინამდვილეში, ნაპოლეონის ქაღალდებიდან იყო მოპარული. რეალურად, წისქვილი ნაპოლეონის ერთპიროვნული ქმნილება იყო. მაშ, ნაპოლეონი რატომ აღუდგა წინ ამ იდეას ასე გააფთრებით? - იკითხა ვიღაცამ. აქ სქვილერმა ძალზე ეშმაკურად მოჭუტა თვალები:- ეს ხომ ამხანაგი ნაპოლეონის ხუმრობა იყო! - თქვა მან, - იგი მოჩვენებითად შეეწინააღმდეგა წისქვილის იდეას, რაც მხოლოდ და მხოლოდ საშიშზნიანი და მავნე გავლენათა გამავრცელებელი სნოუბოლის თავიდან მოსაშორებელ მანევრს წარმოადგენდა.

ახლა კი, როცა სნოუბოლი აღარ ეღობებოდათ გზაზე, გეგმა მის ჩაურევლად ხორციელდებოდა. ეს, სქვილერის თქმით, იყო ეგრეთ წოდებული „ტაქტიკა“. მან რამდენჯერმე გაიმეორა: „ტაქტიკა, ამხანაგებო, ტაქტიკა!“ თან წრეზე დახტოდა და მხიარული სიცილით კუდს აქიცინებდა. ცხოველებს არ ესმოდათ ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ სქვილერი ისე დამაჯერებლად მეტყველებდა და მისი თანმხლები სამი ძაღლიც ისეთი რისხვით იღრინებოდა, რომ განმარტება ყოველგვარი დამატებითი შეკითხვის გარეშე მიიღეს.

თავი VI

მთელი ის წელიწადი ცხოველებმა მონებივით იშრომეს. მაინც ბედნიერნი იყვნენ და თავს არ ზოგავდნენ, რადგან მშვენივრად იცოდნენ, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებდნენ, მოხმარდებოდა მათ და მათ შემდეგ მომსვლელებს, და არა- ერთ ბღუჯა მღლიტავ ადამიანებს.

გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში სამოცსაათიანი სამუშაო კვირა ჰქონდათ. დიადმა ნაპოლეონმა კი განაცხადა, რომ ამიერიდან კვირასაც იმუშავებდნენ ნაშუადღევის შემდეგ. ეს უკანასკნელი პირწმინდად მოხალისურ პრინციპს ეყრდნობოდა, მაგრამ ვინც კვირას არ იმუშავებდა, განახევრებული ულუფა ეძლეოდა. მიუხედავად ამისა, აუცილებლობად ჩაითვალა, რომ ზოგი სამუშაო ბოლომდე არ შესრულებულიყო. შარშანდელთან შედარებით, მოსავალი უფრო ნაკლები მოვიდა, ორი მინდორი კი, სადაც ადრეულ ზაფხულში უნდა დაეთესათ, დაუთესავი დარჩა ხვნის დაგვიანების გამო. უკვე შეიძლებოდა პროგნოზირება, რომ საკმაოდ მძიმე ზამთარი ელოდათ.

წისქვილის მშენებლობისას ცხოველები გაუთვალისწინებელ სიძნელეებს წააწყდნენ. ფერმაში არსებობდა კირქვის მშვენიერი სამტეხლო, ერთ-ერთი ფლიგელი კი სავსე იყო ქვიშითა და ცემენტით. ასე რომ, მშენებლობისათვის საჭირო ყველა მასალა ხელთ ჰქონდათ. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ თავდაპირველად ცხოველებმა არ იცოდნენ, როგორ დაემტვრიათ ქვები საჭირო ზომის ნაჭრებად. არანაირი საშუალება არ გააჩნდათ, წერაქვისა და ძალაყინის გარდა, მათი გამოყენება კი არც ერთ ცხოველს არ შეეძლო, რადგან ვერც ერთი ვერ დგებოდა უკანა ფეხებზე. რამდენიმე კვირის ამაო ძალისხმევის შემდეგ ვიღაცამ საუცხოო აზრი ისროლა: მიზიდულობის ძალა გამოვი-

ყენოთო. სამტეხლო სავსე იყო ვეება, მშენებლობისთვის საჭიროზე გაცილებით უფრო დიდი ქვებით. ცხოველები თოკით კრავდნენ მათ და, ვისაც კი თოკის დაჭერა შეეძლო- ძროხები, ცხენები, ცხვრები (კრიტიკულ მომენტებში თვით ღორებიც) - ყველანი დიდი ჭაპანწყვეტით სწევდნენ ქვას სამჭედლოს ჭერამდე და შემდეგ ოწინარის მეორე მხრიდან ძირს აგდებდნენ. დამტვრეული ქვის წაღება უკვე შედარებით ადვილი საქმე იყო. ცხენებს ქვა ოთხთვალებით მიჰქონდათ, ცხვრები თითო-თითოდ ეზიდებოდნენ. თვით მურიელი და ბენჯამინიც კი შეებნენ ძველ სამოსწავლო ფორანში და ამ მძიმე საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს. ზაფხულის ბოლოს საკმაო რაოდენობის ქვა დაგროვდა და მშენებლობაც დაიწყო ღორების ზედამხედველობით.

მაგრამ ეს იყო ნელი და შრომატევადი პროცესი. ქვის ჭერამდე აწევას ხშირად მთელი დღის ქანცგამწყვეტი შრომა სჭირდებოდა და ზოგჯერ ჩამოვარდნილი ქვა ისევ მთელი რჩებოდა. ვერაფერს გახდებოდნენ ბოქსერის გარეშე, რომლის ძალმოსილება ყველა დანარჩენის ერთად აღებულ ძალას უდრიდა. როცა ქვიანი თოკი უცებ დასრიალდებოდა და ფერდობზე გადაძლეულ-ჩათრეული ცხოველები სასოწარკვეთით შეჰყვირებდნენ, ამ დროს მხოლოდ ბოქსერის ძალა თუ აჩერებდა ქვას შუა ჰაერში. ყველას აღაფრთოვანებდა იმის ყურება, თუ როგორი ძალისხმევით ანაცვლებდა ბოქსერი ქვას თითო-თითო გოჯით ზემოთ, როგორ უხშირდებოდა ამ დროს სუნთქვა, როგორ ფხოჭნიდა მიწას დიდრონი ნალებით, როგორ უოფლიანდებოდა ძალუმი ფერდები... ქლოვერმა არაერთხელ გააფრთხლა, თავი არ გადაიტვირთოო, მაგრამ ბოქსერი აინუნშიც არ აგდებდა. ყველა პრობლემაზე საკმარის პასუხად მიაჩნდა თავისი ორი ლოზუნგი: „უკეთესად ვიმუშავებ“ და „ნაპოლეონი მუდამ მართალია“. ნახევარი საათის ნაცვლად, ყვინჩილას უკვე ორმოცდახუთი წუთით ადრე აღვიძებინებდა თავს. თავისუფალ დროს,

რაც ამ ბოლო ხანებში ბევრი არ ჰქონდა, ბოქსერი მარტო აკითხავდა სამტეხლოს, დატეხილ ქვას ერთ გროვად აზვინებდა და მარტოსვე ჩაჰქონდა იქ, სადაც წისქვილი უნდა აშენებულიყო.

მძიმე შრომის მიუხედავად, იმ ზაფხულს ცხოველებს ცუდად არ უგრძნიათ თავი. თუ იმაზე მეტი საკვები არ ეძლეოდათ, რაც ჯოუნზის დღეებში, უფრო ნაკლებიც ხომ არ ჰქონდათ! იმდენად დიდი იყო უპირატესობა იმისა, რომ თავიანთ თავს თვითონვე კვებავდნენ და არ უხდებოდათ ხუთი ახირებული კაცის ატანა, რომ მეტისმეტად ბევრი წარუმატებლობა იყო საჭირო მის გადასაწონად. საქმისადმი ცხოველური მიდგომა მრავალმხრივ უფრო ეფექტიანი და სამუშაო ძალის დამზოგველი იყო. მაგალითად, ადამიანები ვერასოდეს გამარგლავდნენ ისე სრულყოფილად, როგორც ეს ცხოველებს შეეძლოთ. გარდა ამისა, რადგან არც ერთი ცხოველი არ ქურდობდა, აუცილებელი აღარ იყო საძოვრის გამოყოფა სახნავი მიწისაგან, რაც მესრებისა და ჭიშკრების გაკეთებისთვის საჭირო დიდ შრომას ზოგავდა. და მაინც, ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა მოულოდნელმა უკმარისობამ წამოყო თავი. დადგა პარაფინის ზეთის, ლურსმნის, თოკ-ბაწრის, ძაღლის საკვები ორცხობილის და სანალე რკინის საჭიროება. ვერც ერთი ამ ნივთთაგანი ფერმაში ვერ დამზადდებოდა. მოგვიანებით დასჭირდებოდათ, აგრეთვე, სხვადასხვა თესლი და ხელოვნური სასუქი, ისევე როგორც ხელსაწყო--იარაღები და წისქვილის დანადგარები. ვერავის წარმოედგინა, როგორ მოეპოვებინათ ეს ყველაფერი.

ერთ კვირადღეს, მორიგი სამუშაოების მისაღებად გამართულ შეხვედრაზე, ნაპოლეონმა ცხოველებს ამცნო, რომ ახალი პოლიტიკა შეიმუშავა. ამიერიდან „ცხოველების ფერმას“ უნდა გაება სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ ფერმებთან - არა ბიზნესისთვის, არამედ, უბრალოდ, საჭირო საგნების შესაძენად. მისი თქმით, ცხოველთა ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავი

იყო წისქვილი. ამისთვის მან საჭიროდ მიიჩნია თივისა და ხორბლის გარკვეული ნაწილის გაყიდვა. შემდეგ კი, თუ ფული კიდევ დასჭირდებოდათ, გაყიდდნენ კვერცხს, რაც ყოველთვის შეიძლებოდა უილინგდონის ბაზარზე. ნაპოლეონის აზრით, ქათმებს ეს მსხვერპლი სიამოვნებით უნდა გაეღოთ წისქვილისთვის.

ცხოველებს ერთხელ კიდევ გადაუარა რაღაც ბუნდოვანი უსიამოვნების ტალღამ. არასოდეს მივმართოთ ადამიანებს, არასოდეს ვივაჭროთ, არასოდეს გამოვიყენოთ ფული,- განა ასე არ გადაწყვიტეს ჯოუნზის განდევნისთანავე? ყველა ცხოველს ახსოვდა - ან ეგონა, რომ ახსოვდა - მსგავსი გადაწყვეტილებები. ოთხმა ახალგაზრდა ღორმა, რომლებმაც უწინ გააპროტესტეს ნაპოლეონის მიერ მიტინგების გაუქმება, ახლა კვლავ მორიდებულად ამოიღეს ხმა, რომელიც მაშინვე ჩააჩუმა ძაღლების საშინელმა ღრენამ. შემდეგ ცხვრები ჩვეულებისამებრ აბღავლდნენ: „ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი!“ და წუთიერი შეცბუნებაც განქარდა. ბოლოს ნაპოლეონმა ჩლიქი ასწია და განაცხადა: თადარიგი უკვე დაჭერილია და არ არის საჭირო, ფერმის რომელიმე ცხოველი ადამიანს დაუკავშირდესო. ეს, ცხადია, არასასურველია. ნაპოლეონი საკუთარი მხრებით აზიდავს ამ ტვირთს. უილინგდონში მცხოვრები დალალი, ვინმე მისტერ ვიმპერი, დათანხმდა შუამდგომლობას „ცხოველების ფერმასა“ და გარე სამყაროს შორის და ყოველ ორშაბათ დილას ფერმაში მოვა ნაპოლეონის დავალების მისაღებად. ნაპოლეონმა მიმართვა ჩვეული სიტყვებით დაამთავრა: „დიდხანს სიცოცხლე ცხოველების ფერმას!“ ჰიმნის ტრადიციული შესრულების შემდეგ კრება დაიშალა.

ამის შემდეგ სქვილერმა ფერმას ჩამოუარა და ცხოველები დააშოშმინა. დაარწმუნა, რომ, სინამდვილეში, არავის მიუღია და არც უფიქრია მიეღო გადაწყვეტილება ვაჭრობის ან ფულის წინააღმდეგ. ეს იყო წმინდა წყლის ფანტაზია, სნოუბოლის მიერ

დატრიალებულ სიცრუეთა გამოძახილი. რამდენიმე ცხოველმა მაინც გამოთქვა მსუბუქი ეჭვი, მაგრამ სქვილერი ავად ჩაეკითხა:- გესმით თუ არა, ამხანაგებო, რომ ასეთი გადაწყვეტილება თქვენ არც დაგსიზმრებიათ? სადმე თუ გაქვთ დაფიქსირებული? წერია ეს სადმე?

და რაკი სიმართლე იყო, რომ არავითარი მსგავსი ჩანაწერი არ არსებობდა, ცხოველები დარწმუნდნენ, რომ შეცდნენ.

როგორც შეთანხმდნენ, მისტერ ვიმპერი ყოველ ორშაბათს მოდიოდა ფერმაში. ეს პატარა კაცი, ეშმაკურად მოციმციმე თვალებით, ერთობ პატარა მასშტაბის ბიზნესს შუამავლობდა, მაგრამ საკმაოდ გამჭრიახი იყო საიმისოდ, რომ ადრევე მიმხვდარიყო მაკლერის აუცილებლობას „ცხოველების ფერმისთვის“ და საშუამავლო პროცენტის გვარიანობასაც. ცხოველები მის მისვლა-მოსვლას ზაფრით ხვდებოდნენ და შეძლებისდაგვარად უფრთხოდნენ. მიუხედავად ამისა, ოთხფეხა ნაპოლეონის ყურებამ, განკარგულებებს რომ აძლევდა ორფეხა ვიმპერს, მათ სიამაყე შემატა და ნაწილობრივ შეარიგა კიდეც ახალ წესრიგთან. მათი დამოკიდებულება ადამიანის მოდგმასთან უწინდებური აღარ იყო. ახლა, როდესაც „ცხოველების ფერმა“ ყვაოდა, ადამიანებს ის უწინდელზე მეტად სძულდათ. თითოეულ მათგანს ღრმად სწამდა, რომ, ადრე თუ გვიან, ფერმა გაკოტრდებოდა და, პირველ რიგში, წისქვილს ვერ აამუშავებდა. ადამიანები იკრიბებოდნენ საზოგადოებრივ სახლებში და დიაგრამების მეშვეობით ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ წისქვილი ვერასდიდებით ვერ გაჩერდება ფეხზე, ან, თუ გაჩერდება, ვერ იმუშავებს. და მაინც უნებლიე პატივისცემას განიცდიდნენ იმ შემართების მიმართ, რომლითაც ცხოველები თავიანთ საქმეებს წარმართავდნენ. ამ პატივისცემის ერთი ნიშანი ის იყო, რომ ადამიანები ფერმის სახელად ცნობდნენ „ცხოველების ფერმას“ და თვალთმაქცურად აღარ ახსენებდნენ მის ძველ სახელს. შეწყვიტეს

ლაპარაკი ჯოუნზის პირველობაზეც, რომელსაც დაჰკარგოდა ფერმის დაბრუნების იმედი და ქვეყნის სხვა ნაწილში დასახლებულიყო. ვიმპერის გამოკლებით, „ცხოველების ფერმასა“ და დანარჩენ სამყაროს შორის ჯერჯერობით არავითარი კონტაქტი არ არსებობდა. თუმცა მუდმივად დადიოდა ხმები, რომ ნაპოლეონი ემზადება საქმიანი ურთიერთობის გასაბმელად ფოქსვუდელ პილკინგტონთან ან პინჩფილდელ ფრედერიკთან, ოღონდ არა ორივესთან ერთდროულად.

დაახლოებით ამავე პერიოდში ღორები მოულოდნელად ჯოუნზის ყოფილ საბინადროში შესახლდნენ და თავიანთ რეზიდენციად აქციეს. ცხოველებს თითქოს კვლავ გაახსენდათ მსგავსი ქმედების საწინააღმდეგო რეზოლუცია და სქვილერმა კვლავ შეძლო მათი დარწმუნება, რომ ასეთი გადაწყვეტილება არასოდეს მიუღიათ.

- აუცილებელია, რომ ღორებს - ფერმის ტვინსა და გონებას - საფიქრელად მყუდრო საბინადრო ჰქონდეთ, - ამბობდა სქვილერი, - ხელმძღვანელის ღირსებასაც სახლში ცხოვრება უფრო შეჰფერის, ვიდრე უბრალო საღორეში (მოგვიანებით სქვილერი ნაპოლეონს უკვე „ხელმძღვანელად“ იხსენიებდა)“.

ამ განმარტების მიუხედავად, ზოგი ცხოველი მაინც შეფიქრიანდა, როცა გაიგო, რომ ღორები არა მხოლოდ სამზარეულოში ჭამდნენ, არამედ სადარბაზო ოთახებშიც ისვენებდნენ და საწოლებშიც ეძინათ. ბოქსერი ამასაც ჩვეული ლოზუნგით შეხვდა: „ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“, მაგრამ ქლოვერმა, რომელიც ფიქრობდა, რომ დანამდვილებით ახსოვდა საწოლში წოლის საწინააღმდეგოდ მიღებული სრულიად არაორაზროვანი კანონი, ფარდულის უკანა კედელს მიაშურა, რათა როგორმე წაეკითხა აქ წარწერილი ექვსი მცნება. როცა დარწმუნდა, რომ ცალკეული ასოების მეტს ვერაფერს კითხულობდა, მურიელს

დაუძახა:- მურიელ, წამიკითხე მეოთხე მცნება. არაფერი წერია იქ საწოლში არასოდეს დაძინების შესახებ?

მცნების წასაკითხად მურიელს გარკვეული დაძაბვა დასჭირდა.

- მცნება გვეუბნება: არც ერთმა ცხოველმა არ უნდა დაიძინოს ზეწრიან საწოლში, - ამოღერღა ბოლოს.

საგულისხმო იყო, რომ ქლოვერს მეოთხე მცნებაში ზეწრის მოხსენიება სრულებით არ ახსოვდა, მაგრამ რაკი ეს კედელზე ეწერა, უთუოდ ასე იქნებოდა. ხოლო სქვილერმა, შემთხვევით რომ მოხვდა იმ დროს ფარდულში სამ ძაღლთან ერთად, თავის მხრივ, მთელი ტირადა მოაყოლა მათ საუბარს:- მაშ, ამხანაგებო, თქვენ უკვე გესმათ იმის შესახებ, რომ ღორებს ამჟამად ჯოუნზის საწოლებში გვძინავს? რატომაც არა? განა ოდესმე მიგვიღია კანონი, რომელიც კრძალავდა საწოლს? საწოლი, უბრალოდ, ნიშნავს დასაძინებელ ადგილს. სწორად თუ შევაფასებთ, გომურში დაგებული ნამჯაც საწოლია. კანონი კრძალავდა ადამიანის შექმნილ ზეწარს. ჩვენ ყველა ზეწარი გავიტანეთ სახლიდან და ცარიელ მატყლზე გვძინავს. საკმაოდ კარგი საწოლებია! მაგრამ არა იმაზე უკეთესი, ამხანაგებო, ვიდრე გვჭირდება ჩვენ - სადღეისოდ შესასრულებელი მთელი გონებრივი სამუშაოს მესვეურთ. თქვენ არ წაგვართმევთ სიმშვიდეს, ასე არაა, ამხანაგებო? მეტისმეტად ხომ არ დაგვქანცავთ ჩვენი მოვალეობების შესრულებისას? მართლა არ გსურთ ჯოუნზის დაბრუნება?

ცხოველებმა იმწამსვე დაუდასტურეს თავიანთი ოდინდელი განწყობა ამ საკითხზე და აღარავის ამოუღია ხმა საწოლებში მძინარე ღორებზე. არც მაშინ დაუჩივლია ვინმეს, როცა რამდენიმე დღის შემდეგ გამოცხადდა, რომ ამიერიდან ღორები ყველა სხვა ცხოველზე ერთი საათით გვიან გაიღვიძებენ.

შემოდგომაზე ცხოველები დაღლილნი და მაინც ბედნიერნი იყვნენ. მძიმე წელიწადი ჰქონდათ და, თუმცა თივახორბლის ნა-

წილობრივი გაყიდვის შემდეგ საკვების საწყობები არცთუ ისე სავსე იყო, სამაგიეროდ, ყველაფერს წისქვილი ანაზღაურებდა. ეს უკანასკნელი კი უკვე ნახევრამდე აეშენებინათ. მოსავლის აღებას მოჰყვა მშრალი და მზიანი დღეები და ცხოველებიც არ-ნახული გულმოდგინებით შრომობდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ნამდვილად ღირდა დამტვრეული ქვის წინ და უკან ზიდვა, თუკი ეს ერთი ფუტით მაინც აამაღლებდა წისქვილის კედლებს. ზოგჯერ ბოქსერი ღამღამობითაც კი მოდიოდა და მარტოკა მუ-შაობდა მთვარის შუქზე. მოცალეობის წუთებში ცხოველები გარ-შემო უვლიდნენ ნახევრამდე აყვანილ წისქვილს, აღაფრთოვა-ნებდათ შვეული კედლების სისწორე და გაოცებულნი იყვნენ, რომ ასეთი საოცრების აგება შეძლეს. მხოლოდ ბენჯამინი არ იყო წისქვილის ენთუზიასტი, თუმცა, ჩვეულებისამებრ, არაფერს ამბობდა, გარდა თავისი იდუმალი გამონათქვამისა: „ვირები დიდხანს ცოცხლობენ“.

მოვიდა ნოემბერი და სამხრეთ-დასავლეთის ქარმაც დაქრო-ლა. მშენებლობა შეჩერდა, რადგან მეტისმეტი სინესტე იყო და ცემენტის ხსნარის მორევა არ ხერხდებოდა. ერთ ღამეს ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ ფერმის ნაგებობები საძირკვლამდე ააქანავა და ფარდულს რამდენიმე კრამიტი გადახადა. ქათმებს გაეღვიძათ და შეშინებული აკაკანდნენ, რადგან ყველას ერ-თდროულად ეზმანა თოფის შორეული სროლა. დილას ცხოვე-ლები სადგომებიდან გამოვიდნენ და აღმოაჩინეს, რომ სადრო-შე ჭოკი ძირს განრთხმულიყო, ხოლო ხეხილის ბაღის განაპი-რას მდგარი თელადუმა ამოგლეჯილი ბოლოკივით ეგდო მიწა-ზე. ყველას სასოწარკვეთილი გმინვა აღმოხდა, როცა მათ წინა-შე გადაიშალა ყველაზე საზარელი სურათი: ნანგრევებად ქცეული წისქვილი.

ყველა ერთიანად გაქანდა წისქვილისკენ. ნაპოლეონი, იშ-ვიათად რომ აუჩქარებდა ნაბიჯს, ახლა პირველი მიქროდა. დი-

ახ, წისქვილი - მათი უზარმაზარი ძალისხმევის ნაყოფი - საძირკვლამდე დანგრეულიყო. რუდუნებით დამტვრეულ-მოზიდული ქვები ირგვლივ უწესრიგოდ ეყარა. ხმას ვერავინ იღებდა. ყველა მწუხარებით მიშტერებოდა ქვების მიმოფანტულ გროვას. ნაპოლეონი უსიტყვოდ დაიარებოდა წინ და უკან და დროდადრო მიწას ყნოსავდა, გამაგრებული კუდი მკვეთრად უმოძრავებდა აქეთ-იქით: მისთვის ეს ინტენსიური გონებრივი დაძაბვის ნიშანი იყო. უცებ შეჩერდა, თითქოს აზრები საბოლოოდ დაულაგდაო.

- ამხანაგებო, - თქვა მშვიდად, - იცით, ვინ უნდა აგოს პასუხი ამ უბედურებისთვის? იცით თუ არა, ვინ არის მტერი, რომელიც ღამით შემოგვეპარა და წისქვილი დაგვინგრია? - სნოუბოლი! - დასჭექა ნაპოლეონმა მეხივით.

- ეს სნოუბოლმა მოიმოქმედა! უდიდესმა ღვარძლმა აფიქრებინა, დაემხო ჩვენი გეგმები და შური ეძია თავისი სამარცხვინო განდევნისათვის. ეს მოღალატე შემოიპარა ღამის სიბნელეში და თითქმის ერთი წლის შრომა წყალში ჩაგვიყარა. ამხანაგებო! აქ და ამწუთას მე სიკვდილის განაჩენი გამომაქვს მისთვის. „ცხოველთა გმირი, მეორე ხარისხი“ - მას, ვინც აღასრულებს სამართალს სნოუბოლის თავზე! პირთამდე სავსე საკვებური მას, ვინც მოღალატეს ცოცხლად შეიპყრობს!

ცხოველები უზომოდ გააოგნა იმ მოსაზრებამ, რომ თვით სნოუბოლსაც კი ძალუძდა მსგავსი ბარბაროსობის ჩადენა. ყველას აღშფოთების ძახილი აღმოხდა და ყველამ იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ დაეჭირა ეს ბოროტმოქმედი, თუ იგი ფერმაში გამოჩნდებოდა. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ბორცვის მახლობლად ღორის ნაკ ვალ ევი იპოვეს. მხოლოდ რამდენიმე იარდზე შეიძლებოდა კვალის მიდევნება, მაგრამ მიმართულებას მესერში გამოხვრეტილი საძრომისკენ მივყავდით. ნაპოლეონმა კვლავ დაყნოსა და თქვა: სნოუბოლისა არის და, ალბათ, ფოქსვუდის ფერმიდან მოდისო.

- ნუღარ დავაყოვნებთ, ამხანაგებო! - თქვა ნაპოლეონმა ნაფეხურების გასინჯვის შემდეგ. - წინ საქმე გველოდება. ამ დილასვე ვიწყებთ წისქვილის აღდგენას. ვერც ზამთარი შეგვაჩერებს, ვერც უამინდობა. ვაჩვენოთ საბრალო მოღალატეს, რომ ჩვენს წამოწყებას ასე ადვილად ვერ ხელყოფს. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რ ომ არაფერი არ უნდა შეიცვალოს: დათქმულ დღეს ყველა გეგმა უნდა განხორციელდეს. წინ, ამხანაგებო! დიდხანს სიცოცხლე წისქვილს! დიდხანს სიცოცხლე „ცხოველების ფერმას“!

თავი VII

მკაცრი ზამთარი ჩამოდგა. ქარიშხალს თოვლ-ჭყაპი მოჰყვა, თოვლს - ყინვა, რ ომელმაც შუა თებერვლამდე გასტანა. ხელა-ხალ მშენებლობაში ცხოველებმა იმდენი იშრომეს, რამდენიც შეძლეს, რადგანაც კარგად უწყოდნენ: ქვეყანა მათ შეჰყურებდა და შურიანი ადამიანები იზეიმებდნენ, თუ წისქვილის მშენებლობა დათქმულ დროზე არ დამთავრდებოდა.

გაბრაზებული ადამიანები თვალთმაქცობდნენ, თითქოს არ სჯეროდათ, რომ წისქვილის დანგრევაში სნოუბოლის ხელი ერია, და ამბობდნენ: ეს მეტისმეტად თხელმა კედლებმა გამოიწვიაო. ცხოველებმა იცოდნენ, რომ ეს არაფერ შუაში იყო, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, ამჯერად სამი ფუტის სისქის კედელი აეშენებინათ და არა თვრამეტი ინჩის, როგორც თავდაპირველად. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გაცილებით მეტი ქვა დასჭირდებოდათ. ქვის სამტეხლო რამდენიმე თვეს თოვლით იყო სავსე და იქ ვერაფერს გააკეთებდნენ. გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს მშრალ, ყინვიან ამინდში. მაგრამ ასეთ დღეებში მუშაობა მეტისმეტად ჭირდა და ცხოველებიც, მუდამ შეციებულნი და, როგორც წესი, მშივრები, უწინდელი ხალისით ვეღარ შრომობდნენ. მხოლოდ ბოქსერი და ქლოვერი არ გატყდნენ. სქვილერი ბრწყინვალე სიტყვებს აფრქვევდა მსახურების სიხარულსა და შრომის სიდიადეზე, თუმცა ცხოველებს ბოქსერის „უკეთესად ვიმუშავებ!“ უფრო შთააგონებდა.

იანვარში საკვებმა იკლო. ხორბლის ულუფა მკვეთრადშემცირდა. გამოაცხადეს, რომ ამ დანაკლისს კარტოფილის ულუფით შეავსებდნენ. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ არასაკმარის სითბოში შენახვის გამო კარტოფილის დიდი ნაწილი ყინვას დაეზრო, რბილი და უფერო გამხდარიყო და მხოლოდ მცირე ნაწილი

თუ გამოდგებოდა საკვებად. მთელი დღეები ცხოველებს მხოლოდ ბზისა და ჭარხლის ჭამა უხდებოდათ. შიმშილს თვალებში ჩახედეს.

სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ამ ამბის დამალვა გარეშე ქვეყნისთვის. წისქვილის დანგრევით გათამამებული ადამიანები „ცხოველების ფერმას“ ახალ-ახალ ტყუილებს უგონებდნენ. კიდევ ერთხელ გავრცელდა ხმა, რომ ცხოველები შიმშილით და სნეულებით იხოცებიან; რომ გამუდმებით ჩხუბობენ ერთმანეთში, მიმართავენ კანიბალიზმს, ხოცავენ საკუთარ პირმშოთ... ნაპოლეონს კარგად ესმოდა, რა შედეგს გამოიწვევდა საკვების ამბის გახმაურება, და გადაწყვიტა, საპირისპირო ამბის გავრცელებისთვის მისტერ ვიმპერი გამოეყენებინა. აქედან მოყოლებული, ცხოველებს ან არანაირი, ან ძალზე ხანმოკლე კონტაქტი თუ ჰქონდათ ვიმპერთან მისი ყოველკვირეული ვიზიტების დროს. მხოლოდ რამდენიმე საგანგებოდ არჩეულ ცხოველს (მეტწილად, ცხვრებს) ევალებოდა, ვიმპერის გასაგონად ელაპარაკა ულუფების გაზრდა-მომატების შესახებ. გარდა ამისა, ნაპოლეონის ბრძანებით, საკუჭნაოში მდგარი სკივრები თითქმის პირთამდე აავსეს ქვიშით, ზემოდან კი დარჩენილი ხორბალი და ფქვილი დააყარეს. შესაფერისი საბაბით ვიმპერს საკუჭნაოში შეუძღვნენ და უფლება მისცეს, თვალი შეევლო სკივრებისთვის. ისიც მოტყუვდა და ძველებურად განაგრძო სხვებთან ლაპარაკი, რომ „ცხოველების ფერმას“ საკვები სრულებით საკმარისი ჰქონდა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, იანვრის ბოლოს ცხადი შეიქნა, რომ სადმე ხორბალი უნდა ეშოვათ. ამ დღეებში ნაპოლეონი იშვიათად თუ გამოდიოდა ცხოველებთან, მთელ დროს ატარებდა ფერმის შენობაში, რომლის თითოეულ კართან ავსახიანი ძაღლი დაყუნცულიყო. თუ გამოჩნდებოდა, ისიც ცერემონიული იერით და ექვსი ძაღლის ესკორტით, რომლებიც მაშინვე ღრე-

ნას იწყებდნენ, როგორც კი ვინმე დასაშვებზე მეტად მიუახლოვ-დებოდა. ხშირად კვირაობითაც კი არ ჩანდა და თავის განკარ-გულებებს ფერმის მკვიდრთ რომელიმე სხვა ღორის (როგორც წესი - სქვილერის) პირით ატყობინებდა.

ერთ კვირადილით სქვილერმა გამოაცხადა, რომ კვერცხის დასადებად ახლახან დამჯდარ ქათმებს დადებული კვერცხები უნდა დაეთმოთ. ვიმპერის შუამავლობით, ნაპოლეონს ხელი მოეწერა კვირაში ოთხასი კვერცხის მიწოდების კონტრაქტზე. ამ გზით ისინი შეძლებდნენ საკმარისი ხორბლისა და ფქვილის შე-ძენას და ფერმაც ზაფხულამდე მშვიდობით მიაღწევდა.

როცა ეს ამბავი ქათმებმა გაიგეს, ყურისწამღებად აკაკან-დნენ. ადრე კი გაეფრთხილებინათ, შეიძლება საჭირო გახდეს ამ მსხვერპლის გაღებაო, მაგრამ არასოდეს დაუჯერებიათ, რომ ეს ოდესმე ნამდვილად მოხდებოდა. სულ ახლახან დაიწყეს საგა-ზაფხულო ბუდობა და ახლა კვერცხის წართმევა მკვლელობას უდრიდა. ჯოუნზის განდევნის შემდეგ პირველად მოხდა რაღაც, პატარა აჯანყების მსგავსი. სამასი ვარიის მეთაურობით ქათმები მთელი ძალით შეეცადნენ, წინ აღსდგომოდნენ ნაპოლეონის ნე-ბას. სხდებოდნენ ნივნივებზე და იქ დებდნენ კვერცხებს, რომ-ლებიც იატაკზე ცვიოდა და იმტვრეოდა. ნაპოლეონი სწრაფად და შეუბრალებლად ამოქმედდა: მთლიანად შეუწყვიტა ქათმებს კვება და გამოაცხადა, რომ მათთვის თუნდ ერთი მარცვალი ხორბლის მიმცემი ნებისმიერი ცხოველი სიკვდილით დაისჯებო-და. ძაღლები თვალყურს ადევნებდნენ, რომ ბრძანება ზედმიწევ-ნით შესრულებულიყო. ქათმებმა ხუთ დღეს გაუძლეს, შემდეგ დანებდნენ და თავიანთ საცხოვრებელ ყუთებს დაუბრუნდნენ. ამ შიმშილობას ცხრა ქათმის სიცოცხლე შეეწირა. მათი ცხედრები ხეხილის ბაღში დამარხეს და გამოაცხადეს, რომ ისინი ქათმის ჭირმა იმსხვერპლა. ამ ამბის შესახებ ვიმპერს არაფერი გაუგია

და კვერცხებიც დროზე გაიგზავნა. ბაყლის ფურგონი კვირაში ერთხელ მოდიოდა და კვერცხი მიჰქონდა.

მთელი ეს ხანი სნოუბოლი არავის უნახავს. ამბობდნენ, ერთ-ერთ მეზობელ ფერმაში - ფოქსვუდში ან პინჩფილდში იმალე-ბაო. უწინდელთან შედარებით, ამ პერიოდში ნაპოლეონი რამ-დენადმე უფრო კარგ დამოკიდებულებაში იყო სხვა ფერმერებ-თან. ეზოში უკვე ათი წელია ზვინად დაეწყოთ წიფლის ტევრის გაჩეხის შედეგად დაგროვილი ხე-ტყე. შესაფერისი სეზონის გა-მო ვიმპერმა ნაპოლეონს ამ შეშის გაყიდვა ურჩია. ორივეს - მისტერ პილკინგტონსაც და მისტერ ფრედერიკსაც - არ ასვენებ-და შეშის შეძენის სურვილი. ნაპოლეონი მერყეობდა, ვერ გადა-ეწყვიტა, რომლისთვის დაეთმო. როგორც კი ფრედერიკისკენ გადაიხრებოდა, მოდიოდა ცნობა, რომ სნოუბოლი ფოქსვუდში იმალება, ხოლო თუ პილკინგტონისკენ აიღებდა გეზს, მაშინ სნოუბოლის პინჩფილდში ყოფნას ამბობდნენ.

ადრეულ გაზაფხულზე საგანგაშო ამბავი აღმოაჩინეს: თურმე სნოუბოლი ღამღამობით ჩუმად შემოდიოდა ფერმაში. ამ ამბით შეშფოთებული ცხოველები ვეღარ იძინებდნენ. როგორც ამბობ-დნენ, წყვდიადით მოცული სნოუბოლი ყოველღამე ფერმაში მოძვრებოდა და ათასგვარ მავნებლობას სჩადიოდა: იპარავდა ხორბალს, აყირავებდა რძიან ვედროებს, ამტვრევდა კვერ-ცხებს, თელავდა ნარგავებიან კვლებს, ქერქს აღრღნიდა ხეებს. როგორც კი რამე ფუჭდებოდა, მაშინვე სნოუბოლს მიაწერდნენ. გატეხილი ფანჯრის ან გაჭედილი წყალსადინარის დანახვისას ვიღაც უეჭველად იტყოდა, ღამით სნოუბოლი მოსულაო. თუ საწ-ყობის გასაღები დაიკარგებოდა, მთელ ფერმას სჯეროდა, რომ სნოუბოლმა ჩააგდო ჭაში. საგულისხმო იყო, რომ ცხოველებს მაშინაც სჯეროდათ ეს, როცა გასაღებს მოულოდნელად ფქვი-ლის ტომრის ქვეშ პოულობდნენ. ძროხებმა ერთსულოვნად გა-ნაცხადეს, რომ სნოუბოლი ბოსელში შეიპარა და ისინი მძინა-

რეები მოწველა. ვირთხებიც, აუტანლად რომ იქცეოდნენ ამ ზამთარს, სნოუბოლის მოკავშირეებად გამოცხადდნენ.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა, ძირფესვიანად გამოეძია სნოუბოლის საქმიანობა. საგულდაგულოდ დაათვალიერა ფერმა ძაღლების თანხლებით. უკან, საპატიო მანძილზე, სხვა ცხოველები მიჰყვებოდნენ. ყოველ რამდენიმე ნაბიჯზე ნაპოლეონი ჩერდებოდა და მიწაზე სნოუბოლის ნაფეხურებს ყნოსავდა, რომლებსაც, მისი თქმით, სუნით ცნობდა. ყველა კუნჭული დაყნოსა ფარდულში, ბოსელში, საქათმეებში, ბოსტანში და ყველგან სნოუბოლის ნაკვალევს წააწყდა. დრუნჩს მიწაზე აბჯენდა, რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქავდა და საშინელი ხმით წამოიძახებდა: „სნოუბოლი! აქ იყო! აშკარად მისი სუნი მცემს!“ სიტყვა „სნოუბოლზე“ ყველა ძაღლი სისხლისგამყინავად იღრინებოდა და გვერდითა კბილებს აჩენდა.

ცხოველები მეტისმეტად დაშინდნენ. ეჩვენებოდათ, რომ სნოუბოლი რაღაც უხილავ ძალად ქცეულიყო, გარშემო სივრცე გაეჟღინთა და ყოველგვარი საფრთხით იმუქრებოდა. საღამოს სქვილერმა ცხოველები შეკრიბა და შიშატანილი სახით უთხრა, ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გაუწყოთო.

- ამხანაგებო! - დაიჭყვიტინა სქვილერმა ნერვიული ხტუნვით. - უსაზარლესი რამ აღმოვაჩინეთ: სნოუბოლი პინჩფილდის პატრონ ფრედერიკს მიეყიდა, რომელიც ახლა იერიშზე გადმოსვლას და ფერმის წართმევას გეგმავს! სნოუბოლი მისი მეგზური იქნება. კიდევ უარესი: ჩვენ გვეგონა, რომ სნოუბოლის აჯანყებაში მონაწილეობის მიზეზი მისი პატივმოყვარეობა იყო. შევმცდარვართ, ამხანაგებო! იცით, რა ყოფილა ნამდვილი მიზეზი? სნოუბოლი, იმთავითვე ჯოუნზთან შეკრული ყოფილა, მთელი ეს პერიოდი კი - მისი საიდუმლო აგენტი. ეს ყველაფერი მტკიცდება დოკუმენტებით, რომლებიც მას აქ დარჩა და ახლაღა აღმოვაჩინეთ. ეს ამბავი, ამხანაგებო, ბევრ რამეს ჰფენს შუქს. განა

საკუთარი თვალით არ დავინახეთ, როგორ ცდილობდა (საბედნიეროდ - წარუმატებლად) ჩვენს დამარცხებას და განადგურებას „გომურის ბრძოლაში“?

ცხოველები გაოგნდნენ... ეს ბოროტება ბევრად სჭარბობდა სნოუბოლის მიერ წისქვილის დანგრევას. მაგრამ რამდენიმე წუთი გახდა საჭირ ო ამ საშინელი ამბის გასააზრებლად. ყველას ახსოვდა, - ან ეგონა, რომ ახსოვდა, - როგორ მეთაურობდა სნოუბოლი მათ „გომურის ბრძოლაში“, როგორ რაზმავდა და ამხნევებდა ყოველ კრიტიკულ მომენტში და როგორ არ შეუჩერებია თვით ჯოუნზის ტყვიას, ზურგის მთელ გაყოლებაზე სისხლიანი კვალი რომ დაამჩნია. თავიდან ძნელი იყო გაგება, თუ როგორ თავსდებოდა ეს ყველაფერი ჯოუნზის ჯაშუშობასთან. ბოქსერიც კი, ასე იშვიათად რომ იძლეოდა შეკითხვებს, განცვიფრებული ჩანდა. შემდეგ ძირს დაეშვა, ფეხები ტანქვეშ ამოიკეცა, თვალები დახუჭა და ინტენსიურად შეეცადა აზრის ჩამოყალიბებას.

- არ მჯერა, - თქვა მან, - „გომურის ბრძოლაში“ სნოუბოლი მამაცურად იბრძოდა. თავად ვადევნებდი თვალს. განა უშუალოდ ბრძოლის შემდეგ არ მივანიჭეთ „ცხოველთა გმირი, პირველი ხარისხი“?

- ეს ჩვენი შეცდომა იყო, ამხანაგო! - შესჭყივლა სქვილერმა. - ახლა ჩვენ უკვე ვიცით (ეს ყველაფერი შავით თეთრზე წერია ახლახან ნაპოვნ საიდუმლო დოკუმენტებში), რომ სნოუბოლი ხაფანგში გვაბამდა.

- მაგრამ ის ხომ დაიჭრა, - თქვა ბოქსერმა, - ყველამ დავინახეთ მისი ჭრილობიდან მომდინარე სისხლი.

- ეს მისი გეგმის ნაწილი იყო! - შესძახა სნოუბოლმა, - ჯოუნზის ტყვიამ იგი მხოლოდ მსუბუქად გაკაწრა. თავად წაიკითხავდით ამას სნოუბოლის ჩანაწერებში, კითხვა რომ შეგეძლოთ. მისი განზრახვის თანახმად, კრიტიკულ მომენტში გაქცევის სიგ-

ნალი უნდა მიეცა და ბრძოლის ველი მტრისთვის დაეტოვებინა. თითქმის განახორციელა კიდეც ეს ჩანაფიქრი. მეტიც, ამხანაგებო, ის აუცილებლად გაიმარჯვებდა, რომ არა ჩვენი გმირი ხელმძღვანელი, ჩვენი ნაპოლეონი. განა არ გახსენდებათ, რომ იმ მომენტში, როცა ჯოუნზი და მისი ხალხი ეზოში შემოცვივდნენ, სნოუბოლი უცებ შებრუნდა, გაიქცა და ცხოველებიც უკან გაიყოლა? ნუთუ არ გახსოვთ, რომ სწორედ იმ წუთში, როცა ყველა პანიკამ მოიცვა და ყველაფერი თითქოს უკვე დაკარგული იყო, ამხანაგმა ნაპოლეონმა ისკუპა შეძახილით „სიკვდილი ადამიანებს!“ და პირდაპირ ფეხში ჩაასო კბილები ჯოუნზს? - გაიძახოდა სქვილერი აქეთიქით ხტუნვით.

ახლა, როდესაც სქვილერმა ასე დაწვრილებით აღწერა ბრძოლის ამბავი, ცხოველებს მოეჩვენათ, რომ ეს ყველაფერი ახსოვდათ. ყოველ შემთხვევაში, ის გაიხსენეს, რომ კრიტიკულ მომენტში სნოუბოლი შეტრიალდა და დაოთხა. მაგრამ ბოქსერი მაინც შეფიქრიანებული ჩანდა.

- არ მჯერა, რომ სნოუბოლი თავიდანვე მოღალატე იყო, - თქვა მან ბოლოს, - რაც შემდეგ გააკეთა, ეს უკვე სხვა საქმეა. მაგრამ „გომურის ბრძოლაში“ ის ჩვენ გვერდით იდგა.

- ჩვენმა ლიდერმა, ამხანაგმა ნაპოლეონმა, კატეგორიულად - კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ა დ - დაასკვნა, რომ სნოუბოლი პირველი დღიდანვე ჯოუნზის აგენტი იყო, დიახ, აჯანყების იდეის გაჩენაზე გაცილებით უფრო ადრეული ხანიდან, - წარმოთქვა სქვილერმა ძალიან ნელა და მტკიცედ.

- აჰ, ეს სხვა საქმეა! - თქვა ბოქსერმა. - თუ ამას ამხანაგი ნაპოლეონი ამბობს, ესე იგი, სიმართლეა.

- ასეა, ამხანაგო! - დაიჭყვიტინა სქვილერმა და მოწკურული თვალებით გაბოროტებული მზერა ესროლა ბოქსერს, შემდეგ წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ უცებ შეჩერდა და შთამბეჭდავად დაამატა: - ვაფრთხილებ ფერმის ყველა ცხოველს, კარგად

გაახილოს თვალები, რადგან გვაქვს მიზეზი ვიფიქროთ, რომ სნოუბოლის საიდუმლო აგენტები ახლაც ჩვენ შორის დადიან!

ოთხი დღის შემდეგ, ნაშუადღევს, ნაპოლეონის განკარგულებით ყველა ცხოველი ეზოში შეიკრიბა. როცა ყველა შეგროვდა, იგი თავისი რეზიდენციიდან გამოვიდა ორივე მედლით მკერდდამშვენებული (ცოტა ხნის წინ მან საკუთარ თავს მიანიჭა „ცხოველთა გმირი, პირველი ხარისხი“ და „ცხოველთა გმირი, მეორე ხარისხი“) და ცხრავე ძაღლით გარშემორტყმული, რომელთა ღრენა ბალანს უბურძგლავდა ქვემოთ შეგროვილ ყველა ცხოველს. რაღაც საშინელების მოლოდინში ყველა თავის ადგილზე მოიკუნტა.

ნაპოლეონი მკაცრად გადმოსცქეროდა აუდიტორიას, შემდეგ ხმამაღლა დაიჭყ ივლა. ამის გაგონებაზეც ძაღლებმა ისკუპეს, ოთხ ღორს ყურებში ჩაავლეს პირი და, შიშ-ტკივილისგან აჭყვიტინებულნი, წინ მიუთრიეს ნაპოლეონს. ღორებს ყურებიდან სისხლი სდიოდათ და, რადგან ძაღლებმა სისხლის გემო გაიგეს, ერთხანს მთლად აიწყვიტეს. ყველას გასაოცრად, სამმა მათგანმა ბოქსერისკენ ისკუპა. როცა ამ უკანასკნელმა მისკენ გაქცეული ძაღლები დაინახა, უშველებელი ფეხი ასწია, ერთერთი ძაღლი ჰაერში დაიჭირა, მიწაზე დასცა და ზედ ჩლიქი დააბჯინა. ძაღლმა წკმუტუნით შეწყალება სთხოვა, დანარჩენი ორი კი კუდამოძუებული გაიქცა. ბოქსერმა ნაპოლეონს შეხედა, რათა გაეგო, ადგილზევე დაესრისა თუ არა ეს ძუკნა. ნაპოლეონს სახე შეეცვალა და მკაცრად უბრძანა ბოქსერს, გაეთავისუფლებინა ძაღლი, რის შემდეგაც ბოქსერმა ფეხი აიღო და დაბეგვილ--აყმუვლებული ძაღლიც უხმოდ გაიძურწა.

ხმაური ჩაწყნარდა, სახეზე ბრალდაწერილი ოთხი ღორი ცახცახით ელოდებოდა თავის განაჩენს. ნაპოლეონმა მოსთხოვა, ეღიარებინათ თავიანთი დანაშაული. ეს სწორედ ის ღორები იყვნენ, საკვირაო მიტინგების გაუქმება რომ გააპროტესტეს. ყო-

ველგვარი შემდგომი მითითების გარეშე მათ აღიარეს, რომ საიდუმლო კავშირში იყვნენ სნოუბოლთან, დღიდან მისი განდევნისა; რომ მასთან ერთად დაანგრიეს წისქვილი და იმაშიც შეუთანხმდნენ, რომ „ცხოველების ფერმა“ მისტერ ფრედერიკის ხელში გადაეცათ. ისიც თქვეს, რომ სნოუბოლს მათთვის საიდუმლოდ გაუნდვია წარსულში ჯოუნზის აგენტად ყოფნის ამბავი. როგორც კი ღორები აღსარებას მორჩნენ, ძაღლებმა იქვე გამოღადრეს ოთხივეს ყელი. ნაპოლეონმა საზარელი ხმით იკითხა, კიდევ რომელიმეს ხომ არ ჰქონდა აღსარება სათქმელი.

წინ გამოვიდა სამი ქათამი - კვერცხის გაყიდვასთან დაკავშირებული ამბოხის ლიდერები. მათ თქვეს, რომ სნოუბოლი გამოეცხადა სიზმარში და შეაგულიანა, არ დამორჩილებოდნენ ნაპოლეონის ბრძანებებს. ძაღლებმა ისინიც დაფლითეს. შემდეგ გამოვიდა ბატი და აღიარა, რომ ექვსი თავთავი აწაპნა წინა წლის მოსავლიდან და ღამით მარტოკამ შეჭამა. შემდეგ ცხვარმა აღიარა, რომ სასმელი წყლის ტბორში მოშარდა - სნოუბოლმა წამაქეზაო. ორმა სხვა ცხვარმა კი გაამხილა, რომ სიცოცხლე მოუსწრაფეს ბებერ ყოჩს - ნაპოლეონის განსაკუთრებულად ერთგულ მიმდევარს - იმით, რომ, ხველებით შეწუხებული, აიძულეს სულის ამოხდომამდე ერბინა კოცონის გარშემო. ყოველი აღმსარებელი ადგილზევე იქნა მოკლული და აღსარება-დასჯის ეს პროცესი იქამდე გაგრძელდა, სანამ ნაპოლეონის წინ გვამების ბორცვი არ აღიმართა. სისხლის სუნით ასე გაჟღენთილი ჰაერი არავის ახსოვდა ჯოუნზის განდევნის შემდეგ.

როცა ყველაფერი დასრულდა, დარჩენილი ცხოველები, ღორებისა და ძაღლების გამოკლებით, უსიტყვოდ გაიკრიფნენ, დარეტიანებულნი და შესაბრალისნი. მათ უკვე აღარ იცოდნენ, რა უფრო დიდი საშინელება იყო: ზოგიერთი ცხოველის ღალატი, როცა ისინი სნოუბოლს შეეკვრნენ, თუ ეს უმოწყალო ჟლეტა,

რისი მოწმენიც დღეს გახდნენ. ძველ დროში არაერთხელ უნახავთ მსგავსი სისხლიანი სცენა, მაგრამ ამჯერად ყველას ისეთი განცდა ჰქონდა, რომ დღევანდელი ამბავი გაცილებით უარესი იყო, რადგან ეს მათ შორის ხდებოდა. ჯოუნზის წასვლის შემდეგ არც ერთ ცხოველს არ მოუკლავს მეორე ცხოველი, ვირთხაც კი. ყველამ პატარა ბორცვს მიაშურა, სადაც ნახევრად აშენებული წისქვილი იდგა, და ერთიმეორის გვერდით დაეშვა მოლზე, თითქოს ერთმანეთი უნდა გაათბონო. ყველა იქ იყო: ქლოვერი, მურიელი, ბენჯამინი, ძროხები, ცხვრები, ბატებისა და ქათმების მთელი გუნდი, - ყველა, გარდა კატისა, რ ომელიც სწორედ მაშინ გადაიკარგა, ნაპოლეონმა ცხოველებს ერთად შეკრება რომ უბრძანა. მხოლოდ ბოქსერი არ დაწოლილა. მოუსვენრად დადიოდა წინ და უკან, შავ კუდს ფერდებზე იტყლაშუნებდა და ხანგამოშვებით გაოცების ხვიხვინს გამოსცემდა. ბოლოს თქვა:- არაფერი მესმის. დაუჯერებელია, რომ ასეთი რამეები ჩვენს ფერმაში ხდება. რაღაც შეცდომასთან გვაქვს საქმე. ალბათ, უკეთესად უნდა ვიმუშაოთ. ხვალიდან ერთი საათით უფრო ადრე ავდგები.

და ბოქსერმა მგრგვინავი ჩორთით ქვის სამტეხლოსკენ აიღო გეზი. იქ დამტვრეული ქვების ორი გროვა დაზვინა და, ვიდრე დასაძინებლად წავიდოდა, ორივე წისქვილთან ჩამოიტანა.

ცხოველები უხმოდ მოკუნტულიყვნენ ქლოვერის ირგვლივ. ბორცვიდან, სადაც იწვნენ, მშვენიერი სურათი იშლებოდა: მთავარ გზამდე გადაჭიმული გრძელი საძოვარი, სათიბი, მინდორი, ტევრი, სასმელი წყლის ტბორი, მოხნული ველები ახალამოწვერილი მწვანე ჯეჯილით, ფერმის ნაგებობათა წითელი სახურავები საკვამლე მილებიდან ხვეულად ამოსული კვამლის სვეტებით... გაზაფხულის ნათელი საღამო იდგა, ბალახი და ამწვანებული ღობეები გადახრილ მზეს მოეოქროებინა. არასოდეს ყო-

ფილა ფერმა ასე გულის გამლღობად სასურველი და მიმზიდველი, როგორც დღეს. ცხოველებს ერთგვარი გაკვირვებით ახსოვდათ, რომ ის მათი იყო, მათი საკუთრება თავისი ყოველი გოჯით. ქლოვერმა ბორცვს ჩააყოლა მზერა და თვალები ცრემლებით აევსო. თავისი აზრების გამოთქმა რომ შესძლებოდა, იტყოდა, რომ, რაც დღეს ფერმაში ხდებოდა, ის არ იყო, რისკენაც მოუხაროდათ წლების წინ, როდესაც ადამიანთა მოდგმის დამხობა განიზრახეს. ტერორისა და ხოცვა-ჟლეტის ეს სცენები სრულებით განსხვავდებოდა იმისგან, რისი მოლოდინიც მათ მეიჯორის მოწოდებამ აღუძრა სულ პირველ ღამეს. თუ ქლოვერს ოდესმე მომავალი წარმოუდგენია, მაშინ ეს არის შიმშილისა და შოლტისგან განთავისუფლებულ ცხოველთა საზოგადოება, რომელშიც ყველა თანასწორია, რომელშიც თითოეული შრომობს თავისი შესაძლებლობების მიხედვით; რომელშიც ძლიერი იცავს სუსტს, როგორც თვითონ იცავდა ზორბა წინა ფეხით იხვის ჭუჭულებს მეიჯორის მიმართვის ღამეს. ამ ყოველივეს სანაცვლოდ კი (ქლოვერმა არ იცოდა - რატომ) ისეთი დრო დაუდგათ, როცა ვერავინ ბედავდა საკუთარი აზრის გამოთქმას, როდესაც ყველგან დასაგლეჯად გამზადებული ძაღლები დაძრწოდნენ და როცა არგაგონილ დანაშაულთა აღიარების შემდეგ შენივე ამხანაგების ცოცხლად დანაკუწებისთვის უნდა გეცქირა. აზრადაც არ მოსვლია ამბოხი და დაუმორჩილებლობა, რადგან იცოდა, რომ ასეთი ვითარებაც კი ჯოუნზის ხანაზე გაცილებით უკეთესი იყო და, უწინარეს ყოვლისა, ცხოველები ადამიანთა დაბრუნებას წინ უნდა აღსდგომოდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ის მაინც ერთგული დარჩებოდა, თავდაუზოგავად იშრომებდა, შეასრულებდა, რასაც უბრძანებდნენ, და არ უარყოფდა ნაპოლეონის მმართველობას... და მაინც, ეს ის არ იყო, რისი იმედიც ქლოვერს და სხვა ცხოველებს ჰქონდათ და რისთვისაც აქამდე ეშრომათ. ამისთვის არ უშენებიათ წისქვილი და არც ჯო-

უნზის თოფისთვის მიუშვერიათ მკერდი ამ პერსპექტივით. ასეთი იყო მისი ფიქრები, მაგრამ სიტყვები არ ჰყოფნიდა გამოსათქმელად.

ბოლოს, თითქოს ვერნაპოვნი სიტყვების მაგიერიაო, ქლოვერმა „მხეცნო ინგლისის“ წამოიწყო. გარშემო მსხდომი ცხოველებიც აჰყვნენ და სიმღერა სამჯერ გაიმეორეს. ძალზე მელოდიურად მღეროდნენ, მაგრამ ისე ნელა, ისე, მწუხარედ, როგორც არასოდეს უმღერიათ უწინ.

ის იყო სიმღერა დაასრულეს, რომ ორი ძაღლის თანხლებით და რაღაც მნიშვნელოვანი სათქმელის მქონე იერით მოუახლოვდათ სქვილერი. მან ცხოველებს ამცნო, რომ, ნაპოლეონის მიერ ახლახან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, „მხეცნო ინგლისის“ გაუქმებულია და მისი შესრულება დღეიდან იკრძალება.

ცხოველებს ელდა ეცათ.

- რატომ? - შესძახა მურიელმა.

- აღარ არის საჭირო, ამხანაგო, - მიუგო სქვილერმა მტკიცედ. - ეს აჯანყების ჰიმნია, აჯანყება კი უკვე დამთავრდა. მოღალატეთა დასჯა ამ ნაშუადღევს მისი უკანასკნელი აკორდი იყო. გარე თუ შინა მტერი - ორივე დამარცხებულია. ჰიმნში ჩვენ გამოვხატეთ ლტოლვა მომავალი და უკეთესი საზოგადოებისკენ. ამჟამად ეს საზოგადოება უკვე შექმნილია და სიმღერამაც თავისი ფუნქცია შეასრულა.

მთელი თავიანთი დაზაფრულობის მიუხედავად, ზოგიერთი ცხოველი, ალბათ, მაინც გააპროტესტებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ცხვრები, ჩვეულებისამებრ, აბღავლდნენ:„ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი“, რაც რამდენიმე წუთს გაგრძელდა და წერტილი დაუსვა ყოველგვარ დისკუსიას.

ამის შემდეგ „მხეცნო ინგლისის“ აღარავის გაუგონია. მის ნაცვლად პოეტმა მინიმუსმა შეთხზა სიმღერა, რომელიც ასე იწყებოდა:

ცხოველების ფერმავ, ცხოველების ფერმავ, ჩემი შემწეობით ვერრა გიყოს მტერმა!

ამას მღეროდნენ ყოველ კვირას, დროშის აფრიალების შემდეგ, მაგრამ ცხოველები რაღაცნაირად გრძნობდნენ, რომ ვერც ტექსტით და ვერც მელოდიით ეს სიმღერა ყოფილ ჰიმნს ვერ შეედრებოდა.

თავი VIII

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სიკვდილით დასჯით გამოწვეული შიში ჩაცხრა, ზოგიერთმა ცხოველმა გაიხსენა - ან ეგონა, რომ გაიხსენა - მეექვსე მცნება: „არც ერთი ცხოველი არ მოკლავს სხვა ცხოველს“. და თუმცა არავინ აპირებდა ამაზე კრინტის დაძვრას ღორების ან ძაღლების გასაგონად, ცხოველებს ისეთი განწყობა დაეუფლათ, რომ იმ დღის ხოცვა-ჟლეტა ვერ უთავსდებოდა მცნების აზრს. ქლოვერმა ბენჯამინს სთხოვა, წაეკითხა მისთვის მეექვსე მცნება და, რაკი ბენჯამინმა უარი თქვა ამ საქმეებში ჩარევაზე, მურიელი მოძებნა. „არც ერთი ცხოველი არ მოკლავს სხვა ცხოველს უმიზეზოდ“, - წაიკითხა მურიელმა. ახლა კი დაინახეს, რომ მცნება არავის დაურღვევია. აშკარა იყო, რომ, რაკი სნოუბოლს შეეკვრნენ, მოღალატეები უნდა დაეხოცათ.

მთელი ეს წელიწადი ცხოველებმა წინა წელზე კიდევ უფრო მუყაითად იშრომეს. წისქვილის აშენება უწინდელზე ორჯერ უფრო სქელი კედლებით, დანიშნულ ვადაში დამთავრება და, ამასთან ერთად, ფერმის მუდმივი სამუშაოების შესრულება - ტიტანური საქმე გახლდათ. იყო დღეები, როცა ცხოველებს ეჩვენებოდათ, რომ უფრო მეტხანს მუშაობდნენ და იმავე რაოდენობის საკვებს ჭამდნენ, რამდენსაც ჯოუნზის დროს. კვირაობით სქვილერი გრძელ ქაღალდს მოიმარჯვებდა ხოლმე და შეკრებილთ უკითხავდა რიცხვებს, რომლებიც აჩვენებდა სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოების ზრდას 200, 300 ან 500 პროცენტით. ცხოველებს არავითარი მიზეზი არ ჰქონდათ არ დაეჯერებინათ მისთვის, რადგან, ცოტა არ იყოს, ბუნდოვნად ახსოვდათ, რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ აჯანყებამდე. მიუხედავად ამისა,

იყო დღეები, როცა ერჩივნათ, ნაკლები რიცხვები და მეტი საჭმელი ჰქონოდათ.

ამჯერად ყველა განკარგულება გაიცემოდა სქვილერის ან სხვა ღორის პირით. ნაპოლეონი საჯაროდ მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა, ხოლო, როდესაც გამოდიოდა, მხოლოდ ძაღლების კოჰორტა კი აღარ ახლდა, არამედ შავი მამალიც, მესაყვირესავით წინ რომ მოუძღოდა და ხმამაღალ „ყიყლიყოს“ დასძახებდა ხოლმე უშუალოდ ნაპოლეონის მიმართვის წინ. თვით ჯოუნზის ყოფილ სახლშიც კი ნაპოლეონს, როგორც ამბობდნენ, ცალკე აპარტამენტები ეჭირა, მარტოკა სადილობდა ორი მცველი ძაღლით მყუდროებადაცულ ოთახში და მუდამ სადარბაზო ოთახის მინის კარადაში შენახული ძვირფასი სერვიზით სარგებლობდა. საჯაროდ გამოცხადდა, რომ თოფს, დანარჩენ ორ დღესასწაულთან ერთად, ნაპოლეონის დაბადების დღესაც გაისროდნენ.

უკვე აღარავინ იხსენიებდა მას უბრალოდ „ნაპოლეონად“. უწოდებდნენ „ჩვენს ხელმძღვანელს, ამხანაგ ნაპოლეონს“. ღორებს მოსწონდათ მისთვის ისეთი სახელების გამოგონება, როგორიცაა „ცხოველთა ძმა“, „ადამიანთა რისხვა“, „ცხვართა მფარველი“, „იხვის ჭუჭულთა მეგობარი“ და სხვა მისთანანი. თავის გამოსვლებში სქვილერი ცრემლის ღვრით ლაპარაკობდა ნაპოლეონის სიბრძნეზე, გულკეთილობაზე, ყველა ცხოველის სიყვარულზე, საკუთრივ სიყვარულზე, განსაკუთრებით კი - სხვა ფერმებში მცხოვრები უმეცარი და დამონებული ცხოველების მიმართ. ჩვეულებრივ ამბად იქცა ყოველი მნიშვნელოვანი წარმატების ნაპოლეონისთვის მიწერა. ხშირად გაიგონებდით, როგორ ეუბნებოდა ერთი ქათამი მეორეს:„ჩვენი ნაპოლეონის ხელმძღვანელობით ექვს დღეში ხუთი კვერცხი დავდე“. სხვაგან ტბორის წყლით ნასიამოვნები ორი ძროხა წამოიძახებდა: „რა საუცხოო წყალია ამხანაგ ნაპოლეონის მადლით!“ ფერმის სა-

ერთო განწყობილება კარგად გამოიხატა მინიმუსის ლექსში „ამხანაგო ნაპოლეონ“:

უმამოთა მეგობარო!

კეთილ იღბლის წმინდა წყაროვ!

სალაფავთა მეუფეო! მეკიდება ცეცხლი მეო, ოდეს შორით ვუთვალთვალებმშვიდ, მბრძანებლურ მაგ შენს თვალებს, როგორც ცაში მზიურ ალებს: - ამხანაგო ნაპოლეონ!

შენ იძლევი უხვად ყოველს,რაც კი უყვარს ყველა ცხოველს,ორჯერ უვსებ დღეში მუცლებს: „ჭამონ, მერე გაგორდნენო“.

ყველა მხეცი: ზორბა, ჩია, სადგომს მშვიდად შეჰფარვია, იცავ მათ ძილს, დიდო ძია, ამხანაგო ნაპოლეონ!

მწოვარა რომ მყავდეს გოჭი რომ აიყრის ტანს ეს ნორჩი,-თუნდ ჯერ იყოს ბოთლისხელა ან ვით ჯოხი საცომეო,ჭეშმარიტად უნდა გიგრძნოს, შენს ერთგულად თავი იცნოს, აკვნიდანვე იჭყვიტინოს:„ამხანაგო ნაპოლეონ!“

ნაპოლეონმა ლექსი მოიწონა და დიდი ფარდულის კედელზე, შვიდი მცნების მოპირდაპირე მხარეს დააწერინა. ლექსის თავში ეხატა სქვილერის მიერ თეთრი საღებავით შესრულებული ნაპოლეონის პორტრეტი პროფილში.

ამასობაში, ვიმპერის შუამდგომლობით, ნაპოლეონი რთულ მოლაპარაკებებში ჩაერთო ფრედერიკთან და პილკინგტონთან. შეშა ჯერ კიდევ გაუყიდავი ეწყო. ფრედერიკს მეტოქეზე მეტად სურდა მისი ხელში ჩაგდება, თუმცა კი - იაფად. იმავდროულად, კვლავ გავრცელდა ხმები, რომ ფრედერიკი და მისი ხალხი გეგმავდა „ცხოველების ფერმის“ დაპყრობას და წისქვილის დანგრევას, რომელიც შურს და ეჭვს აღძრავდა მათში. სნოუბოლი, როგორც ამბობდნენ, კვლავ პინჩფილდის ფერმაში იმალებოდა. შუა ზაფხულში ცხოველები შეაშფოთა სამი ქათმის თვითმხილებამ იმის თაობაზე, რომ ფარულად შეუთანხმდნენ სნოუბოლს - მოეკლათ ნაპოლეონი. ქათმები, რასაკვირველია,

მაშინვე სიკვდილით დაისაჯნენ, ნაპოლეონის უსაფრთხოებისთვის კი მიღებულ იქნა საგანგებო ზომები. საწოლის ყოველ კუთხეში მთელ ღამეს თითო ძაღლი ეჯდა, პინკიდ წოდებული ახალგაზრდა ღორი კი ნაპოლეონის ყოველ საჭმელს წინდაწინ უსინჯავდა გემოს, ვინძლო მოწამლული არ ყოფილიყო.

დაახლოებით იმავე დროს გამოცხადდა, რომ ნაპოლეონმა გადაწყვიტა, შეშა მისტერ პილკინგტონისთვის მიეყიდა. საერთოდ, ნაპოლეონი აპირებდა მუდმივი საქმიანი ურთიერთობები დაემყარებინათ „ცხოველების ფერმასა“ და ფოქსვუდს შორის. ეს კავშირი ვიმპერის მეშვეობით ხორციელდებოდა, მაგრამ სადღეისოდ თითქმის უკვე მეგობრული სახე მიეღო. ცხოველები არ ენდობოდნენ პილკინგტონს, როგორც ზოგადად ადამიანს, მაგრამ გაცილებით ერჩივნათ ფრედერიკი, რომელსაც ვერც ერთი მათგანი ვერ იტანდა. ზაფხულის გასვლასთან და წისქვილის დამთავრებასთან ერთად იზრდებოდა ხმები მუხანათური თავდასხმის საშიშროების შესახებ. ამბობდნენ, რომ ფრედერიკი ოცი თოფიანი კაცით შეტევას აპირებდა და მაგისტრატ--პოლიციაც უკვე მოქრთამული ჰყავდა. და თუ ეს კაცი ერთხელაც ხელში ჩაიგდებდა „ცხოველების ფერმის“ მთავარ წერტილებს, თურმე ნუ იტყვით, არავინ აღარაფერს მოჰკითხავდა. მეტიც, საზარელი ხმები დადიოდა იმ სისასტიკის შესახებ, რომლითაც ფრედერიკი ცხოველებს აწამებდა. თურმე სულის ამოხდომამდე გაურობგავს ბებერი ცხენი, უშიმშილებია ძროხები, ქურაში ცოცხლად დაუწვავს ძაღლი, საღამოობით კი დეზებზე სამართებლის ნამტვრევებმიმაგრებული მამლების ჩხუბით იქცევდა თავს. როცა ამ დღეში მყოფი ამხანაგების ამბავი ესმოდათ, ცხოველებს სისხლი რისხვით უდუღდათ და ზოგჯერ მოითხოვდნენ, ნება მოგვეცით, პინჩფილდი იერიშით ავიღოთ, ადამიანები გავყაროთ და ცხოველები გავათავისუფლოთო, მაგრამ სქვილერმა

ურჩია, მკვეთრ მოქმედებებს მორიდებოდნენ და ამხანაგი ნაპოლეონის სტრატეგიას მინდობოდნენ.

მიუხედავად ამისა, თანდათანობით მაინც ზვირთდებოდა ფრედერიკის საწინააღმდეგო ტალღა. ერთ კვირა დილით ფარდულში გამობრძანდა ნაპოლეონი და თქვა, რომ არასოდეს უფიქრია შეშის მიყიდვა ფრედერიკისთვის, რადგან, მისივე თქმით, მსგავს არამზადასთან ურთიერთობა ღირსებას შეუბღალავდა. მტრედებს, რომლებსაც ჯერ კიდევ გზავნიდნენ აჯანყების ამბის გასავრცელებლად, ფოქსვუდის ტერიტორიაზე ერთი შეფრთხიალებაც კი აეკრძალათ, ხოლო ძველი ლოზუნგი „სიკვდილი ადამიანთა მოდგმას!“ შეცვალეს ახლით - „სიკვდილი ფრედერიკს!“. ზაფხულის მიწურულს გამოაშკარავდა სნოუბოლის კიდევ ერთი მაქინაცია: ხორბალში უამრავი ჭინჭარი აღმოჩნდა. მორიგი ღამეული ვიზიტის დროს სნოუბოლს ხორბალში ჭინჭრის თესლი გაერია. მამალმა ბატმა - ამ შეთქმულების თანამონაწილემ - თავისი დანაშაული სქვილერს გაანდო და იქვე მოიკლა თავი ძაღლყურძენას მარცვლების გადაყლაპვით. ამჯერად ცხოველებმა ისიც გაიგეს, რომ - მათი აქამდელი რწმენის საწინააღმდეგოდ - სნოუბოლს არასოდეს მიუღია სამკერდე ნიშანი „ცხოველების გმირი, პირველი ხარისხი“. ეს ლეგენდა მან თვითონ გაავრცელა„გომურის ბრძოლის“ შემდეგ. სინამდვილეში, ლაჩრობის მეტი მას ამ ბრძოლაში არაფერი გამოუჩენია. ამან კიდევ ერთხელ განაცვიფრა ზოგიერთი ცხოველი, მაგრამ სქვილერმა მალე დაარწმუნა ისინი საკუთარი ხსოვნის არასრულფასოვნებაში.

შემოდგომაზე, წარმოუდგენლად მძიმე და ქანცგამწყვეტი შრომის შედეგად (მოსავალიც ხომ თითქმის იმავე თვეებში აიღეს) წისქვილის მშენებლობა დამთავრდა. შიდა მექანიზმი ჯერ კიდევ დასამონტაჟებელი იყო, რაც ისევ ვიმპერის მეშვეობით უნდა მომხდარიყო, მაგრამ თვითონ შენობა დასრულ-

და. ყველა სიძნელის და ისეთი მიზეზების მიუხედავად, როგორიც იყო გამოუცდელობა, პრიმიტიული იარაღები, უიღბლობა თუ სნოუბოლის ღალატი, - მშენებლობა ზუსტად დანიშნულ დღეს დამთავრდა. გასავათებული, მაგრამ ამაყი ცხოველები თავიანთ შედევრს გაუთავებლად უვლიდნენ გარშემო და პირველად ნაშენებზე უფრო ლამაზიც კი ეჩვენებოდათ. კედლებიც ხომ უწინდელზე ორჯერ უფრო სქელი აეგოთ! ვერავითარი აფეთქება ვერ დაანგრევდა ამ კედლებს... და როცა ცხოველებს ახსენდებოდათ, რა ტიტანურად იშრომეს და რა გულის გატეხა გადაიტანეს, უკვე იმის წარმოდგენაზეც კი, თუ როგორ შეცვლიდა მათ ცხოვრებას წისქვილის დატრიალებული ფრთები და მობზრიალე დინამო, - დაღლილობა სადღაც ქრებოდა და გამარჯვების შეძახილებით სულ კუნტრუშ-კუნტრუშით უვლიდნენ წისქვილს. თვით ნაპოლეონმაც ინება მობრძანება, ძაღლებისა და მამლის თანხლებით, დამთავრებული წისქვილის შესამოწმებლად, პირადად მოულოცა ცხოველებს ეს მიღწევა და გამოაცხადა, რომ ამიერიდან მას „ნაპოლეონის წისქვილი“ დაერქმეოდა.

ორი დღის შემდეგ ცხოველები საგანგებო მიტინგზე შეკრიბეს. ყველას ენა ჩაუვარდა იმის გაგონებაზე, რომ ნაპოლეონმა შეშა მიჰყიდა ფრედერიკს, რომელიც მეორე დღეს ოთხთვალებით მოვიდოდა მის წასაღებად. პილკინგტონთან მოჩვენებითი მეგობრობის მთელ პერიოდში ნაპოლეონი საიდუმლო შეთანხმებაში ყოფილა ფრედერიკთან.

ფოქსვუდთან ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა, მის მფლობელ პილკინგტონს კი შეურაცხმყოფელი ბარათები გაეგზავნა. მტრედებს ებრძანათ, მორიდებოდნენ პინჩფილდს და ლოზუნგი „სიკვდილი ფრედერიკს!“ შეეცვალათ ლოზუნგით „სიკვდილი პილკინგტონს!“ იმავდროულად, ნაპოლეონმა ცხოველები დაარწმუნა, რომ „ცხოველების ფერმაზე“ მოსალოდნე-

ლი იერიშის ამბები მთლიანად მოგონილი იყო, ხოლო ფრედერიკის სისასტიკე თავისი ცხოველების მიმართ - დიდად გაზვიადებული. ეს ჭორები, უეჭველია, სნოუბოლისა და მისი აგენტურის დაყრილი გახლდათ. ცხადია, სნოუბოლი სულაც არ იმალებოდა პინჩფილდის ფერმაში და, ფაქტობრივად, არც არასოდეს ყოფილა იქ. მოღალატე სწორედ ფოქსვუდში და, თანაც, გვარიან ფუფუნებაში ცხოვრობდა და წლების მანძილზე პილკინგტონის მეურვეობაში იმყოფებოდა.

ღორები ექსტაზში ჩააგდო ნაპოლეონის ეშმაკურმა ტაქტიკამ. პილკინგტონთან მოჩვენებითი მეგობრობის თამაშით მან თორმეტი ფუნტით ააწევინა ფრედერიკს შეშის საფასური. მაგრამ ნაპოლეონის ყველაზე ბრძნული თვისება, სქვილერის თქმით, იყო უნდობლობა ყველასა და ყველაფრის, თვით ფრედერიკის მიმართაც კი. ფრედერიკს ფულის გადახდა რაღაც „ჩეკის“ მეშვეობით უნდოდა, რომელიც წარმოადგენდა უბრალო ქაღალდს ზედ დაწერილი გადახდის დაპირებით. მაგრამ ნაპოლეონი მეტისმეტად ჭკვიანი იყო საიმისოდ, რომ ფარატინა ქაღალდი ეკმარა და ამიტომ მოითხოვა, შეშის გაყიდვამდე ჩაეთვალათ მისთვის ნაღდი ხუთგირვანქიანი ბანკნოტები. ფრედერიკმაც ჩაუთვალა და ეს თანხა ზუსტად იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც წისქვილის დანადგარების შეძენას დასჭირდებოდა.

ამასობაში, სწრაფად დაიწყეს შეშის მეზობელ ფერმაში გადაზიდვა. როგორც კი ეს პროცესი დამთავრდა, ფარდულში მორიგი საგანგებო შეკრება მოეწყო, რომლის ძირითადი მიზანი იყო ფრედერიკის ბანკნოტების შემოწმება. ნეტარად მოღიმარი, ორივე სამკერდე ნიშნით მკერდდამშვენებული ნაპოლეონი ფარდულის შემაღლებაზე გაშლილ ნამჯაზე წამოწოლილიყო და გვერდით თავისი რეზიდენციის სამზარეულოდან გამოტანილ ჩინურ თეფშზე გირვანქები სვეტად დაეწყო. ცხოველები ნელა ჩაუვლიდნენ გვერდზე და მზერას ავლებდნენ თეფშს. ბოქსერმა

ცხვირიც კი მიაბრუნა და ბანკნოტები დაყნოსა, რამაც ეს თხელი ქაღალდები შეარხია და უცნაურად ააშრიალა.

სამი დღის შემდეგ დიდი აურზაური ატყდა. ვიმპერი სიკვდილივით გაფითრებული სახით მოქანდა ფერმაში, ველოსიპედი იქვე მიაგდო და ნაპოლეონთან შევარდა. მეორე წუთში ხელმძღვანელის აპარტამენტებიდან განრისხებული ყვირილი გაისმა. მომხდარი ამბავი ხანძარივით მოედო ფერმას: ბანკნოტები ყალბი აღმოჩნდა! ფრედერიკს შეშაში ფაქტობრივად არაფერი გადაუხდია!

ნაპოლეონმა ცხოველები შეკრიბა და ფრედერიკს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. თუ დაიჭერდნენ, მისი თქმით, ცოცხლად უნდა მოეხარშათ. თან ყველა გააფრთხილა, რომ ამ მუხანათური ქმედების შემდეგ ყველაზე უარესი რამ იყო მოსალოდნელი: ფრედერიკსა და მის ხალხს ყოველ წამს შეეძლოთ იერიშზე გადმოსვლა, „ცხოველების ფერმის“ ყველა მინდორზე გუშაგი დააყენეს, ოთხი მტრედი კი ფოქსვუდში გაიგზავნა შემრიგებლური ბარათით, რითაც პილკინგტონთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას იმედოვნებდნენ.

შეტევა მეორე დილასვე დაიწყო. ცხოველები შუა საუზმეში იყვნენ, როდესაც მზვერავებმა სირბილით მოიტანეს ამბავი, რომ ფრედერიკმა და მისმა ამფსონებმა ჭიშკარი გადმოლახეს. ცხოველები საკმაოდ გაბედულად შეებნენ მომხდურს, მაგრამ ამჯერად ისე იოლად არ გაუმარჯვიათ. თოფებით შეიარაღებულმა თხუთმეტმა კაცმა ორმოცდაათი იარდის მანძილზე მოახლოებისთანავე სროლა ატეხა. ცხოველები წინ ვერ აღუდგნენ საშინელ გრიალსა და მხვრეტავ ბურთულებს. მართალია, ნაპოლეონი და ბოქსერი შეეცადნენ, რომ რაზმი არ დაფანტულიყო, ცხოველებმა მალე დაიხიეს უკან. ბევრი მათგანი დაიჭრა. ბოლოს ფერმის შენობებში დაიმალნენ და ფრთხილად დაიწყეს ხვრელ-ჭუჭრუტანებიდან ყურება. დიდი საძოვარი და წისქვილი

მთლიანად მტრის ხელში იყო. რაღაც მომენტში თვით ნაპოლეონიც დაიბნა. უსიტყვოდ მიდი-მოდიოდა და გამაგრებულ კუდს აქეთ-იქით იქნევდა. ფოქსვუდის მიმართულებით ნაღვლიანად იმზირებოდნენ. პილკინგტონსა და მისიანებს რომ ეშველათ, ბრძოლა ჯერ კიდევ შეიძლება მოგებულიყო. სწორედ ამ დროს დაბრუნდა წინადღეს გაშვებული ოთხი მტრედი, რომელთაგან ერთ-ერთს პილკინგტონისგან გამოტანებული ფურცელი ეჭირა წარწერით: „ეგრე მოგიხდება“.

ამ დროს ფრედერიკი და მისიანები უკვე წისქვილთან მოსულიყვნენ. ცხ ოველები უთვალთვალებდნენ და შემკრთალნი ჩურჩულებდნენ. ერთ კაცს ხელში ძალაყინი ეჭირა, მეორეს - მჭედლის ურო. წისქვილის დანგრევას აპირებდნენ.

- შეუძლებელია! - შესძახა ნაპოლეონმა, - ამსისქე კედლებს ვერაფერს უზამენ, ერთი კვირა რომ ურტყან, მაინც ვერ ჩამოაქცევენ. მხნედ, ამხანაგებო!

მაგრამ ბენჯამინი ყურადღებით ადევნებდა თვალს კაცების მოძრაობას: ისინი წისქვილის საძირკველთან ხვრელს თხრიდნენ. ბენჯამინმა ნელა და თითქმის მხიარულად დაიქნია დრუნჩი.

- ასეც ვფიქრობდი, - წარმოთქვა მან, - ვერ ხედავთ, რას აკეთებენ? მალე იმ ნახვრეტში დენთს ჩადებენ.

ცხოველები თავზარდაცემულნი იცდიდნენ. შეუძლებელი იყო ახლა გარისკვა და საფარ-შენობებიდან გამოსვლა. რამდენიმე წუთის შემდეგ წისქვილთან შეკრებილი ადამიანები ყოველ მხარეს გაიქც-გამოიქცნენ. ამას მოჰყვა გამაყრუებელი ზათქი. მტრედები ჰაერში აიჭრნენ. ყველა ცხოველი, ნაპოლეონის გარდა, ძირს გაიშხლართა და სახე მიწაში ჩამალა. როდესაც ისევ წამოდგნენ, წისქვილის ადგილზე შავი კვამლის ვეება ღრუბელი ირწეოდა. ნიავმა ჯანღი ნელა გაფანტა... წისქვილი აღარ არსებობდა!

ამ სანახაობამ ცხოველებს სიმხნევე დაუბრუნა. შიში და სასოწარკვეთა, ერთი წუთით რომ მოიცვა ისინი, მთლიანად ჩალღვა ამ საზიზღარი და უბოროტესი ქმედებით აგორებულ რისხვაში, ჰაერი შურისძიების მძლეთამძლე შეძახილმა გაკვეთა და ყალყზე შემდგარი ცხოველები ყოველგვარი დამატებითი ბრძანების გარეშე ეკვეთნენ მტერს. ამჯერად არ დაგიდევდნენ თვით შეუბრალებელ ტყვიებსაც კი, სეტყვასავით რომ ეყრებოდათ თავზე. ეს იყო ველური და გამწარებული შერკინება. ადამიანები ისროდნენ და ისროდნენ და, როცა ცხოველები ზედ მიადგნენ, ჯოხები და ჩექმები აამუშავეს. ძროხა, სამი ცხვარი და ორი ბატი დაიღუპა, დაჭრით კი თითქმის ყველა დაიჭრა. ზურგში მდგარი და ბრძანებების გამცემი ნაპოლეონისთვისაც კი ტყვიას კუდის წვერი წაეწყვიტა. მაგრამ არც ადამიანები დარჩენილან უვნებლად. ბოქსერის წიხლებით სამ მათგანს თავები დახეთქოდა, ერთისთვის ძროხის რქას მუცელი გამოეფატრა, მეორისთვის კი ბლუბელს და ჯესის თითქმის მთლიანად შემოეფლითათ შარვალი. ხოლო როდესაც ნაპოლეონის პირად დაცვაში მყოფმა ცხრა ძაღლმა ზურგიდან მოუარა და მძვინვარე ყეფით დააცხრა თავს, ადამიანები პანიკამ მოიცვა. ცხადი იყო, რომ მალე ალყაში მოექცეოდნენ. ფრედერიკმა თავის ხალხს დაუყვირა: სანამ გვიან არ არის, თავს უშველეთო. ერთი წუთის შემდეგ მტერი ლაჩრულად უკუიქცა. ცხოველებმა მინდვრის ბოლომდე მისდიეს და ბოლო წიხლები ცოცხალი მესრის იმ განარღვევში მიაყოლეს, სადაც გაქცეულები ფაცხაფუცხით ეტენებოდნენ გარეთ გასასვლელად.

ცხოველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ არაქათგამოცლილნი იყვნენ და ჭრილობებიდან სისხლი სდიოდათ. ნელა, კოჭლობით ბრუნდებოდნენ ფერმაში. ბალახში გაშხლართული მკვდარი ამხანაგების დანახვაზე ზოგ მათგანს ცრემლი მოერია, მცირე ხნით იმ ადგილთანაც შეჩერდნენ, სადაც უწინ წისქვილი იდგა.

დიახ, ის აღარ არსებობდა! მათი შრომის ნაყოფი თითქმის მთლიანად წაშლილიყო! ალაგ-ალაგ თვით საძირკველიც კი დანგრეულიყო. მესამედ აშენებაში, მეორისგან განსხვავებით, იმავე ქვებს ვეღარ გამოიყენებდნენ.

ამჯერად თვით ქვებიც გამქრალიყო: აფეთქების ძალას ასობით იარდზე გაეტყორცნა. თითქოს აქ არასოდეს არავითარი წისქვილი არ მდგარა.

როგორც კი ფერმას მიუახლოვდნენ, კუდის ქიცინითა და კმაყოფილი იერით სკუპ-სკუპით გამოეგებათ მთელი ბრძოლის განმავლობაში რაღაც აუხსნელი მიზეზით გაუჩინარებული სქვილერი. ამავე დროს, ფერმის შენობების მხრიდან გაისმა თოფის საზეიმო გასროლის ხმაც.

- თოფს რატომ ისვრიან? - იკითხა ბოქსერმა.

- ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად! - შესძახა სქვილერმა.

- რომელი გამარჯვების? - იკითხა კვლავ ბოქსერმა, რომელსაც მუხლებიდან სისხლი სდიოდა, ცალი ნალი დაჰკარგოდა, ჩლიქი გაპობოდა, უკანა ფეხში კი თორმეტი ტყვია ჰქონდა ჩამჯდარი.

- რომელი გამარჯვების, ამხანაგო? განა სულ რამდენიმე წუთის წინ არ გავაგდეთ მტერი ჩვენი მიწიდან, „ცხოველების ფერმის“ წმინდა მიწიდან?

- მაგრამ მათ წისქვილი დაგვინგრიეს, რომლისთვისაც ორი წელიწადი ვიშრომეთ!

- მერე რა? სხვა წისქვილს ავაშენებთ. ექვს წისქვილს ავაშენებთ, თუ მოვინდომებთ. შენ არ აფასებ, ამხანაგო, რამხელა საქმე გავაკეთეთ. მტერს უკვე დაკავებული ჰქონდა ეს ტერიტორია, რომელზეც ჩვენ ამწუთას ვდგავართ. ახლა კი, ამხანაგი ნაპოლეონის ხელმძღვანელობით, ამ მიწის ყოველი გოჯი უკანვე დავიბრუნეთ!

- მაშ, ის დაგვიბრუნებია, რაც მანამდე გვქონდა, - თქვა ბოქსერმა.

- სწორედ ესაა ჩვენი გამარჯვება, - მიუგო სქვილერმა.

კოჭლობ-კოჭლობით ცხოველები ეზოში შევიდნენ. კანქვეშ ჩარჩენილი საფანტი ბოქსერს ტკივილისგან ტანჯავდა. უცებ წარმოიდგინა ის გარჯა, წისქვილის მთლად საძირკვლიდან ასაშენებლად რომ იყო საჭირო, და გონებაში უკვე გაიმხნევა თავი ამ სამუშაოსთვის. მაგრამ იმავე დროს გაახსენდა პირველად, რომ უკვე თერთმეტი წლის იყო და ძალუმი კუნთები უწინდებურად აღარ ერჩოდა.

მაგრამ როდესაც ცხოველებმა ლაღად მოფრიალე მწვანე დროშა დაინახეს, თოფის საზეიმო გასროლა გაიგონეს- თოფმა კი შვიდგზის დაიქუხა - და სიტყვით გამოსულ ნაპოლეონსაც მოუსმინეს, რომელმაც ქებით აღნიშნა ცხოველთა გმირული მოქმედება, ყოველივე თავს გადახდენილის შემდეგ მათ მართლა დაიჯერეს თავიანთი დიდი გამარჯვება. ბრძოლაში დაღუპული ცხოველები საზეიმო ცერემონიით დაკრძალეს. ბოქსერს და ქლოვერს მიჰყავდათ კატაფალკის დანიშნულების შემსრულებელი ოთხთვალა, მთელი პროცესიის თავში კი თვით ნაპოლეონი მიაბიჯებდა. დღესასწაული ორ დღეს გაგრძელდა. ისმოდა სიმღერები, მიმართვები, თოფის ტრიუმფალური სროლა. საგანგებო საჩუქრის სახით ცხოველებს თითო-თითო ვაშლი დაურიგდათ, ფრინველებს - ორ-ორი უნცია ხორბალი, ძაღლებს კი სამ--სამი ორცხობილა. გადაწყდა, რომ გადახდილ ბრძოლას „წისქვილის ბრძოლა“ დარქმეოდა. მასთან დაკავშირებით ნაპოლეონმა შექმნა ახალი „მწვანე დროშის ორდენი“ და მაშინვე მიანიჭა თავის თავს. საერთო მხიარულებაში ბანკნოტების უიღბლო ინციდენტი აღარავის გახსენებია.

ამ მომენტიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ ფერმის შენობის სარდაფში ღორები ვისკით სავსე ყუთს წააწყდნენ. ამ

ყუთს ჯერ კიდევ მაშინ მოჰკრეს თვალი, როცა პირველად შესახლდნენ განდევნილი ადამიანის სახლში. იმ ღამეს ფერმის შენობიდან გამოდიოდა ხმამაღალი სიმღერის ხმები, რომლებშიც, ყველას გასაკვირად, „მხეცნო ინგლისის“ ჰანგებიც გაისმოდა. საღამოს ათის ნახევარზე ვიღაცამ თავისი თვალით დაინახა ფერმის უკანა კარიდან გამოსული ნაპოლეონი, რომელსაც მისტერ ჯოუნზის ქუდი ეხურა და რომელიც, ეზოს გარშემო სწრაფად შემორბენის შემდეგ, კვლავ სახლში შევიდა. დილით ფერმის შენობა ღრმა დუმილს მოეცვა, არსად ღორის ჭაჭანება არ იყო.

მხოლოდ ცხრა საათზეღა გამოჩნდა სქვილერი. ნელა და მწუხარედ მოძრაობდა, თვალები ამღვრეოდა, კუდი უმოძრაოდ ჩამოჰკიდებოდა, მოკლედ, ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს მძიმე სნეულება შეჰყრიაო. სქვილერმა ცხოველები შეკრიბა და უთხრა, რომ მათთვის საშინელი ამბავი უნდა ეუწყებინა: ამხანაგი ნაპოლეონი კვდებოდა!

ცხოველებს გოდების ხმა აღმოხდათ. ფერმის შენობის კართან ნამჯა დააფინეს, რომელზეც ფეხაკრეფით დადიოდნენ და თვალცრემლიანნი ეკითხებოდნენ ერთმანეთს, რა ეშველებოდათ, ხელმძღვანელი რომ ხელიდან გამოსცლოდათ. ხმა დაირხა, რომ ახლო წარსულში მომხდარი ამბების შემდეგ სნოუბოლმა მზაკვრულად მოახერხა ნაპოლეონის მოწამვლა. თერთმეტ საათზე სახლიდან გამოსულმა სქვილერმა ცხოველებს განუცხადა, რომ ამხანაგმა ნაპოლეონმა უკანასკნელი ამქვეყნიური მოქმედების სახით გამოსცა საზეიმო დეკრეტი: ალკოჰოლის მიღება სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

თუმცა საღამო ხანს ნაპოლეონი ოდნავ გამოკეთდა, მომდევნო დილას კი სქვილერმა ყველას აუწყა, ხელმძღვანელი გამოჯანმრთელების გზაზეაო. იმავე საღამოს ნაპოლეონი უკვე სამუშაო ფორმაში იყო, მომდევნო დღეს კი შეიტყვეს, რომ მას ვიმპერისთვის ეთხოვა, უილინგდონში შეეძინა წიგნები, რომლებშიც

ლუდისა და არყის გამოხდა იყო აღწერილი. კიდევ ერთი კვირის შემდეგ ნაპოლეონმა გასცა განკარგულება, მოეხნათ ხეხილის ბაღის გადაღმა მდებარე, საპენსიო ასაკის ცხოველებისთვის განკუთვნილი პატარა მდელო. ჯერ ითქვა, რომ ეს უნდა გაკეთებულიყო ამ საძოვრის გამოფიტვისა და ხელახალი ათვისების მიზნით. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ნაპოლეონს იქ ქერის დათესვა განეზრახა.

დაახლოებით იმავე დროს მოხდა უცნაური ამბავი, რომლის გაგება, ალბათ, ცხოველების გონებას აღემატებოდა. ერთ შუაღამეს ეზოში ისეთი გრიალი გაისმა, რომ ცხოველები სადგომებიდან გამოცვივდნენ. მიდამოს მთვარე დაჰნათოდა. დიდი ფარდულის უკანა კედელთან, რომელზეც შვიდი მცნება ეწერა, ეგდო ორად გადატეხილი კიბე. იქვე ჯერ ისევ დარეტიანებული სქვილერი გაშხლართულიყო, მის გვერდით კი ლამპა, ფუნჯი და გადაყირავებული საღებავის ქილა ეყარა. ძაღლებმა მაშინვე წრე შემოარტყეს სქვილერს და, როგორც კი ღორს სიარულის უნარი დაუბრუნდა, ფერმის შენობამდე მიაცილეს. ვერც ერთმა ცხოველმა ვერ გამოიცნო, რას ნიშნავდა ეს ინციდენტი. მხოლოდ ბებერმა ბენჯამინმა დაიქნია დრუნჩი მცოდნე იერით, - თითქოს ყველაფერს მიხვდა, თუმცა თქმით არაფერი უთქვამს.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მურიელმა, კიდევ ერთხელ რომ კითხულობდა თავისთვის კედელზე წარწერილ შვიდ მცნებას, შეამჩნია, რომ ცხოველებს არასწორად ხსომებიათ კიდევ ერთი მათგანი. აქამდე ეგონათ, რომ მეხუთე მცნების თანახმად „არც ერთი ცხოველი არ დალევს ალკოჰოლს“, სინამდვილეში კი ყველას დავიწყებოდა ბოლო ორი სიტყვა: „დიდი რაოდენობით“.

თავი IX

ბოქსერის გახლეჩილი ჩლიქი დიდხანს ხორცდებოდა. წისქვილის აღდგენა ცხოველებმა გამარჯვების ზეიმის დამთავრების მეორე დღესვე დაიწყეს. ბოქსერმა ერთი დღით დასვენებაზეც კი უარი თქვა და თავპატივად ცნო, არავისთან დაეძრა სიტყვა თავის სატკივარზე, თუმცა საღამოს ქლოვერს გაანდო, ჩლიქი სასტიკად მაწუხებსო. ქლოვერმა სამკურნალო ბალახების ცხელი საფენები დაადო, რომლებსაც ღეჭვით ალბობდა, შემდეგ კი ბენჯამინთან ერთად შეეცადა დაერწმუნებინა ბოქსერი, რომ ნაკლები დატვირთვით ემუშავა. „ცხენის ფილტვების გამძლეობასაც საზღვარი აქვს“, ეუბნებოდა ქლოვერი, მაგრამ ბოქსერი ყურს არ უგდებდა. მისი თქმით, ერთადერთი მიზანიღა დარჩა ცხოვრებაში - დამთავრებული წისქვილის ნახვა მანამდე, სანამ საპენსიო ასაკი მოუწევდა.

თავდაპირველად, „ცხოველების ფერმის“ წეს-კანონთა ფორმულირებისას, საპენსიო ასაკი ცხენებისა და ღორებისთვის იყო თორმეტი წელი, ძროხებისთვის - თოთხმეტი, ძაღლებისთვის - ცხრა, ცხვრებისთვის - შვიდი, ქათმებისა და ბატებისთვის - ხუთი. შესაბამისად დაენიშნათ კარგი პენსიებიც. ჯერჯერობით არც ერთი ცხოველი არ იყო პენსიაში გასული, მაგრამ ამ საკითხს უფრო და უფრო ხშირად უბრუნდებოდნენ. ახლა, როდესაც ხეხილის ბაღის გადაღმა მდებარე პატარა მდელო ქერის დასათესად გამოიყენეს, გავრცელდა ხმა, რომ აპირებდნენ დიდი საძოვრის ერთი კუთხის გამოყოფას ხანდაზმულ ცხოველთათვის. ცხენის პენსია, როგორც ამბობდნენ, იყო ხუთი გირვანქა ხორბალი დღეში, ზამთარში კი - დღიურად თხუთმეტი გირვანქა თივა, საზოგადოებრივ დღესასწაულებზე სტაფილოს ან ვაშლის დამა-

ტებით. მომდევნო წლის ზაფხულის მიწურულს ბოქსერს თორმეტი წელი უსრულდებოდა.

ამასობაში, ცხოვრება მძიმედ მიიზლაზნებოდა. ზამთარი ისეთივე სუსხიანი იყო, როგორიც შარშან, საკვები - რამდენადმე ნაკლებიც. ღორების და ძაღლების გარდა, ყველას კიდევ ერთხელ შეუმცირდა დღიური ულუფა. ულუფების სრული თანასწორობა, სქვილერის განმარტებით, დაუპირისპირდებოდა ანიმალიზმის პრინციპებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მას არ უჭირდა ცხოველებისთვის იმის დამტკიცება, რომ არც ერთს არ ჰქონდა საკმარისზე ნაკლები ნუზლი. ამ დღეებში, რასაკვირველია, საჭიროდ მიიჩნიეს ულუფების რაოდენობის ხელახალი დაზუსტება (სქვილერი ამ პროცესს ყოველთვის „დაზუსტებად“ ნათლავდა და არა „შემცირებად“), მაგრამ ჯოუნზის ხანასთან შედარებით ეს დიდი წინსვლა იყო. სქვილერი გამჭოლი ხმით და სხაპასხუპით ასახელებდა ციფრებს და ცხოველებს დეტალურად უმტკიცებდა, რომ დღესდღეობით უფრო მეტი შვრია, მეტი თივა, მეტი თალგამი ჰქონდათ, ვიდრე ჯოუნზის პერიოდში; რომ სამუშაო საათები ახლა ნაკლები იყო, სასმელი წყალი - უფრო სუფთა, სიცოცხლის ხანგრძლივობა - მეტი; რომ დღეს იმდენი პირმშო აღარ ეღუპებოდათ, რამდენიც უწინ, თავლებშიც მეტი ნამჯა ეფინა და რწყილიც უწინდებურად აღარ აწუხებდათ. ცხოველებს მისი ყოველი სიტყვის სჯეროდათ. სიმართლე რომ ითქვას, ჯოუნზიც და მთელი იმდროინდელი ამბებიც თითქმის მთლიანად ამოშლოდათ ხსოვნიდან. მათ იცოდნენ, რომ დღეს მკაცრი და შიშველი ცხოვრება ჰქონდათ; რომ ხშირად შიოდათ და სციოდათ; რომ თითქმის ყოველთვის მუშაობდნენ, როცა არ ეძინათ... მაგრამ, ეჭვი არაა, წარსულში უარესი იქნებოდა. მათ ეს რწმენა სიამოვნებდათ. გარდა ამისა, მაშინ მონები იყვნენ, ახლა კი - თავისუფალნი! ამ უდიდესი განსხვავების აღნიშვნა სქვილერს არასოდეს ავიწყდებოდა.

ამჯერად გაცილებით მეტი ცხოველი იყო სარჩენი. ოთხმა ღორმა თითქმის ერთდროულად დაყარა გოჭები, სულ ოცდათერთმეტი სული, ყველა - ჭრელი. და რადგან ფერმაში, ნაპოლეონის გარდა, არავინ იყო ველური წარმოშობის, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა გოჭების მამის ვინაობის დადგენა. გამოცხადდა, რომ მოგვიანებით, როცა აგურსა და ფიცარს შეიძენდნენ, ფერმის ეზოში სკოლა აშენდებოდა, ჯერჯერობით კი ნაპოლეონი თვითონ ანათლებდა გოჭებს თავის სამზარეულოში. ისინი ბაღში ვარჯიშობდნენ და ეკრძალებოდათ სხვა ცხოველებთან თამაში. დაახლოებით ამავე დროს კანონის ძალა მიიღო იმანაც, რომ თუ რომელიმე ცხოველი ბილიკზე მომავალ ღორს შეხვდებოდა, გზა უნდა დაეთმო. ასევე, ნებისმიერი წოდების ღორს უფლება ჰქონდა, კვირაობით კუდში ჩაწნული ბაფთა ეტარებინა.

ფერმას საოცრად ნაყოფიერი წელი დაუდგა, თუმცა ჯერ კიდევ იგრძნობოდა ფულადი სახსრების უკმარისობა. მომავალი სასკოლო ოთახისთვის საჭირო იყო აგურის, ქვიშისა და კირქვის შეძენა, შემდეგ კი კვლავ უნდა დაეგროვებინათ ფული საწისქვილე მექანიზმებისთვის. ამას მოჰყვებოდა საჭრაქე ზეთი და სანთლები, შაქარი ნაპოლეონისთვის (სხვა ღორებს მან შაქარი აუკრძალა, რომ არ გასუქებულიყვნენ), სხვადასხვა სამუშაო იარაღი, ლურსმანი, ბაწარი, ნახშირი, მავთული, რკინის ნაჭრები და ძაღლის ორცხობილა. გაყიდეს დარჩენილი თივა და კარტოფილის მოსავლის ნაწილი, კონტრაქტით გათვალისწინებული კვერცხის რაოდენობა კი ექვსასამდე გაზარდეს. ასე რომ, იმ წელს ქათმებმა მხოლოდ იმდენი წიწილა გამოჩეკეს, რამდენითაც თავის უწინდელ რაოდენობას შეინარჩუნებდნენ. დეკემბერში შემცირებული ულუფები კიდევ ერთხელ შემცირდა თებერვალში, ხოლო ზეთის დაზოგვის მიზნით აიკრძალა ღამით ცხოველთა სადგომებში ჭრაქის ანთება. მაგრამ ღორები თავს საკმაოდ კარგად გრძნობდნენ და ფერ-ხორციც ემატებოდათ.

თებერვლის ერთ საღამოს ეზოში ისეთი თბილი, მდიდრული და მადის აღმძვრელი სუნი დატრიალდა, როგორიც ცხოველებს არასოდეს უგრძნიათ. სუნი სამზარეულოს გადაღმა მდგარი, ჯერ კიდევ ჯოუნზის დროს გაუქმებული პატარა ლუდსახდელიდან მოდიოდა. ვიღაცამ თქვა, ეს ქერის ნახარშის სუნიაო. ცხოველებმა ხარბად დაყნოსეს ჰაერი და გაოცებულებმა გაიფიქრეს, ვახშმად თბილ ბადაგს ხომ არ გვიდუღებენო. არავითარი ბადაგი მათთვის არ მიურთმევიათ. მომდევნო კვირას გამოცხადდა, რომ ამიერიდან ქერი მთლიანად ღორებს მოხმარდებოდათ. ხეხილის ბაღის გადაღმა მდელოზეც უკვე ქერი ეთესა. მალე ახალმა ამბავმაც არ დააყოვნა: თითოეული ღორი ყოველდღიურად მიიღებდა ნახევარ ლიტრ ლუდს, ნაპოლეონი კი ორს. თანაც ეს უკანასკნელი მას „ქრაუნ დერბის“ სერვიზით მიირთმევდა.

მაგრამ ყოველდღიურ დანაკლისს ანაზღაურებდა ის ფაქტი, რომ ცხოველთა ღირსება უწინდელზე შეუდარებლად მეტად იყო დაცული. ახლა უფრო მეტი სიმღერა, მეტი საჯარო საუბრები, მეტი პროცესები ჰქონდათ. ნაპოლეონმა ბრძანა, რომ კვირაში ერთხელ გამართულიყო ეგრეთ წოდებული „სტიქიური დემონსტრაცია“, რომლის მიზანი იყო „ცხოველების ფერმის“ ბრძოლებისა და გამარჯვებების აღნიშვნა. დანიშნულ დროს ცხოველებს უნდა მიეტოვებინათ თავ-თავიანთი საქმე და სამხედრო ნაბიჯით მოევლოთ ფერმის შენობების მიმდებარე ტერიტორია. თავში მოდიოდნენ ღორები, მათ უკან ცხენები, შემდეგ ძროხები, ცხვრები, კუდში - ფრინველები. ძაღლები ფლანგებზე მოჰყვებოდნენ, ყველაზე წინ კი ნაპოლეონის შავი მამალი მოაბიჯებდა. ბოქსერს და ქლოვერს მოჰქონდათ მწვანე დროშა რქისა და ჩლიქის გამოსახულებით და წარწერით „დიდხანს სიცოცხლე ამხანაგ ნაპოლეონს!“ ამას მოსდევდა ნაპოლეონის პატივსაცემად შეთხზული ლექსების საჯარო კითხვა და სქვილერის მოხსენება საკვების ზრდის უკანასკნელი მონაცემების შესახებ, რასაც ხან-

დახან თოფის საზეიმო გასროლა ამთავრებდა. ცხვრები „სტიქიური დემონსტრაციის“ დიდი მომხრენი იყვნენ და თუკი ვინმე დაიჩივლებდა (ზოგი ცხოველი მაინც წუწუნებდა ხოლმე ღორებისა და ძაღლების იქ არყოფნის დროს), რომ დროს ფლანგავდნენ, რაშიც გულისხმობდნენ გულის გამაწვრილებელ ყურყუტს სიცივეში, - ცხვრები ადვილად ახშობდნენ მათ ხმას მძლავრად დაქუხებული სიმღერით „ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - ცუდი“. მაგრამ, მთლიანობაში, ცხოველებს დღესასწაული ახარებდათ, რადგან ძალიან სიამოვნებდათ იმის შეხსენება, რომ ყოველივეს შემდეგ კვლავ საკუთარი თავის ბატონ-პატრონები იყვნენ და რასაც აკეთებდნენ, ყველაფერი მათვე ხმარდებოდათ. ასე რომ, სიმღერები, საზეიმო მსვლელობები, სქვილერის ციფრებით აჭრელებული სიები, თოფის ტრიუმფული გასროლები, მამლის ყივილი და დროშის ფრიალი მათ ცოტა ხნით მაინც ავიწყებდათ თავიანთ ცარიელ მუცლებს.

აპრილში „ცხოველების ფერმა“ რესპუბლიკად გამოცხადდა. აუცილებელი გახდა პრეზიდენტის არჩევა. ყველამ ერთსულოვნად აირჩია პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი, ნაპოლეონი. იმავე დღეს ცნობილი გახდა ახალი დოკუმენტების პოვნის ამბავი, დოკუმენტებისა, რომლებშიც იკითხებოდა სნოუბოლისა და ჯოუნზის ოდინდელი თანამზრახველობის ახალი დეტალები. ამჯერად ნათელი გახდა, რომ სნოუბოლი არა მხოლოდ სტრატეგიულად შეეცადა „გომურის ბრძოლის“ წაგებას, არამედ აშკარად ჯოუნზის მხარეზე იბრძოდა. სინამდვილეში, სწორედ სნოუბოლი იყო ადამიანურ ძალთა ლიდერი და ბრძოლაშიც პირდაპირ ამ სიტყვებით ჩაება: „დიდხანს სიცოცხლე კაცობრიობას!“ სნოუბოლის ზურგზე გავლებული სისხლიანი კვალი კი ნაპოლეონის ნამოქმედარი გახლდათ.

შუა ზაფხულში, რამდენიმეწლიანი გაუჩინარების შემდეგ, ფერმაში მოულოდნელად გამოჩნდა ყორანი მოსე. სრულებით

არ შეცვლილიყო, ისევ არაფერს აკეთებდა, ჯირკზე ჩამოჯდებოდა, შავ ფრთებს ააფართქუნებდა და უწინდებურად განაგრძობდა შაქარყინულის მთაზე ლაპარაკს. „იქ, ზევით, ამხანაგებო, - ამბობდა საზეიმო ტონით და დიდ ნისკარტს ზემოთ იშვერდა, - აი, იმ შავი ღრუბლის უკან, აღმართულია შაქარყინულის მთა, ანუ ის ბედნიერი ქვეყანა, სადაც ჩვენ, საბრალო ცხოველებმა, სამარადისოდ უნდა დავისვენოთ ამქვეყნიური უღლისგან!“ მოსე იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი გაფრენის დროს მან მიაღწია იქამდე და საკუთარი თვალით იხილა სამყურას უჭკნობი ველები, პირდაპირ ცოცხალ ღობეებზე დაკიდებული სელის თესლის ნამცხვარი და ნატეხი შაქარი. ბევრ ცხოველს სჯეროდა მისი. დღეს მათი ცხოვრება მართლაც დამშეული და ოფლში გაღვრილი იყო. განა სწორი და სამართლიანი არ იქნებოდა, რომ სადღაც უკეთეს ქვეყანას ეარსება? აი, ღორების დამოკიდებულება მოსესთან კი, ცოტა არ იყოს, ძნელი განსასაზღვრი გახლდათ. ისინი ზიზღით აცხადებდნენ, შაქარყინულის მთის ამბავი მტკნარი სიცრუეაო, მაგრამ ყორანს მაინც ტოვებდნენ ფერმაში, თუნდაც უშრომლად, და ყოველდღე ცოტაოდენ ლუდსაც ასმევდნენ.

ჩლიქის შეხორცების შემდეგ ბოქსერი უწინდელზე მეტი დატვირთვით ამუშავდა. იმ წელს ცხოველებმა მართლა მონებივით იშრომეს. ფერმის ყოველწლიური სამუშაოებისა და წისქვილის თავიდან შენებასთან ერთად, მარტში გოჭებისათვის განკუთვნილი სკოლის მშენებლობაც დაიწყო. ზოგჯერ მეტისმეტად ჭირდა ნახევრად ცარიელი მუცლებით მუშაობა, მაგრამ ბოქსერი არასოდეს წაბორძიკებულა. იმის მიხედვით, რასაც ამბობდა ან აკეთებდა, ვერასდიდებით ვერ გამოიცნობდით - იყო თუ არა უწინდებურად ძალუმი. მხოლოდ იერი შესცვლოდა ოდნავ: ბეწვი მთლად ისე აღარ უბზინავდა, დიდრონი ბარძაყები კი ცოტათი შეფერთხოდა. ზოგიერთი ამბობდა, საგაზაფხულო აბალახებას-

თან ერთად ბოქსერიც მოიმატებსო, მაგრამ ზაფხული მოდიოდა და ბოქსერი ისეთივე რჩებოდა. ზოგჯერ, ქვის სამტეხლოს ზედა წერტილისკენ მიმავალ ფერდზე, როცა ბოქსერი მთელი ძალისხმევით ძაგრავდა კუნთებს რომელიმე დიდი ქვის შესაკავებლად, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ საქმის ბოლომდე მიყვანის ნებაღა აჩერებდა ფეხზე. ასეთ მომენტებში მისი ტუჩები თითქოს ცმაცუნებდნენ: „უკეთესად ვიმუშავებ!“ მაგრამ ხმა აღარ ისმოდა. ქლოვერმა და ბენჯამინმა კიდევ ერთხელ ურჩიეს, თავს გაუფრთხილდიო, მაგრამ ბოქსერმა ყური არც ახლა ათხოვა. მალე თორმეტი წელი შეუსრულდებოდა, მას კი მხოლოდ ის აინტერესებდა, რომ პენსიაში გასვლამდე ქვის დიდი მარაგი დაეგროვებინა. ზაფხულის ერთ საღამოს ფერმაში თოფივით იჭექა ხმამ, რომ ბოქსერს რაღაც შეემთხვა. იმ დღეს მარტო წასულიყო საწისქვილე ქვების მოსაზიდად. მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ ორმა მტრედმა ამბავი მოიტანა, რომ „ბოქსერი ცალ ფერდზე გდია და ვერ დგება!“

ფერმის ცხოველთა თითქმის ნახევარმა იმ ბორცვს მიაშურა, სადაც წისქვილი შენდებოდა. იქ, ქვის საზიდავი ოთხთვალას ბორბლებს შუა, ბოქსერი გაწოლილიყო გაჭიმული კისრით. თავს ვეღარ სწევდა, თვალები უბრწყინავდა, ფერდები ოფლით გაჟღენთოდა, პირიდან კი სისხლის თხელი ნაკადი ჩამოსდიოდა. ქლოვერი მუხლებზე ჩაჯდა მის გვერდით.

- ბოქსერ! - ჩასძახა მან. - როგორ ხარ?

- ფილტვია... - მიუგო ბოქსერმა სუსტი ხმით, - არა უშავს. წისქვილს უჩემოდაც დაამთავრებთ. ბევრი ქვა დავაგროვე. ერთი თვეც და დავამთავრებდი. მართალი გითხრათ, ველოდებოდი პენსიაზე გასვლას. ბენჯამინიც ხომ ასაკშია შესული, იქნებ, ერთად გაგვიშვან, კომპანიონი მეყოლება.

- დახმარება გვჭირდება, სასწრაფოდ! - თქვა ბოქსერმა. - ვინმე გაიქეცით და სქვილერს შეატყობინეთ...

ცხოველებმა ფერმის შენობას მიაშურეს. ბოქსერთან მხოლოდ ქლოვერი და ბენჯამინი დარჩნენ. ეს უკანასკნელი ბოქსერთან ჩაცუცქულიყო და კუდით ბუზებს უგერიებდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ მოვიდა თანაგრძნობითა და ზრუნვით აღსავსე სქვილერი. თურმე ამხანაგ ნაპოლეონსაც დიდი მწუხარებით გაუგია მისი ერთ-ერთი უერთგულესი მუშის დაშავების ამბავი და უკვე ზომებს იღებდა ბოქსერის მოსათავსებლად უილინგდონის საავადმყოფოში. ცხოველები უსიამოვნოდ შეიშმუშნენ. მოლისა და სნოუბოლის გამოკლებით, არც ერთ ცხოველს არასოდეს დაუტოვებია ფერმის ტერიტორია და არცთუ სასიამოვნო იყო ბოქსერის წარმოდგენა ადამიანთა ხელში. მაგრამ სქვილერმა ადვილად დაარწმუნა ყველა, უილინგდონის ვეტერინარი ქირურგი უკეთ უმკურნალებს ბოქსერს, ვიდრე ფერმის ნებისმიერი ცხოველიო. ნახევარი საათის შემდეგ ბოქსერი ოდნავ მომჯობინდა და მძიმედ წამოდგა ფეხზე. ცხოველებმა კოჭლობ--კოჭლობით წაიყვანეს თავლაში, სადაც მას ქლოვერისა და ბენჯამინის მომზადებული ნამჯის მშვენიერი საწოლი ელოდა.

მომდევნო ორ დღეს ბოქსერი თავლაში იწვა. ღორებმა უხვად გაუგზავნეს სახლის სააბაზანოში ნაპოვნი ვარდისფერი წამალი, რომელსაც ქლოვერი დღეში ორჯერ აძლევდა ჭამის შემდეგ, საღამოობით კი გვერდით ეწვა და ემასლაათებოდა. ბენჯამინიც იქვე იყო და კუდით ბუზებს უქშევდა. ბოქსერმა განაცხადა, მომხდარს არ ვნანობ და თუ გამოვჯანმრთელდი, სამიოდე წელიწადს კიდევ ვიცოცხლებო. უკვე ელოდა კიდეც დიდი საძოვრის შემოღობილ კუთხეში გატარებულ მშვიდ, თავისუფალ დღეებს. ახლა პირველად ეძლეოდა სწავლისა და გონებრივი განვითარების საშუალება და, როგორც თვითონ ამბობდა, განზრახული ჰქონდა დარჩენილი სიცოცხლე ანბანის დანარჩენი ოცდაორი ასოს შესწავლისთვის დაეთმო.

თუმცა ბენჯამინს და ქლოვერს ბოქსერთან ყოფნა მხოლოდ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ შეეძლოთ. და აი, ცხოველები თალგამს მარგლავდნენ ღორის ზედამხედველობით, როცა, მათდა განსაცვიფრებლად, ფერმის შენობების მხრიდან ჭენებით მომავალი, მთელი ხმით აყროყინებული ბენჯამინი დაინახეს. პირველად ხედავდნენ ჭენებაზე გადასულს და ასე აგზნებულს.

- ჩქარა, ჩქარა! - ყვიროდა იგი. - ყველანი წამოდით! ბოქსერი მიჰყავთ!

ღორის მითითებას არც კი დალოდებიან, ცხოველებმა ყველაფერი მიატოვეს და თავლისკენ გაცვივდნენ. მართლაც, ეზოში დახურული, ორცხენიანი, ბეჭდურწარწერებიანი ფურგონი იდგა, კოფოზე კი ვიღაც ცბიერთვალება და ქუდჩამოფხატული კაცი დასკუპებულიყო. ბოქსერის თავლა ცარიელი დახვდათ.

ცხოველები ფურგონის ირგვლივ შეჯგუფდნენ და ერთხმად აყვირდნენ:- ნახვამდის, ბოქსერ, ნახვამდის!

- ბრიყვებო! სულელებო! - ყვიროდა ბენჯამინი, ცხოველების გარშემო დახტოდა და მიწას თავის პატარა ჩლიქებს ურტყამდა. - ბრიყვებო! ნუთუ ვერ ხედავთ, რა აწერია ფურგონს?!

ამის გაგონებაზე ცხოველები ჩაჩუმდნენ და გაირინდნენ. მურიელი ფურგონზე წარწერილი სიტყვების მარცვალმარცვალ კითხვას შეუდგა. მაგრამ ბენჯამინმა თხა გვერდით მიაგდო და სამარისებურ სიჩუმეში წაიკითხა:„ალფრედ სიმონდსი, ცხენების ყასაბი და წებოს მომდუღებელი, უილინგდონი. ძაღლის საკვების დილერი ჰაიდისა და ბონმილში.“ - გესმით, ეს რას ნიშნავს? ბოქსერი გამტყავებელთან მიჰყავთ!

ელდის ყვირილმა ამოხეთქა ცხოველთა ყელიდან. ამავე მომენტში კოფოზე მჯდარმა მეეტლემ ცხენებს შოლტი გადაჰკრა და ფურგონიც სწრაფად დაიძრა. მთელ ხმაზე აბღავლებული ცხოველები მას გამოეკიდნენ. წინ ქლოვერი მირბოდა. ფურგონმა

სისწრაფეს უმატა. ქლოვერმა თავისი დაბრგვილებული კიდურების ამოძრავება სცადა და მსუბუქ ნავარდზე გადავიდა.

- ბოქსერ! - ყვიროდა ის. - ბოქსერ! ბოქსერ! ბოქსერ!

სწორედ ამ მომენტში, თითქოს აღრიალებულ ცხოველთა ხმა გაიგონაო, ბოქსერის თეთრზოლიანი ცხვირი ფურგონის უკან დატანებულ პატარა ფანჯარაში გამოჩნდა.

- ბოქსერ! - ყვიროდა ქლოვერი საზარელი ხმით, - ბოქსერ, გადმოხტი! გადმოხტი ჩქარა! მოსაკლავად მიჰყავხარ, ბოქსერ!

ყველა ცხოველი ერთად უყვიროდა: „გადმოხტი, ბოქსერ, გადმოხტი!“ მაგრამ ფურგონი მათ სულ უფრო და უფრო შორდებოდა. ძნელი გასარკვევი იყო, გაიგონა თუ არა ბოქსერმა ქლოვერის სიტყვები, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მისი სახე ფანჯარას მოშორდა და ფურგონის შიგნიდან გაისმა ჩლიქების გამაყრუებელი ბათქუნი. ბოქსერი კარის გამონგრევას ცდილობდა. იყო დრო, როცა ბოქსერის ტყუპი წიხლი ნაფოტებდ აქცევდა ფურგონს. ეჰა, რომ დღეს ძალა აღარ ერჩოდა! რამდენიმე წუთის შემდეგ ჩლიქების ხმა შესუსტდა და მიწყდა. სასოწარკვეთილმა ცხოველებმა ფურგონში შებმულ ცხენებს დაუწყეს ძახილი: „ამხანაგებო! ამხანაგებო! ნუ მიგყავთ თქვენი ძმა მოსაკლავად!“ მაგრამ ბრიყვმა პირუტყვებმა, ერთობ უვიცებმა საიმისოდ, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა, ყურები დაცქვიტეს და სისწრაფეს მოუმატეს. ბოქსერის სახე ფანჯარაში აღარ გამოჩენილა. ვიღაცას გვიან გაახსენდა, რომ გაქცეულიყო და ხუთძელიანი ჭიშკარი ჩაეკეტა. წუთის შემდეგ ფურგონი უკვე მთავარ გზაზე მიქროდა და სწრაფად ეფარებოდა თვალს. ბოქსერი აღარავის უნახავს.

სამი დღის შემდეგ გამოაცხადეს, რომ ბოქსერი უილინგდონის საავადმყოფოში დაიღუპა, მიუხედავად ყველანაირი ყურადღებისა, რაც კი ცხენის მიმართ შეიძლებოდა გამოეჩინათ. ეს ამ-

ბავი ცხოველებს შეატყობინა სქვილერმა, რომელიც, მისივე თქმით, ბოქსერის უკანასკნელ წუთებს დაესწრო.

- ეს იყო ყველაზე გულის გამგმირავი წუთები, რომელსაც კი ოდესმე შევსწრებივარ! - თქვა სქვილერმა, თან ჩლიქი ასწია და ცრემლი მოიწმინდა. - ბოლო წუთამდე მის სარეცელთან ვიდექი. სულ ბოლოს, როცა ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა, ყურში ჩამჩურჩულა: დარდად მხოლოდ ის მიმყვება, წისქვილის დამთავრებამდე რომ ვკვდებიო. „წინ, ამხანაგებო!“ - ჩურჩულებდა იგი, - „წინ, ჩვენი აჯანყების სახელით! დიდხანს სიცოცხლე „ცხოველების ფერმას“! დიდხანს სიცოცხლე ამხანაგ ნაპოლეონს! ნაპოლეონი ყოველთვის მართალია!“ აი, მისი უკანასკნელი სიტყვები, ამხანაგებო!

აქ სქვილერს უცებ სახე შეეცვალა. ერთხანს გაჩუმდა და, ვიდრე ლაპარაკს განაგრძობდა, პატარა თვალებით ეჭვიანი მზერა მოავლო იქ შეკრებილთ. შემდეგ თქვა, როგორც გავიგე, სულელური და ბოროტი ხმები დაყრილა ბოქსერის წაყვანის თაობაზე. ზოგიერთ ცხოველს შეუნიშნავს ფურგონზე წარწერილი „ცხენების ყასაბი“ და პირდაპირ დაუსკვნია, ბოქსერი გამტყავებელთან მიჰყავთო. სქვილერის თქმით, თითქმის დაუჯერებელი ჩანდა ზოგიერთი ცხოველის ასეთი გამოყეყეჩება. „ნუთუ ეს ცხოველები, - ჭყიოდა აღშფოთებული სქვილერი გვერდიდან გვერდზე ხტუნვით,- ნუთუ ეს ცხოველები ამნაირად იცნობენ თავიანთ საყვარელ ხელმძღვანელს, ამხანაგ ნაპოლეონს?“ თუმცა ეს ძალზე მარტივად იხსნებოდა. ფურგონი უწინ მართლა გამტყავებლისა იყო, შემდეგ კი ცხოველთა ქირურგმა შეიძინა, რომელსაც ჯერ ვერ მოესწრო ძველი წარწერის წაშლა. აი, რამ შეაცდინა ყველანი!

ამის მოსმენაზე ცხოველებმა შვებით ამოისუნთქეს, ხოლო როდესაც სქვილერმა კიდევ უფრო დეტალურად აღწერა ბოქსერის აგონია, ისევე როგორც მის მიმართ გამოჩენილი არაჩ-

ვეულებრივი ზრუნვა, და ახსენა ნაპოლეონის მიერ დაუფიქრებლად შეძენილი ძვირფასი მედიკამენტები, ამან ცხოველებს უკანასკნელი ეჭვებიც გაუფანტა. მათ გონებაში ამხანაგის სიკვდილი ოდნავ შეამსუბუქა აზრმა მისი ბედნიერი გარდაცვალების შესახებ.

ნაპოლეონი თავად გამოვიდა შემდეგივე კვირის მიტინგზე და ბოქსერის პატივსაცემად მოკლე სიტყვა წარმოთქვა. მისი თქმით, შეუძლებელი აღმოჩნდა დაღუპული მეგობრის ნაშთების ფერმაში გადმოსვენება, მაგრამ, სამაგიეროდ, მან დაფნის დიდი გვირგვინი დააწვნევინა უილინგდონში გასაგზავნად და ბოქსერის საფლავის შესამკობად. ქელეხი, ღორების გეგმით, რამდენიმე დღეს უნდა გაგრძელებულიყო. თავისი სიტყვა ნაპოლეონმა ბოქსერის ორი რჩეული ლოზუნგით დაასრულა: „უკეთესად ვიმუშავებ“ და „ნაპოლეონი ყოველთვის მართალია“, - ლოზუნგებით, რომლებიც თითოეულმა ცხოველმა თავისი ბუნება--შესაძლებლობის მიხედვით უნდა აითვისოს.

ქელეხისთვის დანიშნულ დღეს უილინგდონიდან ბაყლის ფურგონი მოვიდა და ფერმაში დიდი გეჯა ამოიტანა. იმ ღამეს გაისმოდა დიდი ღრიალ-სიმღერა, რომელსაც გვარიანი აყალმაყალის ხმაც მოჰყვა. ღამის თორმეტ საათზე კი ყველაფერი შუშის გამაყრუებელმა მსხვრევამ დააგვირგვინა. მეორე დღის შუადღემდე არავინ განძრეულა ფერმაში. შემდეგ კი ხმა გავრცელდა, რომ ღორებს სადღაც ნაშოვნი ფულით კიდევ ერთი ყუთი ვისკი ეყიდათ.

თავი X

გადიოდა წლები. წელიწადის დროები ერთმანეთს ცვლიდა. საპნის ბუშტებივით ქრებოდა მოკლე ცხოველური სიცოცხლეები. დადგა დრო, როცა აღარავის ახსოვდა აჯანყება, ქლოვერის, ბენჯამინის, ყორანი მოსეს და ღორების გარდა.

გარდაიცვალა მურიელი. ბლუბელი, ჯესი და პინჩერიც დაიხოცნენ. ქვეყნის სხვა მხარეს, ლოთების დისპანსერში, სული განუტევა თვით ჯოუნზმაც. აღარავის ახსოვდა სნოუბოლი. არც ბოქსერი ახსოვდა ვინმეს, იმ რამდენიმე ცხოველის გარდა, რ ომელიც მას პირადად იცნობდა. ქლოვერს, ბებერ, ტანდაბრგვილულ ფაშატს, სახსრებში მარილები დაჰგროვებოდა და თვალის მოხშირებულ აწყლიანებასაც უჩიოდა. საპენსიო ასაკს უკვე ორი წლით გადასცდენოდა, ეს კია - აქამდე პენსიაში ჯერ არავინ გაეშვათ. დიდი ხანია, სიტყვაც აღარავის დაეძრა ხანდაზმულ ცხოველთათვის საძოვრის ერთი ნაწილის გამოყოფაზე. ნაპოლეონი სამასგირვანქიანი ზრდასრული ღორი დამდგარიყო, სქვილერი კი ისე გასუქდა, თვალიდან ძლივს იყურებოდა. მხოლოდ მოხუც ბენჯამინს არ გამოსცვლოდა იერი, თუ არ ჩავთვლით ოდნავ გაღიავებულ დრუნჩს და იმასაც, რომ ბოქსერის სიკვდილს ის კიდევ უფრო პირქუში და უტყვი გაეხადა.

ფერმაში ახლა გაცილებით მეტი ცხოველი ბინადრობდა, თუმცა არა იმდენი, რამდენის მოლოდინიც უწინ ჰქონდათ. ბევრი მათგანისთვის აჯანყება მხოლოდ სხვებისგან გაგონილი ბუნდოვანი ამბავი იყო, შესყიდულ ცხოველებს კი ფერმაში მოსვლამდე აჯანყების შესახებ სულ არაფერი სმენოდათ. ქლოვერის გარდა, ფერმას ამჯერად სამი ცხენი ჰყავდა, მშვენიერი, ჯანმრთელი ცხოველები, ხალისიანი მშრომელები და კარგი ამხანაგები, თუმცა მეტისმეტად ჩლუნგები. არც ერთმა არ იცოდა ან-

ბანის პირველ ორ ასოზე მეტი. ყველაფერს ულაპარაკოდ იჯერებდნენ, რაც კი აჯანყებასა და ანიმალიზმის პრინციპებს შეეხებოდა, განსაკუთრებით ქლოვერისგან, რომელსაც თითქმის ღვიძლ დედად მიიჩნევდნენ. თუმცა საფიქრებელი იყო, რომ მისი ლაპარაკიდან ბევრი არაფერი ესმოდათ.

ახლა „ცხოველების ფერმა“ უფრო მეტად ყვაოდა და უკეთესადაც იყო ორგანიზებული. მისტერ პილკინგტონისგან ნაყიდი ორი მინდვრითაც გაფართოებულიყვნენ. ბოლოს და ბოლოს, წისქვილის მშენებლობა წარმატებით დამთავრებულიყო. დღეს ფერმას საკუთარი გასანიავებელიც ჰქონდა და თივის ელევატორიც. დაემატებინათ ახალი ნაგებობებიც. ვიმპერს თავისთვის საძაღლე ფურგონი შეეძინა. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, წისქვილი ელექტროდენის მისაღებად არ გამოუყენებიათ. მისი მეშვეობით ფქვავდნენ ხორბალს და ამით გვარიან შემოსავალსაც იღებდნენ... ცხოველები გამალებით აშენებდნენ მეორე წისქვილს, რომელშიც, როგორც ამბობდნენ, დინამოებს დაამონტაჟებდნენ. მაგრამ აღარავინ ლაპარაკობდა სნოუბოლის მიერ ცხოველებისთვის დაპირებულ კომფორტზე, იქნებოდა ეს ელექტრონით განათებული, ცივი და ცხელი წყლით მომარაგებული სადგომები თუ კვირაში სამი სამუშაო დღე. ნაპოლეონმა დაგმო ეს იდეები, რომლებიც, მისი თქმით, ანიმალიზმის სულს ეწინააღმდეგებოდა. შემდეგ ისიც დასძინა, ჭეშმარიტი ბედნიერება მკაცრ შრომასა და მომჭირნე ცხოვრებაში მდგომარეობსო.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ფერმა მდიდრდებოდა, მისი მკვიდრი ცხოველები კი - ღორებისა და ძაღლების გამოკლებით - კვლავ უქონელნი რჩებოდნენ. ნაწილობრივ ეს, ალბათ, იმიტომ ხდებოდა, რომ ღორ-ძაღლი ერთობ მომრავლებულიყო. ვერ იტყოდით, რომ ისინი არაფერს აკეთებდნენ. სქვილერის დაუღალავი მტკიცებით, არასოდეს ილეოდა საქმე ფერმის ზედამხედველობისა და ორგანიზების სფეროში. ამ საქმის უდიდეს

ნაწილს ვერც ერთი ცხოველი ვერ გაუძღვებოდა. მაგალითისთვის სქვილერს მოჰყავდა დიდი გონებრივი დაძაბვით საკეთებელი ისეთი გამოუცნობი საქმეები, როგორიც იყო „კარტოთეკები“, „ანგარიშები“, „ოქმები“ თუ „მემორანდუმები“. ეს დიდი ფურცლები წვრილად უნდა შევსებულიყო. ეგაა, შევსებისთანავე წვავდნენ. სქვილერის თქმით, ამას ფერმის კეთილდღეობისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

და მაინც, არც ღორები და არც ძაღლები თავიანთი შრომით არანაირ საკვებს არ ქმნიდნენ, თუმცა ფრიად მომრავლებულიყვნენ და მადასაც არ უჩიოდნენ. რაც შეეხება სხვებს, მათი ცხოვრება, რამდენადაც თვითონ ამჩნევდნენ, ახლაც ისეთივე იყო, როგორიც ყოველთვის: უმეტესწილად მშივრებს ნამჯაზე ეძინათ, წყალს ტბორიდან სვამდნენ და უწინდებურად მინდორში მუშაობდნენ. ზამთრობით სიცივე აწუხებდათ, ზაფხულობით - ბუზები. ზოგჯერ მათ შორის უხუცესნი მეხსიერებას ძაბავდნენ, რათა განესაზღვრათ, როდის ჰქონდათ უკეთესი ცხოვრება - აჯანყების დღეებში, როცა ჯოუნზი ახალი გაგდებული იყო, თუ ახლა. გახსენებას კი ცდილობდნენ, მაგრამ ვერ იხსენებდნენ, ვერაფერს ადარებდნენ დღევანდელ ცხოვრებას, არაფერი გააჩნდათ ხელჩასაჭიდი, გარდა სქვილერის ციფრებიანი სიებისა, რომლებიც საერთო ვითარების მუდმივ გაუმჯობესებაზე ღაღადებდნენ. ცხოველები ამ პრობლემას უკვე გადაუწყვეტლად მიიჩნევდნენ. ასეა თუ ისე, ამ საგნებზე ფიქრისთვის დროც აღარ ჰქონდათ. მხოლოდ ბებერ ბენჯამინს ახსოვდა განვლილი ცხოვრების ყველა დეტალი და ამბობდა, არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ ან უარესობისკენ, რადგან შიმშილი, სიძნელეები თუ გულის აცრუება ცხოვრების მარად უცვლელი წესი არისო.

ცხოველებს მაინც არასოდეს დაუკარგავთ იმედი, მეტიც, ერთი წამითაც არ მოშორებიათ „ცხოველების ფერმის“ წევრებად ყოფნის სიამაყისა და უპირატესობის განცდა. ეს ხომ ერთადერ-

თი ფერმა იყო მთელ ქვეყანაზე, მთელ ინგლისში, რომელსაც ფლობდნენ და მართავდნენ ცხოველები! და არასოდეს ნელდებოდა არც ერთი მათგანის, მათ შორის თვით უმრწემესის, და არც ათი თუ ოცი მილის სიშორიდან მოსული ფერმის ახალი ბინადრების გაოცება ამ უნიკალურობით. როგორც კი თოფის საზეიმო გასროლის ხმას გაიგონებდნენ და თვალს შეავლებდნენ ჭოკ-ანძის თავზე აფრიალებულ მწვანე დროშას, გულები დაუშრეტელი სიამაყით ევსებოდათ და საუბარი კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ძველ, გმირულ დღეებს, ჯოუნზის განდევნას, შვიდი მცნების კედელზე დაწერას და იმ დიად ბრძოლებს, რომლებშიც საბოლოოდ დამარცხდნენ დამპყრობელი ადამიანები. კვლავაც გულით ატარებდნენ მეიჯორის შორს განჭვრეტილ იმედს ცხოველთა რესპუბლიკის შექმნისა, როცა ინგლისის მწვანე ველ-მინდვრებზე ადამიანი აღარ იჭაჭანებდა. ოდესმე ეს ახდებოდა, შეიძლება არცთუ ისე მალე, შეიძლება ვერც ერთი ამჟამად არსებული ცხოველი იმ დროს ვერ მოსწრებოდა, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ეს საათი მაინც დაჰკრავდა. „მხეცნო ინგლისის“ მელოდიაც კი ჩუმ-ჩუმად გაიჟღერებდა ხოლმე ხან აქ და ხან იქ. ყველას ახსოვდა, თუმცა ვერც ერთი ვერ ბედავდა ხმამაღლა სიმღერას. შეიძლება, მათი ცხოვრება მძიმე იყო და წარსულის ყველა ოცნებაც ვერ ახდა, მაგრამ ისინი ხედავდნენ, რომ სხვა ცხოველებისგან გამოირჩეოდნენ. თუ მშივრები იყვნენ - არა ტირან ადამიანთა მონური მსახურების გამო, და თუ მძიმე ჭაპანსაც ეწეოდნენ - ესეც მხოლოდ საკუთარი თავისთვის. არც ერთი მათგანი ორ ფეხზე არ დადიოდა. არც ერთი არ იხსენიებდა მეორეს „პატრონად“. ყველა ცხოველი თანასწორი იყო.

ივნისის ერთ დღეს სქვილერმა ცხვრებს უკან გაყოლა უბრძანა და გაიყვანა ფერმის ერთ-ერთ ბოლოში მდებარე ეწერ მიწაზე, სადაც ალვების ნორჩი ტევრი ამოყრილიყო.

ცხვრებმა მთელი დღე, სქვილერის ზედამხედველობით, მწვანე ყლორტების კვნეტაში გაატარეს. საღამოს თვითონ ფერმაში დაბრუნდა, მაგრამ თბილი ამინდის გამო ცხვრებს იქვე დარჩენა უბრძანა. ცხვრები მთელ კვირას იქ დარჩნენ და ამ ხნის განმავლობაში ისინი არავის დაუნახავს. მხოლოდ სქვილერი რჩებოდა მათთან ყოველი დღის ნახევარზე მეტხანს: ახალ სიმღერას ვასწავლი, ამისთვის კი, ცხადია, განცალკევებით ყოფნა ჯობიაო.

ერთ საღამოსაც, როცა ცხოველები დღის საქმეს მორჩნენ და სადგომებისკენ გამოსწიეს, ეზოდან ცხენის შეშფოთებული ხვიხვინი მოესმათ. განცვიფრებული ცხოველები იქვე გაქვავდნენ. ეს ქლოვერის ხმა იყო. მან კვლავ დაიხვიხვინა და ამის გაგონებაზე ცხოველებმა ხტუნვით მიაშურეს ეზოს. იქ მათაც დაინახეს ის, რასაც ქლოვერი ხედავდა.

ეს იყო უკანა ფეხებზე მოსიარულე ღორი.

ჰო, ეს სქვილერი იყო. ოდნავ მოუხეშავად, თითქოს არც ისე მიჩვეულიაო თავისი გვარიანი წონის ამ პოზაში ტარებას, მაგრამ მაინც სავსებით გაწონასწორებულად, სქვილერი ეზოში სეირნობდა. ერთი წუთის შემდეგ ფერმის შენობიდან უკანა ფეხებზე შემდგარი ღორების მთელი მწკრივი გამონარნარდა. ერთნი უკეთესად მოდიოდნენ, ვიდრე სხვები, ზოგი ცოტათი ბანცალებდა, თითქოს ჯოხის შეშველება უნდაო, მაგრამ მწკრივმა მაინც წარმატებით შემოუარა ეზოს. შემდეგ გაისმა ძაღლების ყურისწამღები ყეფა და შავი მამლის გამყინავი ყივილი, რასაც მოჰყვა დიდებულად წელგამართული, ყოველ მხარეს მეფური მზერის მტყორცნელი და ახტუნავებული ძაღლებით გარემოცული დიდი ნაპოლეონი.

ხელმძღვანელს ჩლიქით შოლტი მოემარჯვებინა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გაოგნებული, თავზარ-

დაცემული, ერთმანეთს მიკრული ცხოველები გაშტერებულნი შეჰყურებდნენ ეზოს გარშემო ნელა მოსიარულე ღორების

მწკრივს და ეგონათ, ქვეყანა თავდაყირა დადგაო. მომდევნო წუთს კი, როცა პირველმა შოკმა ჩაიარა, მიუხედავად ძაღლების შიშისა თუ წლების განმავლობაში გამომუშავებული ჩვევისა - რაც უნდა მომხდარიყო, არაფერზე დაეჩივლათ, არაფერი გაეკრიტიკებინათ, - ცხოველებმა თითქოს გაპროტესტება დააპირეს... მაგრამ ზუსტად იმავე წამს, თითქოს ამ სიგნალს უცდიდნენო, ყველა ცხვარი ერთდროულად აბღავლდა: „ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - უკეთესი! ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - უკეთესი! ოთხი ფეხი კარგია, ორი ფეხი - უკეთესი!“

ბღავილი ხუთ წუთს გაგრძელდა და, როცა დამთავრდა, ცხოველები ვეღარაფერს გააპროტესტებდნენ, რადგან ღორები უკვე ფერმაში შებრუნებულიყვნენ.

ბენჯამინმა მხარზე ცხვირის მოთათუნება იგრძნო და მოიხედა. ქლოვერი იყო. მოხუცი თვალები უწინდელზე მეტად დაბინდვოდა. მან ხმის ამოუღებლად, ნაზად მოქაჩა ბენჯამინს ფაფარზე და დიდი ფარდულის იმ კედელთან მიიყვანა, რომელზეც შვიდი მცნება ეწერა. ორიოდე წუთს უხმოდ შეჰყურებდნენ გაფისულ თეთრწარწერიან კედელს.

- მზერა მღალატობს, - თქვა ბოლოს ქლოვერმა, - თუმცა ამის წაკითხვა ახალგაზრდობაშიც არ შემეძლო, მაგრამ მეჩვენება, რომ ახლა ეს წარწერა სხვანაირად გამოიყურება. ისევ ის შვიდი მცნება წერია აქ, ბენჯამინ?

ამჯერად ბენჯამინმა თავისი წესი დაარღვია და ქლოვერს კედელზე წარწერილი სიტყვები წაუკითხა. იქ ერთადერთი მცნება ეწერა:

ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგიერთი ცხოველი-უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები.

ამის შემდეგ არც ისე უცნაურად გამოჩნდა ის ამბავი, რომ მეორე დღეს ყველა ღორს - დანიშნულებისამებრ ფერმის სამუშაოთა ზედამხედველებს - ჩლიქით შოლტები ეჭირათ. არც ის

იყო უცნაური, რომ მალე ღორებმა უმავთულო რადიომიმღები დაიდგეს, უკვე ტელეფონისთვისაც ზრუნავდნენ და გამოიწერეს „ჯონ ბული“, „ტიტ-ბიტსი“ და „დეილი მირორი“. ამიერიდან არც ფერმის ბაღნარში მოსეირნე, პირში ჩიბუხგაჩრილი ნაპოლეონის ხილვა უკვირდათ და არც მისტერ ჯოუნზის სამოსელში გამოწყობილი ღორების დანახვა. თვით ნაპოლეონი შავ პიჯაკში, ფართო ბრიჯებსა და ტყავის გამაშებში გამოწყობილიყო, მის გულისმურაზ მდედრს კი მისის ჯოუნზის საკვირაო სამოსი - დანამული აბრეშუმის კაბა ჩაეცვა.

ერთი კვირის შემდეგ, ნაშუადღევსვე, ფერმას მრავალი საძაღლე ფურგონი მოადგა. „ცხოველების ფერმას“ დასათვალიერებლად ეწვია მეზობელ ფერმერთა დეპუტაცია. მათ ყველაფერი ნახეს და ყველაფრით დიდად აღფრთოვანებულნი დარჩნენ, განსაკუთრებით - წისქვილით. ამ დროს ცხოველები თალგამს მარგლავდნენ, მუყაითად შრომობდნენ, იშვიათად თუ ასწევდნენ თავს ზევით და არ იცოდნენ, ვისი უფრო შინებოდათ - ღორების თუ სტუმრად მოსული ადამიანების.

იმ საღამოს ფერმის შენობიდან ხმამაღალი სიცილი და სიმღერის ხმა გამოდიოდა. შერეული ხმების გაგონებაზე ცხოველები უცებ ცნობისწადილმა შეიპყრო: ნეტა რა ხდებოდა ამ სახლში, სადაც ცხოველები და ადამიანები პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს თანაბარ პირობებში? ერთი ტალღით ატაცებული ყველა ცხოველი ფეხაკრეფით შეიპარა ფერმის შენობის ბაღში, შიშით ატანილნი ჭიშკართან შეყოვნდნენ, მაგრამ ქლოვერი წინ წავიდა. ფეხისწვერებზე მიუახლოვდნენ სახლს და ყველაზე მაღალმა ცხოველებმა ფანჯრიდან სასადილო ოთახში შეიხედეს. იქ, გრძელი მაგიდის გარშემო, ერთიმეორის პირისპირ იდგა ექვსი ფერმერი და ექვსი უმაღლესი რანგის ღორი. ნაპოლეონს საპატიო ადგილი ეჭირა სუფრის თავში. ღორები თავისუფლად მოთავსებულიყვნენ სკამებზე. შეკრებილნი დიდი აზარტით თა-

მაშობდნენ ბანქოს, თუმცა იმ წუთას, რ ოგორც ჩანდა, თამაში მორიგი სადღეგრძელოს

სათქმელად შეეწყვიტათ. დიდმუცლიანი დოქი წრეში ტრიალებდა და დაცლილი კათხები კვლავ ივსებოდა ლუდით. არავის შეუმჩნევია ფანჯარაში ცხოველთა გაოცებული სახეები.

კათხით ხელში ფეხზე წამოდგა მისტერ პილკინგტონი და სურვილი გამოთქვა, შეკრებილთ ერთი სადღეგრძელო შეესვათ, ოღონდ მანამდე თავი ვალდებულად მიიჩნია ორიოდე სიტყვით მიემართა იქ შეკრებილი საზოგადოებისთვის.

იგი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, - და, ალბათ, ამავე აზრისა იყვნენ ყველანი, - რომ, ბოლოს და ბოლოს, უკვე დასრულდა უნდობლობისა და გაუგებრობის ხანგრძლივი პერიოდი. იყო დრო (თუმცა პირადად მას ან რომელიმე იქ მყოფს ეს განწყობა არასოდეს გაუზიარებია), როცა „ცხოველების ფერმის“ ღრმად პატივცემულ მფლობელებს მეზობლად მცხოვრები ადამიანები უყურებდნენ მტრულად არა, მაგრამ გარკვეული, ასე ვთქვათ, სიფრთხილით. ადგილი ჰქონდა სამწუხარო შემთხვევებს, მცდარ მოსაზრებებს. ეს იყო დრო, როცა ადამიანებს ეგონათ, რომ ღორების ხელმძღვანელობით მართული ფერმა წარმოადგენდა რასმე არანორმალურს და შეეძლო ზიანი მიეყენებინა გარშემომყოფთათვის. ბევრმა ფერმერმა ნამდვილი ვითარების გაგების გარეშე დაასკვნა, რომ ასეთ ფერმაში თვითნებობა და უდისციპლინობა იმეფებდა. ასეთებს აღელვებდათ „ცხოველების ფერმის“ შესაძლებელი უარყოფითი ზეგავლენა მათ ცხოველებსა და თვით თანამშრომლებზე. მაგრამ მსგავსი ეჭვები უკვე გაქარწყლებულია. დღეს მან და მისმა მეგობრებმა „ცხოველების ფერმის“ ყოველი კუნჭული მოინახულეს. რა აღმოაჩინეს აქ? - არა მხოლოდ შრომის ყველაზე თანამედროვე საშუალებები, არამედ ისეთი დისციპლინა და წესრიგი, რომელიც სამაგალითო იქნებოდა ნებისმიერი ფერმერის-

თვის. მისტერ პილკინგტონის აზრით, იგი არ ცდებოდა იმაში, რომ „ცხოველების ფერმაში“ მყოფი დაბალი რანგის ცხოველები უფრო მეტს შრომობდნენ და ნაკლებს ჭამდნენ, ვიდრე ქვეყნის ნებისმიერი სხვა ოლქის ცხოველები. საერთოდ, მან და სხვა სტუმრებმა დღეს აქ ნახეს ბევრი ისეთი რამ, რაც სასწრაფოდ უნდა დანერგონ საკუთარ ფერმებში.

დასასრულ, პილკინგტონმა ისურვა, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ მეგობრული განწყობისათვის, რომელიც არსებობდა და მომავალშიც იარსებებდა „ცხოველების ფერმასა“ და მეზობელ ფერმებს შორის. ღორებისა და ადამიანების ინტერესები არასოდეს დაპირისპირებია და არც უნდა დაპირისპირებოდა ერთმანეთს. საერთო იყო მათი ბრძოლებიცა და სიძნელეებიც. შრომის პრობლემები ხომ ყველგან ერთი და იგივეა! ამ მომენტში მისტერ პილკინგტონს აშკარად შეეტყო, რომ უნდოდა შეკრებილთათვის რაღაც საგულდაგულოდ მომზადებული და გონებამახვილური ეთქვა, მაგრამ სიცილით იგუდებოდა და ხმას ვეღარ იღებდა. ბოლოს, ღაბაბაწითლებულმა, მცირედი სულის მოთქმის შემდეგ ამოღერღა:- თქვენ თუ დაბალი რანგის ცხოველებთან გაქვთ საქმე მოსაგვარებელი, ჩვენ ჩვენი დაბალი კლასები გვყავს!

ეს ბონ მოტ2 ხარხარის ახალ ტალღად დაატყდა სუფრას. შემდეგ პილკინგტონმა კიდევ ერთხელ შეუქო ღორებს მცირე ულუფების პრინციპი, გრძელი სამუშაო დღეები და ყოველგვარი განებივრების უკუგდება, ანუ ყველაფერი ის, რაც თვალში საცემად მოსაწონი იყო „ცხოველების ფერმაში“.

სულ ბოლოს მან საზოგადოებას კათხების ბოლომდეშევსება და ფეხზე წამოდგომა სთხოვა.

- ჯენტლმენებო! - დააგვირგვინა მისტერ პილკინგტონმა. - ჯენტლმენებო! გთავაზობთ სადღეგრძელოს: დიდება და კეთილდღეობა „ცხოველების ფერმას“!

ამ სიტყვებს მხიარული შეძახილები და ფეხების მწყობრი ბაკუნი მოჰყვა. ნაპოლეონი იმდენად ნასიამოვნები იყო,

რომ ფეხზე წამოდგა და მაგიდას შემოუარა, რათა პილკინგტონისთვის ჭიქა მიეჭახუნებინა. როცა ჟივილ-ხივილი ჩაცხრა, ჯერ კიდევ ფეხზე მდგარმა ნაპოლეონმა დამსწრეთ აუწყა, რომ მასაც ჰქონდა სათქმელი რამდენიმე სიტყვა.

მისი ყველა სხვა მიმართვის დარად, ეს სიტყვაც მოკლე და საქმიანი გამოდგა. მისი თქმით, ისიც ბედნიერი იყო, რომ გაუგებრობის პერიოდი დასრულდა. დიდხანს დადიოდა ხმები (ეჭვი არაა, რ ომელიღაც ბორ ოტი მტრის დაყრილი), რომ იყო რაღაც დამღუპველი - თვით რევოლუციურიც კი - ნაპოლეონისა და მისი კოლეგების შეხედულებებში. მათ, თქვენ წარმოიდგინეთ, მეზობელი ფერმების ცხოველებში ამბოხის გავრცელების მცდელობასაც კი აწერდნენ! არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო შორს ჭეშმარიტებისგან! მათი ერთადერთი სურვილი, აწმყოსა თუ წარსულში, ხომ მეზობლებთან ნორმალური საქმიანი ურთიერთობების დამყარება გახლდათ! ეს ფერმა, რომლის მართვის პატივი მას ხვდა წილად, წარმოადგენდა კოოპერაციულ საწარმოს. მის ხელთ არსებულ ყველა მთავარ საქმეს ღორები ერთობლივად მართავდნენ.

მას არ სჯეროდა, რომ სადმე ჯერ კიდევ ფუთფუთებდა უწინდელი ეჭვები, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ფერმის ძველ რეჟიმში მაინც შეიტანეს გარკვეული ცვლილებები, რასაც კიდევ უფრო უნდა გაეზარდა მათდამი ნდობა. აქამდე ფერმის ცხოველებს სულელურ ჩვევად ჰქონდათ ერთმანეთისთვის „ამხანაგო“ ეწოდებინათ. ასევე, სრულებით გაუგებარ ჩვევად აეკვიატებინათ კვირაობით ბაღში მდგარ ბოძზე მილურსმული ღორის თავისქალის წინ მწყობრად ჩავლა. ეს ახირება მოსპეს, თავის ქალა კი დამარხეს. სტუმრებმა, ალბათ, დაინახეს ანძის თავზე აფრიალებული მწვანე დროშა. და თუ ასეა, მაშინ იმასაც შეამჩნევდნენ, რომ

დროშაზე აღარ ეხატა ჩლიქი და რქა. ამიერიდან დროშა მთლიანად მწვანე იქნებოდა.

ნაპოლეონი მხოლოდ ერთ დეტალში არ ეთანხმებოდა მისტერ პილკინგტონის დიდებულ და კეთილშობილურ სიტყვას: ეს უკანასკნელი მუდმივად ახსენებდა „ცხოველების ფერმას“ და, რაკი ნაპოლეონი ახლა პირველად აცხადებდა ამას, ამდენად პილკინგტონს არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სახელწოდება „ცხოველების ფერმა“ დღეიდან გაუქმებული იყო. ამიერიდან ფერმას უბრუნდებოდა თავისი თავდაპირველი, ნაპოლეონის რწმენით, სავსებით შესაფერისი სახელი „მანორის ფერმა“.

- ჯენტლმენებო! - დაასრულა ნაპოლეონმა. - მსურს, შემოგთავაზოთ იგივე სადღეგრძელო, ოღონდ განსხვავებული ფორმით. გთხოვთ, ბოლომდე შეავსოთ კათხები. მაშ, ჯენტლმენებო, გაუმარჯოს „მანორის ფერმას“!

ეს სიტყვებიც კვლავ შეძახილებითა და კათხების კვლავ ბოლო წვეთამდე გამოცლით დაგვირგვინდა. მაგრამ გარედან მოთვალთვალე ცხოველებისთვის რაღაც უცნაურზე უცნაური რამ ხდებოდა. ღორების სახეებზე რაღაც ცვლილება შეინიშნებოდა... ნეტა რა ემართებოდათ? ქლოვერის მქრქალი მზერა ერთიდან მეორეზე ინაცვლებდა. ზოგ ღორს ხუთკეცი ღაბაბი ჰქონდა, ზოგს ოთხკეცი, ზოგსაც სამკეცი, მაგრამ რა იყო ის, რაც თითქოს ლღვებოდა და ფორმას იცვლიდა? როცა ჟრიამული მიწყდა, სტუმარმასპინძლებმა კვლავ ბანქოს მოჰკიდეს ხელი და შეწყვეტილი თამაში განაახლეს. ცხოველები უხმოდ მოშორდნენ ფანჯრებს.

ოცი იარდიც არ გაევლოთ, რომ უეცრად სახლში ამტყდარმა გნიასმა შეაჩერა. ცხოველები კვლავ ფანჯრებს მიაწყდნენ და შეიჭყიტეს. ოთახში ჩხუბი ატეხილიყო და თანდათან უფრო მატულობდა. ისმოდა ყვირილი, მუშტების ბრახუნი, კატეგორიული უარყოფა, მაგიდასთან მსხდომნი ერთმანეთს გამჭოლ და ეჭვით

აღსავსე მზერას ესროდნენ. ყველაფერი იმით დაწყებულიყო, რომ ორივეს - ნაპოლეონს და პილკინგტონს - ერთდროულად ეთამაშა ყვავის ტუზით.

თორმეტი ბრაზმორეული ხმა ერთად ისმოდა და ყველა ერთმანეთს ჰგავდა. ამჯერად არავინ იკითხავდა, რა დაემართათ სახეზე ღორებს. ფანჯრებთან მდგარ ცხოველებს მზერა ღორიდან ადამიანზე გადაჰქონდათ, ადამიანიდან ღორზე, შემდეგ ღორიდან ისევ ადამიანზე... მაგრამ უკვე შეუძლებელი გამხდარიყო მათი ერთმანეთისგან გარჩევა.